საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 აპრილი **შაბათი** 2012 №093(13699) ფასი 80 თეთრი

## ცენტრალურ ევროპაში ცენტრალური მცველის გარეშე

**ვასილ მაისურაძე: თუ გერმანიასთან დადებით შედეგს მივაღწიეთ, ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი გაგვიჩნდება**



2

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ოლიმპიადის ლიცენზია კიდევ გორმა მოიპოვა



10



ხინჩეგაშვილი პირველია, გოგშელიძე მეორე,
ერთი ოქრო, მეორე ვერცხლი...
**...ჯამი კი არ იცვლება: ლონდონის საგზური**

## ფინალის პრელუდია

12



## ჰოვარდი უექლოდ

14



სუპერმენმა სეზონი დაასრულა და ვერც ლონდონში იფრენს




## მძაფრსიუჟეტიანი სერიალის 219-ე სერია




**სცენარისტები:** გვარდიოლა და მოურინიო
**მთავარ როლებში:** მესი და რონალდო

## რეალს შეუძლია დაწეროს: The end

9

## ქართული ფეხბურთი

U 17



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები

# ავსტრია-სლოვენიისკენ: დანაკლისით და იმედით



ვასილ მაისურაძე

**უკვე გაცნობეთ, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მზადებას შეუდგა. ჩვენი გუნდი ტექნიკურ ცენტრ "ბასაზეა" დაბინავებული და იქვე ვარჯიშობს. "ბასაზევე" გაიმართა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ვასილ მაისურაძის პრესკონფერენცია, სადაც მან მზადების პროცესსა და ევროპის ჩემპიონატზე დასახულ მიზნებზე ისაუბრა, პრესკონფერენციის შემდეგ კი ქართველმა 17-წლამდელებმა ღია ვარჯიში გამართეს.**

- შეკრებაზე ორი დღეა, რაც გადავედით და პროცესი გეგმაზომიერად მიმდინარეობს. 22 აპრილს, გამთენიისას, ავსტრიაში გავემგზავრებით და ევროპის ჩემპიონატის წინ დასკვნით შეკრებას იქ გავივლით. ავსტრიაში ორ საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ – 25 აპრილს რეგიონის 19-წლამდელთა ნაკრებთან ვითამაშებთ, 28 აპრილს კი 18-წლამდელებთან. ავსტრიიდან სლოვენიაში 2 მაისს, ავტობუსით გავემგზავრებით.

**- ნაკრებს საკადრო პრობლემები ხომ არ აქვს?**

- სამწუხაროდ, დანაკლისს ვერ ავცდით. დაშავდა ჩვენი ცენტრალური მცველი სანდრო გურეშიძე და ევროპის ჩემპიონატზე მისი თამაში გამოირიცხა. ნაკრების გაფართოებულ სიაში 20 ფეხბურთელია და ევროპის ჩემპიონატისთვის განაცხადს ავსტრიაში ყოფნისას შევადგენთ. ბოლო ფეხბურთელი, ვინც გაფართოებულ სანაკრებო სიას დავამატეთ, იტალიური "ემპოლის" თავდამსხმელი რომან ჭანტურიაა. იგი თანაგუნდელებზე ერთი წლით უმცროსია და სანაკრებო გამოცდილება ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე მიიღო. გვინდოდა, სლოვენიაში განაცხადს მიღმა დარჩენილი ორი ფეხბურთელიც წაგვეყვანა, მაგრამ ეს ვერ ხერხდება.

**- გუნდის დღევანდელი ფორმა დამაკმაყოფილებელია?**

- ნამდვილად არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან სააღდგომო არდადეგებმა ფეხბურთელებზე გარკვეული გავლენა მოახდინა. თუმცა საგანგაშო არაფერია, უახლოეს დღეებში ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდება.

**- ნაკრებს ფიზიკური მომზადების მწვრთნელი ხომ არ შემატებია?**

- არა, ნაკრების სამწვრთნელო შტაბს არავინ დამატებია, გუნდს ფიზიკურადაც ჩვენი ძალებით მოვამზადებთ.

**- მეტოქეების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას ფლობთ?**

- ყველაზე მეტს ახლა გერმანიასთან მატჩზე ვფიქრობთ. როგორც იცით, ევროპის ჩემპიონატს გერმანელებთან შეხვედრით ვიწყებთ და ამ თამაშის შედეგს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ გერმანიასთან დადებით შედეგს მივაღწიეთ, ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი გაგვიჩნდება. გერმანიის ნაკრების რამდენიმე მატჩის ვიდეოჩანაწერი გავარჩიეთ და კვლავ იმ აზრზე ვართ, რომ საქმე ძალიან ძლიერ მეტოქესთან გვექნება. რაც შეეხება საფრანგეთსა და ისლანდიას, მათზეც ვფლობთ გარკვეულ ინფორმაციას, დაკვირვებას კი უშუალოდ სლოვენიაში გავაგრძელებთ.

**- რის ხარჯზე შეუძლია საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით თამაში?**

- კარგად გვესმის, რომ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებისთვის უფრო მეტია საჭირო, ვიდრე ელიტრაუნდისთვის. ნაკრებში კარდინალურად არაფერი შეიცვლება, უბრალოდ, შევეცდებით, ყველა კომპონენტი გავაუმჯობესოთ და დავხვეწოთ. ვიბრძოლებთ მოედნის თითოეული მონაკვეთისთვის და არავის არაფერს დავუთმობთ.

**- რაიმეთი თუ ხართ უკმაყოფილო?**

- წინა ხაზზე უფრო სრულყოფილ თამაშს ველი. შეტევაში ბევრი რამ ინდივიდუალურ ოსტატობაზეცაა დამოკიდებული, ჩვენს ნაკრებს კი იქ იმპროვიზაცია აკლია. ამ კომპონენტში დიდი სამუშაო უნდა გავწიოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

U21

# ჯერ ბელარუსი, შემდეგ ესტონეთი

**ალექსანდრე ჩივაძე** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად იანვარში დაინიშნა. მან პოსტზე **სოსო ჭედია** შეცვალა, რომელიც ეროვნულ ნაკრებში **თემურ ქეცბაიას** ასისტენტად დაბრუნდა.

შესარჩევი ციკლი ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ძალიან კარგად დაიწყო, ხორვატიას გასვლაზე 1:0 სძლია, მაგრამ ესპანეთთან (2:7, 0:2) და შვეიცარიასთან (0:1, 0:5) წყვილ-წყვილი წაგებების შემდეგ, 3 ქულით ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზეა, მხოლოდ ესტონეთს უსწრებს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის ყველანაირი შანსი დაკარგა.

სწორედ აქედან გამომდინარე, ჩივაძემ მაშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მიმდინარე შესარჩევ ეტაპს გუნდის შესათამაშებლად გამოიყენებდა. მიზნები საკადრო პოლიტიკასაც კარნახობს და მისი თქმით, ნაკრების გაახალგაზრდავებას შეეცდებოდა, აქცენტს იმ ფეხბურთელებზე გააკეთებდა, რომელთაც ასაკით მომდევნო შესარჩევ ციკლში უწევდათ თამაში.

ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით ნაკრებს პირველი ამხანაგური შეხვედრა 21 მარტს სტამბოლში, თურქეთის ნაკრებთან უნდა ჩაეტარებინა. მაგრამ ეს დაპირისპირება არ შედგა.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა **ნიკა ჩხეიძემ** გვითხრა, რომ ჩივაძის გაწვრთნილები 1 ივნისს მინსკში, ბელარუსის ახალგაზრდულ ნაკრებს ამხანაგურად ეთამაშებიან, მეორე დღეს კი ტალინში გაემგზავრებიან, სადაც 5 ივნისს ესტონეთი შესარჩევი ციკლის ოფიციალურ შეხვედრაში გვიმასპინძლებს.



ალექსანდრე ჩივაძე

ახალგაზრდული ნაკრების შეკრება კი ეროვნული ჩემპიონატის დასრულებისთანავე, 23 მაისს დაიწყება. მაგრამ ჯერ უცნობია, გუნდი სად დაბინავდება და ივარჯიშებს.

შესარჩევი ციკლის დასრულებამდე, ესტონეთთან გასვლითი შეხვედრის გარდა, ქართველ ახალგაზრდებს ორი საშინაო შეხვედრა ელით: 15 აგვისტოს ხორვატიას, 6 სექტემბერს კი ესტონეთს უმასპინძლებენ და ციკლსაც დაასრულებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

თემის გაგრძელება. სიტუაცია

# ცხადაძის არჩევანი

## ფანტასტიკური წინადადება

დაპირებისამებრ, დღეს **კახა ცხადაძეზე** ვისაუბრებთ - ახალი სეზონიდან თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად რომ მიიჩნევა. ცხადაძე ამჟამად ბაქოს „ინტერს“ თავკაცობს და ამ სეზონის ბოლომდე თავის გუნდთან ერთად ლოკალური მიზნებიც აქვს: ჩემპიონატი პირველ სამეულში უნდა დაამთავროს (ალბათ, ასეც მოხდება), ხოლო აზერბაიჯანის თასის ფინალში გასასვლელად მომავალ კვირაში საპასუხო მატჩი ელოდება „ნეფთჩისთან“; ანუ, თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, აზერბაიჯანის ყველაზე „ქართული გუნდი“ (მთავარი მწვრთნელის გარდა ბაქოს „ინტერის“ ღირსებას **გიორგი ლომაია, ვალერი აბრამიძე, ილია კანდელაკი** და **ბაჩანა ცხადაძე** იცავენ), ამ ზაფხულს ევროპის ლიგაზე იასპარეზებს. ოღონდ, ჯერჯერობით არავინ იცის, თუ ვინ იქნება ამ დროისათვის ბაქოს „ინტერის“ მთავარი

(„ინტერზე“ ბევრად მეტი ბიუჯეტი აზერბაიჯანში ხუთ გუნდს აქვს - „ბაქოს“, „ხაზარს“, „ნეფთჩის“, „გაბალასა“ და „ყარაბაღს“) ქართველი სპეციალისტის ხელმძღვანელობით 2010 წელს აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა, 2011 წელს სანკტ-პეტერბურგში „თანამეგობრობის თასი“ მოიგო, ასევე შარშან კი აზერბაიჯანის თასის ფინალში გავიდა და დრამატულ ბრძოლაში (პენალტების სერიაში) დამარცხდა „ხაზართან“: ანუ, „ინტერის“ ხელმძღვანელობას ცხადაძის მუშაობა სავსებით აკმაყოფილებს და ამიტომაც სურს ჩვენებურთან ურთიერთობის გაგრძელება. თანაც, „ინტერის“ შეფებს ისიც კარგად ეცოდინებათ, რომ უკვე მეორე წელიწადია, ცხადაძის გადაბირებას რამდენიმე ამბიციური აზერბაიჯანული გუნდი რომ ცდილობს; ეგ კი არა, ერთი თვის წინ იყო, აზერბაიჯანული ინტერნეტ-გამოცემა „აზერიფუტბოლის“ ცნობით, ცხადაძეს რუსული პრემიერლიგის გუნდის, გროზნოს „ტერეკი“ რომ იწვევდა (ამ შემთხვევაშიც, ახალ სეზონზეა ლაპარაკი). ანუ, კაცს წინადადებები არ აკლია,



მწვრთნელი: კახა ცხადაძე თუ სხვა სპეციალისტი. თუმცა, იმის თქმა კი დანამდვილებით შეგვიძლია, რომ თუ ცხადაძემ „ინტერთან“ კონტრაქტი აღარ გააგრძელა, ამ გუნდს კვლავაც უცხოელი მწვრთნელი ეყოლება. ყოველ შემთხვევაში, რაც „ინტერი“ არსებობს, სხვა პრეცედენტი არ ყოფილა და ვიდრე დღევანდელი მეპატრონე (კლუბი ვინც ჩამოაყალიბა 2005 წელს) იქნება, ადგილობრივ სპეციალისტებს იქ მუშაობის შანსი, ფაქტობრივად, გადაწურულიც აქვთ. რაც შეეხება ცხადაძის და „ინტერის“ ურთიერთობას, ქართველი მწვრთნელისა და ამ აზერბაიჯანული გუნდის თანამშრომლობა უკვე სამი სეზონია გრძელდება, რაც ამ კლუბის ისტორიაში სარეკორდო შედეგია. სხვა და არანაკლები მნიშვნელობის სარეკორდო მაჩვენებლებს კვლავაც დავუბრუნდებით, მანამდე კი კონტრაქტის თემაზე გავაგრძელოთ საუბარი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველ სპეციალისტს „ინტერთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს ეწურება, დაახლოებით ორი თვის წინ კი კლუბის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულების კიდევ ერთი წლით გაგრძელება შესთავაზა; ანდა, რატომ არ უნდა შეეთავაზებინათ ახალი კონტრაქტი? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არცთუ სოლიდური ბიუჯეტის მქონე გუნდი თავის გუნდშიც „ცხვირწინ“ უდევს ხელმოუწერელი კონტრაქტი, მაგრამ მაინც თავს იკავებს და ყველას უარით ისტუმრებს. უფრო ზუსტად, არ ხმაურდება და წინასწარ არ ამბობენ, თორემ თბილისის „დინამოსთან“ დაახლოებულ პირთა ცნობით, თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიან კლუბს ახალი სეზონიდან სწორედ ცხადაძე ჩაიბარებს. მით უფრო, რომ როგორც ჩვენთვის ცნობილია, „დინამოს“ მეპატრონეს **რომან ფიფიას** ჯერ კიდევ 2011 წლის დეკემბრის ბოლოს სურდა **ალექს გარსიას** ნაცვლად ცხადაძის დანიშვნა, თუმცა ქართველ სპეციალისტს „ინტერთან“ მოქმედი კონტრაქტი აკავშირებდა და ალბათ, სწორედ მაშინ იყო, „ფანტასტიკურ წინადადებაზე“ (თვითონ ცხადაძის სიტყვებია, ამ რამდენიმე ხნის წინათ „ლელოს„“ რომ განუცხადა) უარის თქმა რომ მოუწია. ახლა კი, „ინტერთან“ კონტრაქტი უმთავრდება და რადგანაც გაგრძელებაზე უარს ამბობს, დიდია იმის ალბათობა, რომ კვლავაც მიუბრუნდეს იმ „ფანტასტიკურ წინადადებას“; მით უფრო, რომ ცხადაძისათვის თბილისის „დინამო“ ვერასდროს იქნება „ჩვეულებრივი გუნდი“...

>> მე-3 გვერდზე

თემის გაგრძელება. — სიტუაცია



« მე-2 გვერდიდან

## ნდობის მანდატი და რეკორდები

**ვინფრიდ შეფერი, ტონი ადამსი, მირჩა რედნიკი, ვლასტიმილ პეტრჟელა, ჟოკიჩა ხაჯიევსკი, ჟიუნეთ ბიჩერი, რასიმ კარა, ალექსანდრ სტარკოვსი, სტანისლავ ჩერჩესოვი, ანატოლი დემიანენკო, რომან პოკორა, ვალდას ივანაუსკასი, ანდრეი ჩერნიშოვი, ვიქტორ პასულკო, სერგეი იურანი,** - აი, არასრული ჩამონათვალი იმ უცხოელი სპეციალისტებისა, ბოლო სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა აზერბაიჯანულ კლუბში რომ მუშაობდნენ. ამ ჩამონათვალში ზოგი ისეთია, რომელთა სამწვრთნელო კვალიფიკაცია ეჭვს არასდროს იწვევდა (შეფერი, რედნიკი, პეტრჟელა, სტარკოვსი და მეტ-ნაკლებად, ალბათ, ჩერჩესოვიც), თუმცა „გადაბმულად“ ორი სეზონი არც ერთს არ უმუშავია (პოკორას გარდა, ისიც მოკრძალებულ „სიმურგში“) და ამიტომაც ერთი-ორად არის დასაფასებელი ცხადაძის მიმართ გამოჩენილი ამხელა ნდობა. ჰო, მართლაც არ არის პატარა ამბავი, აზერბაიჯანის ჩემპიონატში უცხოელი მწვრთნელი სრულ სამ სეზონს რომ ჩაამთავრებს (თანაც, ერთსა და იმავე გუნდში), კვლავაც გაგრძელების პერსპექტივით. ჰოდა, აქედან გამომდინარე, ნურავის გაუკვირდება ცხადაძის აზერბაიჯანული რეკორდები: იქაურ ინტერნეტგამოცემა „აპასპორტის“ ცნობით, ლეგიონერ მწვრთნელებს შორის ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული (ჩემპიონატშიც, თასზეც, ევროტურნირებზეც) და ასევე პირველია უცხოელთა შორის, ჩემპიონატში 50 გამარჯვება რომ მოიპოვა. ისევ „აპასპორტზე“ დაყრდნობით იმასაც ვიტყვით, რომ ცხადაძე ერთადერთი მწვრთნელია, ბოლო სამი წლის განმავლობაში თავისი გუნდი მუდმივად რომ გაჰყავდა აზერბაიჯანის თასის მეოთხედფინალში.

### დინამო თუ უცხოეთი?

რუსთავის „მეტალურგი“, თბილისის „დინამო“, შევდეთის „სუნდსვალი“, მოსკოვის „სპარტაკი“, მოსკოვის „დინამო“, ფრანკფურტის „აინტრახტი“, ვლადიკავკაზის „ალანია“, „მანჩესტერ სიტი“, თბილისის „ლოკომოტივი“, მახაჩყალის „ანჟი“, - აი, ამ გუნდებში ასპარეზობდა ბაქოს „ინტერის“ დღევანდელი მწვრთნელი 1986-დან 2004 წლამდე. საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველ კაპიტანს საფეხბურთო კარიერის განმავლობაში არაერთი ტიტულიც მოუგია: საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა, საქართველოს ორგზის ჩემპიონია, რუსეთის თასის და ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ბუნდესლიგის მესამე პრიზიორია და ამას გარდა, უკანასკნელი ქართველი ფეხბურთელია, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე (დსთ-ს ნაკრების შემადგენლობაში) რომ იასპარეზა. აქვე, ალბათ, ის მწვრთნელებიც უნდა ვახსენოთ, რომლებთანაც აქტიური საფეხბურთო კარიერის განმავლობაში რომ მოუწია ურთიერთობამ: **შოთა ქეიშვილი, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ნოდია, ვლადიმერ გუცაევი, ოლეგ რომანცევი, ვალერი გაზაევი, ანატოლი ბიშოვეცი, გაჯი გაჯიევი, დრაგოსლავ სტეპანოვიჩი, იუპ ჰაინკესი, კლაუს ტოპმიოლერი, ჯო როილი.** ასეთ ხალხთან მუშაობა უკვალოდ ვერ ჩაივლიდა და 31 წლის ასაკში მწვრთნელობა გადაწყვიტა. პირველი გუნდი თბილისის „ლოკომოტივი“ იყო, სადაც მოთამაშე-მწვრთნელი გახლდათ, ამის შემდეგ გარკვეული პაუზა ჰქონდა (უფრო ზუსტად, ფეხბურთელის კარიერა გააგრძელა „ანჟიში“). 2005 წლის გაზაფხულზე თბილისის „დინამო“ ჩააბარეს და ჩემპიონიც გახადა, იმავე წლის შემოდგომაზე კი საქართველოს სუპერთასი მოიგო. **გიორგი ნავალოვსკი, ვლადიმერ დვალიშვილი, გიორგი მერებაშვილი, ირაკლი ჩირიკაშვილი, გულვერდ თომაშვილი, ნიკა ფირცხალავა,** - იმ დროისათვის ყველასათვის უცნობ ამ პატარა ბიჭებს „დინამოში“ დებიუტი სწორედ იმ პერიოდში ჰქონდათ; 2006 წლის იანვარში (დსთ-ს თასის მერე), ცხადაძეს „დინამოდან“ წამოსვლამ მოუწია, თუმცა სულ მალე „სიონის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და ამ ქვემოქართლურ კლუბს თავის ისტორიაში პირველი და უკანასკნელი წარმატებაც მოაპოვებინა: ბოლნისელები საქართველოს ჩემპიონები გახდნენ! 2008 წელს მოკრძალებული აზერბაიჯანული კლუბი „სტანდარდი“ ჩაიბარა, 2009 წლის გაზაფხულზე კი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა (ოთხი ამხანაგური მატჩი). 2009 წლის ზაფხულიდან დღემდე კი ისევ აზერბაიჯანშია და ბაქოს „ინტერის“ მთავარი მწვრთნელია; აი, სეზონის დასრულების შემდეგ კი თბილისის „დინამოში“ დაბრუნდება თუ კვლავაც უცხოეთში გააგრძელებს კარიერას, ამას, ალბათ, მალე შევიტყობთ...

**გია ტუხაშვილი**

ინტერვიუ გიორგი ჩიხრაძესთან

# მწვრთნელმა უნდა გარისკოს

**გიორგი ჩიხრაძეს აზერბაიჯანული „სიმურგი“ მარტში ჩააბარეს. გუნდს ძალიან უჭირდა და ჩათვალეს, რომ მძიმე მდგომარეობიდან ბაქოს “ინტერის” მთავარი მწვრთნელის, კახა ცხადაძის ასისტენტი გამოიყვანდა, რომელსაც თბილისის “ამერში” დამოუკიდებლად და წარმატებულად მუშაობის გამოცდილება ჰქონდა.**

**გიორგი საქმეს შეუდგა და “სიმურგს” ამჯერად აზერბაიჯანის პრემიერლიგაში დარჩენის პრობლემა აღარ აქვს.**

**- “სიმურგი” მძიმე დროს ჩაიბარეთ.**

- გუნდი უფსკრულისკენ მიექანებოდა და ასეთი თამაშით გადარჩენის შანსი არც ჰქონდა. წესით, „სიმურგი“ სეზონის დასრულების შემდეგ უნდა ჩამებარებინა. კლუბის პრეზიდენტს ამბიციური გუნდის ჩამოყალიბება სურდა და ამაზე ვილაპარაკეთ. მაგრამ ვითარება შეიცვალა და სეზონის მსვლელობისასვე გადასვლა შემომთავაზეს. თავიდან უარი ვუთხარი. ამის მიუხედავად, კარდინალური ნაბიჯები გადადგეს, მთავარი მწვრთნელი სერგეი იურანი გაათავისუფლეს და დახმარება მთხოვეს.

**- “სიმურგში” მუშაობას მანამდეც გთავაზობდნენ და ასისტენტობას მთავარი მწვრთნელობა არ გერჩივნათ?**

- ცხადია, ყველა მწვრთნელს დამოუკიდებლად მუშაობა სურს. თუმცა “ინტერიდან” წასვლას არ ვაპირებდი, რადგან კახა ცხადაძესთან ერთად დიდი გეგმები გვქონდა და მის განხორციელებაზე ვფიქრობდით. დამოუკიდებლად მუშაობას მხოლოდ ამის შემდეგ ვაპირებდი. მაგრამ “სიმურგმა” ზედიზედ 6 შეხვედრა წააგო და გოლსაც ველარ იტანდა. კიდევ ერთხელ რომ მომმართეს, უარი ველარ ვუთხარი.

**- ძალიან სარისკო გადაწყვეტილება კი მიიღეთ.**

- რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება მართლაც სარისკო იყო. არ ვტრაბახობ, ალბათ, ასე ბევრი მწვრთნელი არ მოიქცეოდა. მაგრამ მწვრთნელს გარისკვაც უნდა შეეძლოს.

**- არადა, “ამერიდან” რისკის მოყვარულ მწვრთნელად არ გვახსოვხართ.**

- გეთანხმებით, მაგრამ ისიც სარისკოა, როდესაც ამბიციურ კლუბს იბარებ და გუნდის გადარჩენის ობიექტური პირობები არ არსებობს. “ამერშიც” მთავარ მწვრთნელად ისეთ დროს დამნიშნეს, როდესაც გუნდი პირველ ლიგაში იყო, თუმცა დიდი ამბიცია ჰქონდა და უმაღლესში გადასვლა სურდა. გუნდის შენება საინტერესო და სასიამოვნო პროცესია, მით უფრო, მძიმე ვითარებაში.

სიძნელეებს კი არ უნდა შეუშინდე. მწვრთნელი ასეთი გამოწვევებით თუ გაიზრდება. მეც მაინტერესებდა, ძალა და შესაძლებლობები გამომეცადა. ცხოვრებაშიც და ჩემს კარიერაში ბევრჯერ იყო ასეთი მომენტები, როდესაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადამედგა და აქაც ასე მოვიქეცი. იმიტომ კი არა, რომ გავარდნის შემთხვევაში თავის მართლებას შევძლებდი, არამედ იმიტომ, რომ გუნდი გადამერჩინა.

**- სხვის დაკომპლექტებულ გუნდში მისვლა არასასიამოვნოა და რისკებს კიდევ უფრო ზრდის.**

- გეთანხმებით. თანაც, იურანისა და ჩემი გემოვნება ბევრით განსხვავდება. მე სხვაგვარად მესმის ფეხბურთი, თამაშის წარმართვა, მოთამაშეთა დაკომპლექტება და საწვრთნელი პროცესი. საქმეს ისიც ართულებდა, რომ სატრანსფერო ფანჯარა დახურული იყო და ველარ გავძლიერდებოდით. ამიტომ, “სიმურგში” ბევრი რამ შევცვალე, ხავსს მოვეჭიდეთ და იმედი გვაქვს, რომ პრემიერლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ. რა თქმა უნდა, ახლაც მძიმე ვითარებაში ვართ, ჩვენთვის ყოველი თამაში მნიშვნელოვანია, მაგრამ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა და იმედი გაგვიჩნდა.



გიორგი ჩიხრაძე

**- და თუ “სიმურგი” მაინც გავარდა, გუნდში დარჩებით?**

- ამაზე ლაპარაკიც არ მსურს, რადგან მწვრთნელისთვის გავარდნა ყველაზე უსიამოვნო ამბავია. მე სხვა რამეზე ვფიქრობ, რომ დავრჩებით და მომავალი წლისთვის ამბიციურ კლუბს ჩამოვაყალიბებთ, რომელიც მინიმუმ ექვსეულში მოხვდება. ხელმძღვანელობას სწორედ ასეთი გეგმები აქვს და ტრანსფერებში ფულის ეკონომიასაც არ აპირებენ.

**- ორიოდე წლის წინ “სიმურგს” ქართველების გუნდს ვეძახდით, ახლა კი ერთი ჩვენებურიც აღარ თამაშობს.**

- ჩვენი გეგმები თუ განხორციელდება და პრემიერლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ, ქართველების მოწვევაზეც ვიფიქრებ.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1 კვირის 1000

დავით თავართქილაძე

# ჩადრიცა და ჰარემიც

**იეთიმ გურჯი** ამბობდა, იქ სიმართლეს რა უნდა, სადაც ბევრი ფულიაო. ფეხბურთიც მასეთია, დიდი ფული ტრიალებს და ბევრი სიყალბეც. ეს გლობალური საკითხია და ბობოლებიც ნიადაგ ესწრაფვიან გამოსავლის ძებნას.

ფული და სიმართლე - ეს მხოლოდ საფეხბურთო საკითხი არ არის, უბრალოდ, ხანდახან ვცდილობთ საფეხბურთოდ მიმოვიხილოთ ფეხბურთზე დიდი საკითხები. ამ საქმიდან რა გამოვა, არ ვიცი, ჰოდა ოდენ ის დავიჩემეთ ადრიან გაზაფხულზე, რომ ჩემპიონი “ზესტაფონი” გახდება, ხოლო თასს “დილა” აიღებსო.

ჯერჯერობით ჩვენი ამოჩემება სწორი გზით მიდის. თუ ვინმე დაგვძრახავს, ეს თქვენი ნახევარსიმართლე არავის არ სჭირდებაო, ვერ შევეკამათებით. ქართულ ფეხბურთში იმდენი ცოდვა-მადლია, ჟურნალისტური გამოძიებისთვის ნოყიერ მასალებს რომ იძლევა, მაგრამ რად გინდა, ეს ჟურნალისტიკაც ვერ არის ისეთი, ქვა რომ გახეთქოს. ერთი სიტყვით, ცვლილებებია საჭირო.

მქონდა ბედნიერება და ევროპის კლუბთა გენერალურ ასამბლეას რამდენჯერმე დავესწარი. ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** სიტყვით რომ გამოდიოდა, სულ იმას გაიძახოდა, ფეხბურთში მონოპოლიური მმართველობა წარსულს ჩაბარდა, ეს ფიფას კარგად უნდა ესმოდეს, ახლა სხვა დრო დადგაო. ახლახან კი შევიტყვეთ, რომ საქართველოში საკლუბო ფეხბურთის განვითარებაზე სახელმწიფო და ფედერაცია ერთმანეთში კონსულტაციებს არ მართავენ, მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებში თანამშრომლობენ – ეს ფედერაციის გენმდივანმა რევაზ არველაძემ გვითხრა ინტერვიუში.

ისე, ამ საბიუჯეტო კლუბებმა ბევრი კარგიც მოიტანეს, პირველ რიგში - ფული. მოფულიანებული საბიუჯეტო კლუბები ძალაუნებურად გამოწვევას უგზავნიან კერძო კლუბებს. ამბიციური კერძო კლუბები უკვე კარგად ხედავენ რეალობას.

მე მაინც მგონია, რომ ამაზე ნაკლები დაფინანსება ქართულ კლუბებს არც მერე ექნებათ განურჩევლად იმისა, თუ რა მოხდება ქვეყანაში – ჩარხს უკან ვერავინ დაატრიალებს, დროის წინააღმდეგ ვერავინ წავა და ვერავინ იტყვის, საქართველოს ფეხბურთი არ სჭირდებაო. სიმართლე კი ალბათ არც მერე იქნება დიდად გამოსადეგი, ოღონდაც ფეხბურთის მონოპოლისტურად მართვას შესაძლოა, ალტერნატივა გამოუჩნდეს. ეს დროის მოთხოვნა გახდება.

■ ■ ■

“დინამოს” კი ამ სეზონში მესამედ დაუნიშნეს მწვრთნელი და საინტერესოა, ვინ იქნება “დინამოს” თავკაცი მომდევნო სეზონში. “დინამო” მწვრთნელთა კალეიდოსკოპიითაა დაკავებული.

ვინ მართავს “დინამოს”? ვისი პროექტია ეს “დინამო”? აქაც იეთიმ გურჯის სიბრძნე უნდა მოვიშველიოთ, ან ნახევარსიმართლეს დავჯერდეთ. თუ ვინმე სხვა, უკეთეს ვარიანტს შემოგვთავაზებს, მაგას რა აჯობებს, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ ჩანს.

“დინამოს” ჯერაც დიდი გუნდი ჰქვია, თუმცა ეს განმარტება მუდმივას არ წარმოადგენს. “ნოტინგემ ფორესტმა” ზედიზედ ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, მაგრამ ამ გუნდის ოდინდელი დიდებისგან აღარაფერი დარჩა. გერქვას დიდი გუნდი – ამას მხოლოდ ისტორია არ განაპირობებს.

იყო დიდი – ნიშნავს მისცე მიმართულება, ასეთი იყო სიტყვა **შტეფან ცვაიგის** და საკითხავია, უჭირავს კი “დინამოს” ასეთი ნიშა.

■ ■ ■

არის კარგი ამბებიც. **სანდრო კობახიძით** კიევის “დინამო” დაინტერესდაო, დაიწერა უკრაინულ მედიაში.

კობახიძე უკვე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის, ბოლო ამხანაგურ თამაშებში ეს კარგად გამოჩნდა. კაცის მოტყუება და კარში დარტყმა – კობახიძემ ეს იცის, რაც საკმაოდ ბევრია. **თემურ ქეცბაიას** არსენალში ასეთი ფეხბურთელი უკვე არის. თუ კობახიძე კიევის “არსენალიდან” უკეთეს გუნდში მოხვდება, ამით ნაკრებსაც უფრო გამოადგება. კობახიძე დიდად აქტუალური თემა გახდა.

უკრაინულ მედიაში **ბუბა დაუშვილის** ინტერვიუც გამოქვეყნდა. დაუშვილი “ზესტაფონის” პრეზიდენტ **ილია კოკაიას** აკრიტიკებს, მონათმფლობელობასაც კი ახსენებს.

ამ ჩახლართულ ამბავში მტყუან-მართალის გარკვევას არ ვაპირებ, თუმცა საქართველოში ფეხბურთელის ინტერესები ხშირად დაუცველი რომ არის, თქმა რად უნდა. გულის სიღრმეში თითქმის ყველა კლუბის პრეზიდენტს უნდა, რომ არ იყოს ბევრი შეძლებული კლუბი საქართველოში, რათა ფეხბურთელებს არ ჰქონდეთ დიდი არჩევანი. ზოგი კლუბი ფეხბურთელებს ფიქტიურ კონტრაქტსაც კი უფორმებს, რითაც ფაქტობრივად დამონებული ჰყავს ისინი.

■ ■ ■

ხვალ ეროვნული ჩემპიონატის ტურია. **რამაზ მუმლაძის** დებიუტი “დინამოს” მთავარი მწვრთნელის რანგში – მთავარი მატჩი გორში იქნება. არის სხვა საინტერესო შეხვედრებიც ზედა თუ ქვედა რვიანში. საქართველოს ჩემპიონატის მატჩების გამოცნობა ძალიან ძნელი გახდაო, ჩივიან მეფსონეები და თხზავენ ათასგვარ თეორიებს. ერთმა გამოცდილმა გემბლერმა ისიც კი მითხრა, საქართველოს ჩემპიონატი და ზოგი ქართული გუნდი იმ ძველმოდურ ქალს ემსგავსება, რომლისთვისაც ჩადრიცა და ჰარემიც ორ ნაბიჯზეაო. ღმერთმანი, კარგი ნათქვამია, მაგრამ ესეც ნახევარსიმართლეს ჰგავს. მე იეთიმ გურჯის სიტყვა უფრო მომწონს.



**სანდრო კობახიძე**
*ვაჟა სიმონიშვილის მეგობრული შარჟი*

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მეორე ეტაპი. VIII ტურის წინათქმა

# ზემოთაც და ქვემოთაც ყველაფერი გასარკვევია

გამონაკლისი არც ეს ტურია და პლეი ოფშიც და პლეი აუტშიც თითოეული მატჩის შედეგს **უდიდესი** მნიშვნელობა აქვს. **უპირველესად**, საინტერესო ის არის, ხვალინდელი **მატჩების** შემდეგ ვინ იქნება მოქცეული სატურნირო ცხრილის სათავეში. **დღეისთვის** "ზესტაფონსა" და "**მეტალურგს**" შორის მხოლოდ ერთქულიანი **დაშორებაა** და ერთპიროვნულ **ლიდერებს** ქულების დაკარგვის უფლება **არ აქვთ**.

"ზესტაფონთან" სათასო მარცხი "მეტალურგის" წევრთათვის არ იქნება იოლად დასავიწყებელი, მაგრამ რუსთაველები ვალდებულნი არიან, ამ შოკიდან დროულად გამოვიდნენ და ოქროს მედლებისთვის ბრძოლა განაგრძონ. ზუგდიდში სტუმრობა კი სახალისო არავისთვისაა და გამონაკლისი არც "მეტალურგია" – **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდს მორიგი რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს.


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

29 მარტი. დინამო-დილა 0:0

ერთი შეხედვით, შედარებით იოლი მატჩი ელის "ზესტაფონს", თუმცა "კოლხეთმა" ამ სეზონში არაერთი ფავორიტი გაამწარა და ზესტაფონშიც შეეცდება საკუთარი ძალის დემონსტრირებას. **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდმა საქართველოს თასის ფინალში გასვლით საკუთარი ძალების რწმენა დაიბრუნა და სავსებით შესაძლებელია, იმ შეხვედრის მოგებით საქართველოს მოქმედ ჩემპიონთა მცირე კრიზისიც დასრულდეს.

ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით მესამე ადგილისთვის გაჩაღებულ ბრძოლასაც, რომელშიც დღეიდან გორის "დილაც" აქტიურად ჩაერთვება, თუ შინ თბილისის "დინამოს" დაამარცხებს. ამ შემთხვევაში "დილა" "დინამოს" ქულებით გაუთანაბრდება, მოგებათა მეტი რაოდენობით კი გადაასწრებს. "ტორპედო" დღეისთვის მდევრებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაშია – თუ **გია გეგუჩაძის** გუნდი მარტვილიდან ქუთაისში ხელცარიელი არ დაბრუნდა და ამავდროულად, "დინამოს" გორში ხელი მოეცარა, მესამე პოზიციასაც გაიმყარებს და, შესაბამისად, ევროპის ლიგაზე მოხვედრის შანსსაც გაიზრდის.

ტურის ერთ-ერთი უმთავრესი ამბავი "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **რამაზ მუმლაძის** დებიუტია. ამ გამოცდილ სპეციალისტს განსაკუთრებული წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება – მუმლაძეს არაერთ ქართულ კლუბში უმუშავია, ყველაზე წარმატებული კი "ვიტ ჯორჯიას" თავკაცის პოსტზე იყო, როცა გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახადა.

მუმლაძეს დროებითი მწვრთნელის სტატუსი აქვს, მაგრამ თუ შეძლო და ექსტრემალურ ვითარებაში "დინამო" შედეგიანად აათამაშა, შესაძლოა, მას ამჟამინდელი თანამდებობა გაცილებით ხანგრძლივი დროითაც შესთავაზონ.

"ზესტაფონისა" და "მეტალურგის" მონაწილეობით გასამართ შეხვედრებს დიდი ინტერესით ველით, თუმცა, ტურის ცენტრალური მატჩი, რა თქმა უნდა, "დილა"-"დინამოა".

პლეი აუტში კი ყველა მატჩი თანაბრად მნიშვნელოვანია. "მერცხალის" გარდა, უმაღლეს ლიგაში თამაშის შანსი ყველას აქვს, შედარებით რთულ მდგომარეობაში კი დღეს "გაგრა", "ბათუმი" და "სპარტაკი" არიან და მათ დროულად გამოცოცხლება მართებთ. "ბათუმი" და "გაგრა" ერთმანეთს აჭარაში ეთამაშებიან და მათ შორის დამარცხებული მდგომარეობას ძალიან დაიმძიმებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## პლეი ოფი

დილა–დინამო
bwin: 2.65 3.00 2.50
22.04 გორი. თ. ბერძენიძე 17:00
Live რეპორტაჟი პირველ არხზე

ბაია–მეტალურგი
bwin: 4.10 3.10 1.85
22.04 ზუგდიდი. ბაიას ბაზა 16:00

ზესტაფონი–კოლხეთი
bwin: 1.70 3.30 4.60
22.04 ზესტაფონი. დ. აბაშიძე 19:00

მერანი–ტორპედო
bwin: 3.90 3.20 1.85
22.04 მარტვილი. ცენტრალური 16:00

## პლეი აუტი

მერცხალი–ვიტ ჯორჯია
21.04 ოზურგეთი. მეგობრობა 16:00

ჩიხურა–სიონი
21.04 საჩხერე. ცენტრალური 16:00

გურია–სპარტაკი
21.04 ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე 16:00

ბათუმი–გაგრა
22.04 ბათუმი. ადელი 16:00

## პლეი ოფი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 21 | 11 | 7 | 3 | 38 | 22 | 40 |
| 2 | მეტალურგი | 21 | 12 | 3 | 6 | 30 | 23 | 39 |
| 3 | ტორპედო | 21 | 9 | 5 | 7 | 23 | 18 | 32 |
| 4 | დინამო | 21 | 7 | 9 | 5 | 35 | 28 | 30 |
| 5 | დილა | 21 | 7 | 6 | 8 | 25 | 23 | 27 |
| 6 | კოლხეთი | 21 | 5 | 8 | 8 | 16 | 24 | 23 |
| 7 | ბაია | 21 | 5 | 7 | 9 | 19 | 28 | 22 |
| 8 | მერანი | 21 | 4 | 3 | 14 | 22 | 42 | 15 |

## პლეი აუტი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 7 | 5 | 1 | 1 | 12 | 7 | 16 |
| 2 | გურია | 7 | 4 | 2 | 1 | 13 | 9 | 14 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 7 | 4 | 13 |
| 4 | სიონი | 7 | 3 | 2 | 2 | 14 | 8 | 11 |
| 5 | სპარტაკი | 7 | 2 | 2 | 3 | 8 | 9 | 8 |
| 6 | ბათუმი | 7 | 2 | 2 | 3 | 5 | 9 | 8 |
| 7 | გაგრა | 7 | 1 | 3 | 3 | 7 | 8 | 6 |
| 8 | მერცხალი | 7 | 0 | 1 | 6 | 1 | 13 | 1 |

● ლეგიონერი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# რობერტინიოც ბრაზილიელია

## სამბა, მუსიკა და ცოტა ლუდი

*საქართველოს ჩემპიონატში არაერთი საინტერესო ფეხბურთელია არა მხოლოდ თავისი მონაცემებით, არამედ უცნაურობებითაც. ბრაზილიელი რობერტინიო "დინამო თბილისში" 2009-10 წლების სეზონში მივიდა და თავიდანვე დაგვანახა, რომ ნიჭიერია. შესაძლოა, ამ ბრაზილიელი შემტევის ნიჭიერებაში ბევრი არ დაგვეთანხმოს, მაგრამ ესეც ფეხბურთის ნაწილია.*

*რობერტინიოს ამბავი მართლაც უცნაურია – ის არის სწრაფი, მოდრიბლინგე თავდამსხმელი, მაგრამ რატომღაც ჩრდილში აღმოჩნდა. ის ხასიათის ფეხბურთელს ჰგავს, თუმცა ვინ იცის, იქნებ სხვა რაღაცაშია საქმე. რობერტინიოს შეუძლია ის, რაც ბევრს არ შეუძლია, ოღონდაც ამას იშვიათად აკეთებს, ან არ აქვს საშუალება, რომ გააკეთოს.*

*ის ბრაზილიელია და არის მასში ის, რაც სხვას ვერ ექნება. რობერტინიოს შესაძლებლობებს გამოყენება უნდა და მწვრთნელიც მაგისთვის არსებობს, რომ ფეხბურთელისგან მაქსიმუმი გამოადნოს.*

*რობერტინიო 23 წლისაა და ჯერაც აქვს დრო, თავისი რომ დაამტკიცოს. "დინამოში" ერთხელაც შეიცვალა მწვრთნელი და ვნახოთ, იქნებ ამან დადებითად იმოქმედოს რობერტინიოზეც.*

*რობერტინიოსთან ინტერვიუ "დინამოს" პრესსამსახურის უფროსის, გიგა გვენცაძის დახმარებით გავაკეთეთ...*

**- როცა "დინამოში" მიხვედი, შენგან ყველა ბევრს ელოდა და მართლაც, ბრაზილიელი ლეგიონერებისგან მხოლოდ თვალისმომჭრელი თამაში აკმაყოფილებთ. რობერტინიო აქამდე ოდენ ეპიზოდებში იყო გამორჩეული – რატომ?**

- "დინამოში" რომ მოვედი, ასაკით უფროსი ფეხბურთელები დამხვდნენ. გამოცდილება შევიძინე. ყოველთვის ვცდილობ თამაშის გაუმჯობესებას. რა თქმა უნდა, მაქსიმუმისთვის არ მიმიღწევია, მეტის გაკეთება შემიძლია. იყო პერიოდი, გადაბმულად ორი ტაიმი ან ორი მატჩი რომ არ მითამაშია. როცა ალექს გარსია იყო "დინამოს" მწვრთნელი, თამაში ფაქტობრივად არ მიწევდა. საკუთარი თამაშის გაუმჯობესების იმედი მაქვს და ამისთვის გარკვეული დრო მჭირდება.

**- რობერტინიოზე ამბობენ, დისციპლინას მკაცრად არ იცავს, ალკოჰოლზეც არ ამბობს უარსო – ამაზე რას იტყოდი?**

- ზოგადად, ბრაზილიელებს ძალიან გვიყვარს დალევა, დღესასწაულების აღნიშვნა და რადგან ბრაზილიელი ვარ, შესაძლოა ჩემზეც იფიქრონ, რომ ალკოჰოლის მოყვარული ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ასე არ არის. პროფესიონალი ვარ და სპორტულ რეჟიმს ვიცავ. სპორტსმენს პირადი ცხოვრებაც აქვს და ყველაზე მეტი, რისი უფლებაც შეიძლება საკუთარ თავს მივცე, ის არის, რომ ლუდი დავლიო.

**- "დინამოს" უკვე ყოფილი მწვრთნელი, გიორგი დევდარიანი გენდობოდათ, წინა ტურში "ბაიასთან" გოლიც გაიტანეთ – როგორ აცყობ, ხარ ოპტიმალურ ფორმაში?**

- ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ. როცა გენდობიან და ხშირად გიწევს მოედანზე გასვლა, თავის გამოჩენის მეტი შანსი გაქვს.

**- "დინამოში" კიდევ რამდენ ხანს აპირებ დარჩენას? კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ რა გეგმები გაქვს?**

- "დინამოსთან" კონტრაქტი კიდევ ორი წლით მაკავშირებს, აქ ყველაფრით კმაყოფილი ვარ. "დინამო" და საქართველო ძალიან მომწონს და მსურს, რომ აქ კიდევ დიდი ხნით დავრჩე.

**- რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ცხოვრობ – ყველაზე უფრო რასთან გაგიჭირდა შეგუება?**

- ზოგჯერ მეტოქე გუნდის ფეხბურთელები ზედმეტად აგრესიულები არიან მოედანზე. ალბათ დამეთანხმებით, რომ ამაში სასიამოვნო არაფერია. სხვა მხრივ კი ყველაფერი ნორმალურადაა.

**- სისწრაფე და დრიბლინგი – ამის უნარი ალბათ თანდაყოლილი აქვს რობერტინიოს...**

- ეს ალბათ მართლა ბუნებრივად მაქვს, თუმცა სულ გულმოდგინედ ვვარჯიშობ ამ ყველაფერზე და იმ ნაკლოვანებების გამოსწორებაზე, რაც მაქვს. საკუთარ თავს ვატყობ, რომ შემიძლია მოვუმატო თამაშს და სისწრაფისა და დრიბლინგის გარდა სხვა საჭირო თვისებებიც გამოვავლინო. ვცდილობ, ვმუშაობ და ვნახოთ...

**- რობერტინიო, ასე ვთქვათ, ხასიათის ფეხბურთელია?**

- როცა მოედანზე გადიხარ, მთავარი ამოცანა საკუთარი ფუნქციების მაღალ დონოზე შესრულებაა. მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება, ყოველთვის არ გამოდის ისე, როგორც შენ გინდა. და ეს იმის ბრალი არ არის, რომ სათანადოდ არ ხარ განწყობილი. ასეა მოედანზეც და ცხოვრებაშიც...

**- საქართველოში ალბათ უფრო იმისთვის ჩამოხვედი, რომ მერე კარიერა უკეთეს ლიგაში, რომელიმე ევროპულ ქვეყანაში გააგრძელო...**

- მომავალში რა იქნება, რთული სათქმელია.

**- საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე უფრო რომელი ფეხბურთელი მოგწონს?**

- ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესო ჩისკოა. ძალიან მომწონდა "ზესტაფონის" თავდამსხმელი ნიკა გელაშვილიც.

**- გაქვს რაიმე ახირება?**

- არა მგონია. უბრალოდ, მიყვარს მუსიკა, სამბა. რა სიტუაციაშიც არ უნდა აღმოვჩნდე, ყოველთვის ვცდილობ გონება გავათავისუფლო უარყოფითი ემოციებისგან და კარგი განწყობა შევიქმნა. ყოველივე ეს ხშირად მეხმარება თამაშის წინ.

**- ფეხბურთის თამაშის გარდა კიდევ რა გამოსდის კარგად რობერტინიოს?**

- განსაკუთრებული არაფერი. თავისუფალ დროს ჩემს ოჯახს ვუთმობ, თბილისში მეუღლესთან ერთად ვარ, მყავს მეგობრებიც, მათ შორის ბრაზილიელებიც.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXIII ტურის წინ


ერიკ ელის ხელში სოშოს გადარჩენის შანსი გაუჩნდა

# კიდევ ერთხელ აუტსაიდერთან

| დღეს | |
|---|---|
| ბრესტი-რენი | 21:00 |
| კანი-სტ. ეტიენი | 21:00 |
| დიჟონი-ლილი | 21:00 |
| ევიანი-ტულუზი | 21:00 |
| მონპელიე-ვალანსიენი | 21:00 |
| ნიცა-ოსერი | 21:00 |
| ბორდო-მარსელი | 23:00 |
| **ხვალ** | |
| აიაჩო-ნანსი | 19:00 |
| პსჟ-სოშო | 19:00 |
| ლიონი-ლორიანი | 23:15 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 32 | 20 | 6 | 6 | 59-31 | 66 |
| 2. პსჟ | 32 | 18 | 10 | 4 | 57-34 | 64 |
| 3. ლილი | 32 | 16 | 11 | 5 | 60-36 | 59 |
| 4. ლიონი | 32 | 16 | 5 | 11 | 49-41 | 53 |
| 5. ტულუზი | 32 | 15 | 8 | 9 | 35-28 | 53 |
| 6. რენი | 32 | 14 | 9 | 9 | 44-36 | 51 |
| 7. სტ. ეტიენი | 32 | 14 | 8 | 10 | 40-36 | 50 |
| 8. ბორდო | 32 | 10 | 13 | 9 | 38-36 | 43 |
| 9. ევიანი | 32 | 11 | 9 | 12 | 46-46 | 42 |
| 10. მარსელი | 32 | 10 | 11 | 11 | 39-36 | 41 |
| 11. ნანსი | 32 | 10 | 10 | 12 | 33-39 | 40 |
| 12. ვალანსიენი | 32 | 10 | 7 | 15 | 31-39 | 37 |
| 13. ლორიანი | 32 | 8 | 11 | 13 | 30-41 | 35 |
| 14. ნიცა | 32 | 8 | 10 | 14 | 33-39 | 34 |
| 15. კანი | 32 | 8 | 10 | 14 | 34-45 | 34 |
| 16. დიჟონი | 32 | 9 | 7 | 16 | 37-52 | 34 |
| 17. ბრესტი | 32 | 6 | 15 | 11 | 28-32 | 33 |
| 18. სოშო | 32 | 8 | 9 | 15 | 33-48 | 33 |
| 19. აიაჩო | 32 | 7 | 12 | 13 | 33-54 | 33 |
| 20. ოსერი | 32 | 5 | 13 | 14 | 37-47 | 28 |

"პარი სენ-ჟერმენმა" წინა ტურში მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გაუშვა ხელიდან შანსი, ცხრილის პირველ საფეხურს დაბრუნებოდა. "აბე დეშამზე", სადაც "ლურჯ-წითლებს", ტრადიციულად, თამაში ძალიან უჭირთ, **კარლო ანჩელოტის** გუნდს ფეხი დაუსხლტა. ახლა კი მათ მეორე აუტსაიდერთან უწევთ შებმა, ვისთანაც შინ 14 თამაში აქვს გამართული და ჯერ ერთხელაც არ წაუგია - 8 მოგება, 6 ფრე. ასე რომ, თუკი სტატისტიკას ვენდობით, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ მასპინძლებს მოგების მეტი შანსი აქვთ, ვიდრე წარუმატებლობის. "ოსერმა" მოახერხა და ჩვენი პრობლემებით ისარგებლა. ისლა დაგვრჩენია, ვნახოთ, რა მოხდება უახლოეს მომავალში. იმისთვის კი, რაც მოხდა, ჩვენ გასამართლებელი საბუთები არ უნდა ვეძებოთ. იმ მატჩში სამი ქულის ასაღებად ჩვენ უბრალოდ არასათანადოდ კარგები ვიყავით. აშკარაა, გუნდს პრობლემა აქვს კონცენტრაციაში, რადგან რატომღაც გვგონია, რომ ყველაფერი იოლად გამოგვივა. თუკი გამარჯვება გვინდა, მომავალში ასე აღარ უნდა ვითამაშოთ. მე ეს ფეხბურთელებსაც ვუთხარი, მე მათით უკმაყოფილო ვარ," – აცხადებს კარლეტო.

"პარი სენ-ჟერმენს" ქაღალდზე არა უშავს. თავად განსაჯეთ. დედაქალაქელებს ანჩელოტის ხელმძღვანელობით ლიგა 1-ში 13 თამაშში ერთადერთი წაგება აქვთ, მაგრამ სხვა საქმეა რეალურად რა ხდება. ყველა ტურნირს თუ მივათვლით, გუნდს ბოლო 6-დან ერთი თამაში აქვს მოგებული და ეს ყველაფერი ძირითადად იმის გამო ხდება, რომ დაცვა ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. **სალვატორე სირიგუ** ზედიზედ 9 თამაშია ვერ ახერხებს კარის მშრალად შენახვას.

რაც შეეხება სტუმარს. მისი მდგომარეობა არც ისე უიმედოა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ. მარტში გუნდი ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ერიკ ელიმ** ჩაიბარა, ვისი ხელმძღვანელობითაც გუნდს 6 შეხვედრაში 4 მოგება და 2 წაგება ("ლიონსა" და "მონპელიესთან" გასვლებზე) აქვს. "სოშოს" მთავარი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. *"ფეხბურთელებზე ხანდახან მაინც დამთრგუნველად მოქმედებს ის პოზიცია, რაც ცხრილში გვიკავია. ნერვიულობა კი ჩვენს მისიას კიდევ უფრო ართულებს. აუცილებელია იმედის ქონა, რადგან მას ბევრი უზარმაზარი დადებითი გავლენა შეუძლია ჩვენზე იქონიოს. უნდა გვჯეროდეს ჩვენი თავის და იმის, რომ შევძლებთ იმ მიზნის მიღწევას, რასაც ვისახავთ,"* – ამბობს ერიკ ელი.

ამბები

# კრანჩარი სეზონის ბოლომდე

"ტოტენჰემის" 27 წლის ხორვატმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა **ნიკო კრანჩარმა** გუნდის ვარჯიშზე მიღებული მუხლის სერიოზული ტრავმის გამო სეზონი ნაადრევად დაასრულა. არათუ სეზონი, საკითხავია, მოასწრებს თუ არა ფეხბურთელი მაისის ბოლომდე ფორმაში ჩადგომას და ხორვატიის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე თამაშს.

# ბეინსის მცირე შევიწროება

"ევერტონის" კაპიტანი, 27 წლის **ლეიტონ ბეინსი** ხვალ "მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრას გამოტოვებს. მიზეზი მუხლის მყესის მცირე დაჭიმვაა. ექიმების ვარაუდით, ფეხბურთელს 2-3 კვირის გამოტოვება მოუწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლეიტონს საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ბოლო ტურში შეეძლება "ნიუკასლთან" მოედანზე გასვლა. უახლოეს დღეებში ბეინსი კიდევ ერთ შემოწმებას გაივლის, მაგრამ გუნდის სამედიცინო პერსონალი საკუთარ პროგნოზში დარწმუნებულია.

# ფელაინი ევერტონიდან მიდის


მარუან ფელაინი

"ევერტონის" 24 წლის საყრდენი ნახევარმცველი **მარუან ფელაინი** მზადაა, სეზონის დასრულების შემდეგ დატოვოს "გუდისონ პარკი", თუკი მას კონტრაქტს უფრო დიდი ამბიციების მქონე კლუბი შესთავაზებს. უკვე ცნობილია, რომ მაროკოული ფესვების მქონე ფეხბურთელს თანამშრომლობას "ჩელსი" და "არსენალი" სთავაზობენ. მსურველს ფელაინის კონტრაქტის გამოსყიდვა 15 მილიონ ფუნტზე (18,30 მლნ ევრო) მეტი დაუჯდება. გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი ჟურნალისტებმა ფელაინის აგენტ **ლუჩანო დ'ონოფრიოს** სთხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს.

# კუიტს ჰამბურგთან არ ულაპარაკია

ის, რომ სეზონის დასრულების შემდეგ "ლივერპულს" **დირკ კუიტი** ტოვებს, უკვე გაცნობეთ. 31 წლის ჰოლანდიელმა საბოლოოდ დაკარგა **კენი დალგლიშის** ნდობა. მას "წითლებთან" ხელშეკრულებაში ერთი წელიღა დარჩა და შესაბამისად, კლუბს მასთან გამოთხოვება უკვე ამ ზაფხულს ურჩევნია. მართალია, რამდენიმე კვირის წინ ის გუნდში დარჩენის სურვილზე ლაპარაკობდა, მაგრამ ალბათ მშვენივრად ესმის, რომ თუკი მწვრთნელს მისი სამსახური არ დასჭირდა, "ენფილდზე" არავინ გააჩერებს. გერმანულმა პრესამ ამ დღეებში დაწერა, ფეხბურთელის წარმომადგენლებს "ჰამბურგთან" აქვს მოლაპარაკება გაჩაღებულიო. *"დირკის გადაბირებით "ჰამბურგია" დაინტერესებული? ვერაფერს გეტყვით. მისი შეძენა შეიძლება მართლა ბევრს მოუნდეს, მაგრამ ამ ეტაპზე კონკრეტული არაფერია,"* – აცხადებს ფეხბურთელის აგენტი **რობ იანსენი**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


დირკ კუიტი

ფეხბურთი და კრივი

# ჩელსი და ჯო ფრეიზერი


გლენ ჰოდლი

"ჩელსის" ყოფილ მთავარ მწვრთნელ **გლენ ჰოდლს** ყოფილი გუნდისა და "ბარსას" განმეორებითი შეხვედრა **ჯო ფრეიზერისა** და **მუჰამედ ალის** ლეგენდარულ საკრივო დაპირისპირებას აგონებს. ჰოდლი თავიდანვე ამტკიცებდა, "ჩელსის" შეუძლია პირველ შეხვედრაში გამარჯვება, თუკი დიდიე დროგბა ჩვეულ დონეზე ითამაშებსო. ახლა ის ამბობს, რომ ლონდონელებს შანსი კატალონიაშიც აქვთ, თუმცა ისიც ესმის, რომ ამის გაკეთება ობიექტური მიზეზების გამო ბევრად რთული იქნება. *"მუჰამედ ალი ფანტასტიკურ ფორმაში იყო. ყველას ეგონა, რომ მისი დამარცხება შეუძლებელი იყო. დღეს იმავეს თქმა შეიძლება "ბარსელონაზე". "რეალი" დიდი ხანია ცდილობს მას თავზე გადაახტეს, "მანჩესტერ იუნაიტედმაც" სცადა ეს წარუმატებლად. ეს თითქოს შეუძლებელია. მაგრამ როგორც ვიცით, ფრეიზერმა ალი მაინც დაამარცხა, რადგან იყო აგრესიული, და უბრალოდ უარს აცხადებდა დანებებაზე ეფიქრა. მსგავსი ღირსებები ახლანდელ "ჩელსისაც" აქვს. გუნდმა უნდა შეძლოს მათი ჩვენება. ფინალში ასე თუ გავა,"* – განაცხადა გლენ ჰოდლმა.



● გერმანია. ბუნდესლიგა. XXXII ტურის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გუშინ**

**მაინცი–ვოლფსბურგი 0:0**

**დღეს**

**ჰოფენჰაიმი–ლევერკუზენი 17:30**

**პირველ წრეში:** 0:2
**დისკვალიფიკაცია:** რაინარტცი (ლევერკუზენი)
**ტრავმა:** იაისლე, რობერტო ფირმინიო – და კომპა, შვააბი, რენატო, სემი

**ვერდერი–ბაიერნი 17:30**

**პირველ წრეში:** 1:4
**დისკვალიფიკაცია:** ბიონიში, ფრიტცი, სოკრატისი - ბადშტუბერი
**ტრავმა:** ჰართერცი, ბარგფრედე, ბოროვსკი, ექიჩი, მარინი – ბრენო, ვან ბუიტენი

**ნიურნბერგი–ჰამბურგი 17:30**

**პირველ წრეში:** 0:2
**დისკვალიფიკაცია:** გერერო (ჰამბურგი)
**ტრავმა:** ჰლუშეკი, მენდლერი, აიგლერი, ესვაინი - რაიკოვიჩი

**ჰერტა–კაიზერსლაუტერნი 17:30**

**პირველ წრეში:** 1:1
**დისკვალიფიკაცია:** კობიაშვილი - ტიფერტი
**ტრავმა:** ფრანცი, მიატოვიჩი, ნოიმანი, ლუსტენბერგერი, დიურიჩინი – შიმუნეკი, დერშტროფი, იორგენსენი, კუემაა, სუკუტა-პასუ

**კიოლნი–შტუტგარტი 17:30**

**პირველ წრეში:** 2:2
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ანდრეზინიო, სერენო, ჩიჰი, უთი – ბულარუზი, ჩელოცი, რიუდიგერი, აუდელი

**ბორუსია (დ)–ბორუსია (მ) 20:30**

**პირველ წრეში:** 1:1
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კოხი - მარქსი

**ხვალ**

**აუგსბურგი–შალკე 17:30**

**პირველ წრეში:** 1:3
**დისკვალიფიკაცია:** ფუხსი (შალკე)
**ტრავმა:** დე იონგი, ბა, გოგია, ს. შაინი – ფერმანი, ჰილდებრანდი, პაპადოპულოსი

**ჰანოვერი–ფრაიბურგი 19:30**

**პირველ წრეში:** 1:1
**დისკვალიფიკაცია:** ანდრეასენი, პინტუ (ორივე ჰანოვერი)
**ტრავმა:** მ. დიუფი – ბართი, მუიჯა, ფლუმი, შუსტერი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 31 | 22 | 6 | 3 | 69-23 | 72 |
| 2. ბაიერნი | 31 | 20 | 4 | 7 | 69-20 | 64 |
| 3. შალკე | 31 | 18 | 3 | 10 | 66-41 | 57 |
| 4. ბორუსია (მ) | 31 | 16 | 8 | 7 | 46-22 | 56 |
| 5. შტუტგარტი | 31 | 14 | 7 | 10 | 59-41 | 49 |
| 6. ლევერკუზენი | 31 | 12 | 9 | 10 | 46-43 | 45 |
| 7. ჰანოვერი | 31 | 11 | 11 | 9 | 39-43 | 44 |
| 8. ვერდერი | 31 | 11 | 9 | 11 | 45-50 | 42 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 31 | 10 | 11 | 10 | 38-40 | 41 |
| 10. ვოლფსბურგი | 32 | 12 | 5 | 15 | 42-56 | 41 |
| 11. მაინცი | 32 | 9 | 11 | 12 | 47-48 | 38 |
| 12. ნიურნბერგი | 31 | 11 | 5 | 15 | 33-42 | 38 |
| 13. ფრაიბურგი | 31 | 9 | 9 | 13 | 41-56 | 36 |
| 14. ჰამბურგი | 31 | 8 | 10 | 13 | 34-55 | 34 |
| 15. აუგსბურგი | 31 | 7 | 12 | 12 | 34-48 | 33 |
| 16. კიოლნი | 31 | 8 | 5 | 18 | 36-66 | 29 |
| 17. ჰერტა | 31 | 6 | 10 | 15 | 34-57 | 28 |
| 18. კაიზერსლაუტ. | 31 | 3 | 11 | 17 | 19-46 | 20 |

**ბომბარდირები:** 25 – გომესი (ბაიერნი); 24 – ჰუნტელაარი (შალკე); 20 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 17 – ჰარნიკი (შტუტგარტი), პოდოლსკი (კიოლნი); 16 – პისარო (ვერდერი), როისი (ბორუსია /მ/).

# ჩაიბარეთ, ჩაიბარეთ...

## თუ ბაიერნი ბრემენში მხოლოდ ვალის მოსახდელად ჩავა, დორტმუნდი ჩემპიონობას გლადბახთან მატჩამდე გაინაღდებს


დორტმუნდის ბორუსიას ფანები დღეს ტიტულის განაღდებას ელიან

32-ე ტურის წინ დორტმუნდის „ბორუსია“ „ბაიერნს“ რვა ქულით უსწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ **იურგენ კლოპის** გუნდის ჩემპიონობა გარდაუვალია. თუმცა დორტმუნდელებს პირველი ადგილი ოფიციალურად ჯერ არ აქვთ განაღდებული, დღევანდელი მატჩები კი ისეა გადანაწილებული, რომ შესაძლოა, „ბორუსია“ გერმანიის ჩემპიონი მოედანზე გასვლამდე გახდეს: „ბაიერნი“ 17:30-ზე ბრემენში თამაშობს, დორტმუნდელები კი მიონხენგლადბახელ სეხნიას 20:30-ზე დაუპირისპირდებიან – საკმარისია, რეკორდმაისტერმა ბრემენში ვერ მოიგოს, რომ „შავ-ყვითლები“ „ვერცხლის სინს“ ოფიციალურად გაიფორმებენ და მნიშვნელობა აღარ ექნება იმას, თუ რა შედეგს აჩვენებენ „გლადბახთან“. თანაც, შანსი იმისა, რომ „ბაიერნმა“ „ვერდერთან“ ვერ მოიგოს, ძალიან დიდია, რადგან ბრემენელებს ევროპალიგაში მოხვედრა სურთ და ამ მიზნის მისაღწევად სამი ქულა სჭირდებათ. გაცილებით დაძაბული მატჩები გველის გადარჩენისთვის ბრძოლაში: „კიოლნი“ „შტუტგარტს“ მასპინძლობს, ხოლო „ჰერტას“ „კაიზერსლაუტერნთან“ სასიცოცხლო მნიშვნელობის დუელი აქვს.

### მცირე ფინალი ზინსჰაიმში

რაკი გერმანიის ჩემპიონი პრაქტიკულად გარკვეულია, წინა პლანზე ევროპალიგის საგზურისთვის და გადარჩენისთვის ბრძოლამ წამოიწია. ჰოფენჰაიმელები ევროპაში მოხვედრაზე აღარ ოცნებობდნენ, მაგრამ ბოლო დროს სერიოზული პროგრესი განიცადეს და საუკეთესო შვიდეულში მოხვედრის შანსი გაუჩნდათ. დღეს „სოფლელები“ ზინსჰაიმში „ლევერკუზენს“ მასპინძლობენ და ეს ორივე გუნდისთვის ერთგვარი ფინალია, რადგან **მარკუს ბაბელის** გუნდს სასურველ პოზიციამდე მხოლოდ სამი ქულა აშორებს, ლევერკუზენელები კი 45 ქულით მეექვსე ადგილზე არიან.

### ტრადიციული დუელი ნიურნბერგში

„ნიურნბერგი“ და „ჰამბურგი“ კი გადარჩენისთვის იბრძვიან და ერთმანეთის წინაალმდეგ დამშვიდებულები წარსდგებიან, რადგან წინა ტურში სამ-სამი ქულა აიღეს (ფრანკებმა „კაიზერსლაუტერნი“ 2:0 დაამარცხეს, ჰამბურგელებმა კი „ჰანოვერს“ 1:0 სძლიეს) და ამოისუნთქეს. ეს განსაკუთრებით „ნიურნბერგზე“ ითქმის, რადგან **დიტერ ჰეკინგის** გუნდი გასავარდნ ზონას მთელი 9 ქულით მოშორდა – და ეს იმ დროს, როცა ფინიშამდე მხოლოდ სამი ტურიღაა დარჩენილი. თამამად უნდა ვთქვათ, რომ ფრანკებს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე აღარ ემუქრებათ, რასაც „ჰამბურგზე“ (34 ქულა) ჯერ ვერ ვიტყვით, თუმცა ფაქტია, რომ გადარჩენა უკვე ჩრდილოელებისთვისაც ფორმალობაა. ბუნდესლიგის „დინოს“ მეთექვსმეტეადგილოსან „კიოლნზე“ გაცილებით უკეთესი ბურთების შეფარდება აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ტორსტენ ფინკის** შეგირდები ნიურნბერგში ფრეზეც ყაბულს იქნებიან.

### კიოლნი თუ ჰერტა, ჰერტა თუ კიოლნი?

„კაიზერსლაუტერნზე“ საუბარი აღარ ღირს, ყველაზე მძიმე, მაგრამ ჯერ კიდევ საიმედო მდგომარეობაში კი კიოლნელები და ბერლინელები არიან. „თხების“ ხელმძღვანელებმა მწვრთნელი შეცვალეს (**სოლბაკენი** გააგდეს, **შეფერი** დააბრუნეს), მაგრამ „კიოლნს“ ვერც ამან უშველა – **ლუკას პოდოლსკი** და კომპანია წინა ტურში „გლადბახთან“ 0:3 დამარცხდნენ და მე-16 ადგილზე დარჩნენ. თანაც, „კიოლნმა“ იმ მატჩში ისე ითამაშა, როგორც მეორე ბუნდესლიგაში დასაქვეითებლად განწირულ გუნდს შეეფერება – უსულგულოდ და ყოველგვარი აგრესიის გარეშე. ამჯერად „თხები“ შესანიშნავ ფორმაში მყოფ „შტუტგარტს“ მასპინძლობენ – გუნდს, რომელმაც 9-მატჩიანი წაუგებელი სერია (7/2/0) „გამოაცხო“ და მეხუთე ადგილზეა. ეს პოზიცია შვაბებს პირდაპირ ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის გარანტიას მისცემს და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ **ბრუნო ლაბადიას** გუნდს მე-5 ადგილის შენარჩუნების ჩინებული შანსი აქვს, რადგან უახლოეს მდევარ „ლევერკუზენს“ 4 ქულით უსწრებს. სტატისტიკაც „შტუტგარტის“ მხარესაა: ახლო წარსულში შვაბებმა კიოლნში ზედიზედ სამი მატჩი აი, ამ ანგარიშებით მოიგეს – 3:1, 5:1, 3:0.

ცხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ჰერტა“ „კიოლნზე“ უარეს დღეშია (დედაქალაქელები „თხებს“ ერთი ქულით ჩამორჩებიან), მაგრამ **ლევან კობიაშვილის** გუნდი უფრო ვაჟკაცურად იბრძვის. წინა ტურში **ოტო რეჰაგელის** სამწყსომ ლევერკუზენში 3:3-ს მიაღწია, რის გამოც ფეხბურთელებმა „მეფე ოტოს“ ქება დაიმსახურეს. იმ შეხვედრაში კობიაშვილი მოედნიდან გააძევეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლევანი დღეს დისკვალიფიცირებულია. ათკაციანმა „ჰერტამ“ „ლევერკუზენს“ სამი გოლი გაუტანა და 0:2 3:2-ად შეუტრიალა, თუმცა „ფარმაცევტებმა“ ბოლოს მაინც გაათანაბრეს, საბოლოოდ კი, რეჰაგელი ქულითაც კმაყოფილი დარჩა. დღეს კი „ჰერტას“ მეტოქე უსუსური ბოლოადგილოსანი „კაიზერსლაუტერნია“, რომელსაც 21-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს. „ეშმაკების“ ახალი თავკაცის, **კრასიმირ ბალაკოვის** ბალანსი კი ასე გამოიყურება: 0 მოგება, 0 ფრე, 5 წაგება.

### უმარილო კლასიკა ბრემენში

დიახ, უმარილო, რადგან „ვერდერისა“ და „ბაიერნის“ მატჩს სიმძაფრე აკლია. ბრემენული კლუბი ევროპალიგის საგზურისთვის იბრძვის და უაღრესად მოტივირებულია, აი, „ბაიერნზე“ კი ამას ვერ ვიტყვით, რადგან მიუნხენელებს ჩემპიონობაზე ხელი ჩაქნეული აქვთ და თანაც, შუა კვირაში მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საპასუხო მატჩი ელით, რაც მათთვის სეზონის უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა. შეგახსენებთ, რომ „ვერდერს“ ექვსი თამაშია, არ მოუგია, „მუსიკოსების“ თავკაც **თომას შაафს** კი ჯერ კიდევ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს: **ჰანტი** და **არნაუტოვიჩი** შეიძლება დაბრუნდნენ, **ექიჩი, ბარგფრედე, სოკრატისი, ფრიტცი** და **მარინი** კი კვლავ ლაზარეთში არიან. თუმცა მოედანზე უძლიერეს შემადგენლობას არც „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** გაიყვანს – „დონ იუპი“ „რეალთან“ მატჩისთვის სავარაუდოდ არაერთ წამყვან ფეხბურთელს დაასვენებს.

### ბორუსიების საზეიმო ჯახი

შევთანხმდით, რომ „ბაიერნისა“ და „შალკეს“ სახით ორი უმთავრესი მეტოქის დამარცხების შემდეგ, დორტმუნდის „ბორუსიასთვის“ გერმანიის ზედიზედ მეორე ჩემპიონობის ოფიციალურად განაღდება მხოლოდ და ფორმალობაა. რაკი „ბორუსიების“ დუელი სხვა მატჩებზე გვიან იწყება, შესაძლოა, იურგენ კლოპის გუნდი ამ მატჩს ოფიციალური ჩემპიონის რანგში შეხვდეს. მიუხედავად ამისა, „გლადბახს“ დორტმუნდში იოლი გასეირნება, რა თქმა უნდა, არ ელის. **ლუსიენ ფავრის** შეგირდებს მეოთხე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური პრაქტიკულად განაღდებული აქვთ, მაგრამ წინა ტურში განვითარებული მოვლენების შედეგად მესამე ადგილის დაკავების მშვენიერი შანსი გაუჩნდათ – „გლადბახი“ „შალკეს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. მესამე ადგილი კი მიონხენგლადბახელთათვის იმიტომაა ასეთი სასურველი, რომ ბრინჯაოს მედლების გარდა, პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის გარანტიას იძლევა.

### აუგსბურგი მიზანთან ახლოსაა

*„32-ე ტურის წინ შესანიშნავ მდგომარეობაში ვართ. სეზონის წინ ამას არავინ იწინასწარმეტყველებდა,“* - ეს აუგსბურგელი **სებასტიან ლანგკამპის** სიტყვებია. მისი გუნდი სამშვიდობოსაა და მეთექვსმეტეადგილოსან „კიოლნს“ ფინიშამდე სამი ტურით ადრე 4 ქულით უსწრებს. **იოს ლუჰუკაის** ბიჭებმა წინა ტურში სამი ქულა ვოლფსბურგიდან წაიღეს (2:1) და გერმანიაში უკვე თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ „აუგსბურგი“ გადარჩება. დღეს ლუჰუკაის გუნდი „შალკეს“ მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში ალბათ საბოლოოდ დამშვიდდება, მაგრამ გელზენკირხენელებიც მოსაგებად იბრძოლებენ, რადგან ქულების დაკარგვის შემთხვევაში მესამე ადგილის დაკარგვის საფრთხე ემუქრებათ.

კვირის მეორე მატჩი კი „ჰანოვერისა“ და „ფრაიბურგის“ ჯახია – „წითლებს“ „ჰამბურგთან“ მარცხის (0:1) დავიწყება და ევროპალიგაში გამსვლელი მეშვიდე ადგილის შენარჩუნება სურთ, „ფრაიბურგს“ კი უკვე აღარაფერი აღელვებს, რადგან თეორიულად ჯერ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად ნაღდად წარმოუდგენელია, რომ ბრაისგაუელები მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდნენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● მიონხენგლადბახის ბორუსია

# გლადბახი ჯაკას მოურიგდა

## ტრანსფერამდე დარჩა შეთანხმება ბაზელთან

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ „ბაზელის“ უნიჭიერესი ნახევარმცველისკენ, **გრანიტ ჯაკასკენ** პირველი ნაბიჯი გადადგა: გუშინ გავრცელებული და ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაციის თანახმად, 19 წლის შვეიცარიელი თანახმაა, მომავალი სეზონიდან „გლადბახში“ იასპარეზოს. ახლა უკვე კლუბები უნდა შეთანხმდნენ და ცნობილია, რომ „ბაზელი“ თანახმაა, ერთ-ერთი ლიდერი გაყიდოს. რამდენად ულირს „გლადბახს“ ჯაკა – საკითხავი ახლა ეს არის.

*„ჩემთვის ყველაფერი ცხადია, - უთხრა ჯაკამ „ბაზლერ ცაითუნგს“, - ახლა კლუბები უნდა შეთანხმდნენ. იმედია, მოლაპარაკებები წარმატებით დამთავრდება და კარიერას „გლადბახში“ გავაგრძელებ. ეს ჩემთვის კარიერის ახალი ეტაპი და უდიდესი გამოწვევა იქნება.“*

გრანიტ ჯაკას „ბაზელთან“ კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, შვეიცარიული გრანდი მის სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს ითხოვს. „გლადბახს“ ფული აქვს, რადგან **მარკო როისის** ტრანსფერი („დორტმუნდში“ გადადის) 17.1 მილიონ ევროს მოუტანს, **დანტეს** ტრანსფერი კი („ბაიერნში“ გადადის) – 5 მილიონს.


გრანიტ ჯაკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXV ტურის წინ

**დღეს**

**არსენალი-ჩელსი 15:45**

**ტრავმა:** ჟერვინიო, გიბსი, დიაბი, კოკლენი, მერტეზაკერი, უილშირი, ფრიმპონგი – რომეუ, ბერტრანი, კოული

**დისკვალიფიკაცია:** კოშელნი – ივანოვიჩი

**ასტონ ვილა-სანდერლენ. 18:00**

**ტრავმა:** პეტროვი, კლარკი, ჰერდი, ოლბრაიტონი, დელფი, ბენტი, დანი, უორნოკი – ელმოჰამადი, კემპბელი, ო'ში, კატერმოული, ბრაუნი, ბერდსლი, ბენდტნერი, ბრამბლი, ანხელერი

**ბლექბერნი-ნორვიჩი 18:00**

**ტრავმა:** მარკუს ოლსონი, ორი, სალგადო, გრელა – აიალა, ვონი, უაითბრედი, ტირნი, რუდი

**ბოლტონი-სუონსი 18:00**

**ტრავმა:** მუამბა, მირსი, ჰოლდენი, გარდნერი, ლი – აგუსტინი, ბოდე

**ფულჰემი-უიგანი 18:00**

**ტრავმა:** სიდუელი, ჯონსონი, პოგრებნიაკი, რუისი, გრიგერა – როდალიეგა

**ნიუკასლი-სტოკ სიტი 18:00**

**ტრავმა:** ობერტანი, ბესტი, ამეობი, ტიოტე, კოლოჩინი, გატრი, ლოვენკრანდსი, ვუკჩიჩი, ტეილორი – დიაო, უილკინსონი, სიდიბე

**ქუინზ პარკი-ტოტენჰემი 20:30**

**ტრავმა:** ფორლინი, მაკი, ზამორა, დაიერი – საა, კაბული, კრანჩარი, კინგი, დოუსონი, გომესი, ჰადლსტოუნი, პარკერი

**დისკვალიფიკაცია:** სისე (ქპრ)

**ხვალ**

**იუნაიტედი-ევერტონი 15:30**

**ტრავმა:** ანდერსონი, ოუენი, ვიდიჩი, ფლეტჩერი, ლინდეგორი – როდუელი, ბეინსი

**ლივერპული-ვესტ ბრომვ. 19:00**

**ტრავმა:** რობინსონი, კელი, ლუკასი, ადამი – რიდი, გერა, მორისონი, ბრანტი, ტომასი, რიჯუელი, ფულოპი

**დისკვალიფიკაცია:** რეინა, დონი (ლივ)

**ვულვზი-მანჩესტერ სიტი 19:00**

**ტრავმა:** ედვარდსი, ო'ჰარა, ჰანტი, კრედოკი – ტური,

**დისკვალიფიკაცია:** ბასონგი – ბალოტელი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 34 | 26 | 4 | 4 | 82-28 | 82 |
| 2. სიტი | 34 | 24 | 5 | 5 | 85-27 | 77 |
| 3. არსენალი | 34 | 20 | 4 | 10 | 67-43 | 64 |
| 4. ტოტენჰემი | 33 | 17 | 8 | 8 | 57-38 | 59 |
| 5. ნიუკასლი | 33 | 17 | 8 | 8 | 50-42 | 59 |
| 6. ჩელსი | 33 | 16 | 9 | 8 | 56-38 | 57 |
| 7. ევერტონი | 33 | 13 | 8 | 12 | 38-34 | 47 |
| 8. ლივერპული | 33 | 12 | 10 | 11 | 40-36 | 46 |
| 9. სანდერლენდი | 34 | 11 | 10 | 13 | 42-41 | 43 |
| 10. ფულჰემი | 33 | 11 | 10 | 12 | 43-43 | 43 |
| 11. ნორვიჩი | 34 | 11 | 10 | 13 | 47-58 | 43 |
| 12. სუონსი | 34 | 11 | 9 | 14 | 38-44 | 42 |
| 13. ვესტ ბრომვ. | 34 | 12 | 6 | 16 | 40-47 | 42 |
| 14. სტოკ სიტი | 33 | 11 | 9 | 13 | 32-45 | 42 |
| 15. ასტონ ვილა | 33 | 7 | 14 | 12 | 35-48 | 35 |
| 16. უიგანი | 34 | 8 | 10 | 16 | 33-58 | 34 |
| 17. ქუინზ პარკი | 34 | 8 | 7 | 19 | 38-57 | 31 |
| 18. ბოლტონი | 32 | 9 | 2 | 21 | 36-65 | 29 |
| 19. ბლექბერნი | 34 | 7 | 7 | 20 | 45-73 | 28 |
| 20. ვულვზი | 34 | 5 | 8 | 21 | 34-73 | 23 |


ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტო დი მატეოს გუნდს უმძიმესი კალენდარი აქვს

# ნაბიჯი ფინიშის სწორისკენ

## დერბი, რა დერბი!

დღეს პირველი მატჩში "ემირიტსზე" გაიმართება. "არსენალს" "ჩელსი" სტუმრობს. მატჩი მეტისმეტად დამაინტრიგებელია. ერთი მხრივ "არსენალს" სურს კიდევ უფრო მიუახლოვდეს იმ მიზანს, რაც გუნდმა საჩემპიონო რბოლიდან ჩამოშორების შემდეგ დაისახა, ეს კი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ყოველი 3 ქულა რამხელა შვება იქნება **არსენ ვენგერისთვის**. აი, სტუმრებს კი ორ ფრონტზე მართებთ ძალების გადანაწილება. **რობერტო დი მატეო** რომელიმეს პრიორიტეტს მიანიჭებს თუ ორივეზე ეცდება წარმატების მიღწევას, ამას წინასწარ ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ "ჩელსის" "მეთოფეებთან" ელოდება უმძიმესი დაპირისპირება, სადაც მომდევნო სეზონისთვის "ლურჯების" ლიგაში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი წყდება. 72 საათში კი მათ "კამპ ნოუზე" მოუწევთ "ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის ჭიდილი. ეყოფა კი იტალიელის გუნდს ძალა ორივე ბრძოლისთვის? იმედია, ეყოფა. იმედია, რადგან ჩვენ ნეიტრალური გულშემატკივრის პოზიციიდან ვწერთ.

"ასტონ ვილამ" წინა ტურში "მანჩესტერ იუნაიტედთან" უიმედოდ წააგო და ახლა კიდევ უფრო დიდი შანსი აქვს, რომ ბოლო ტურებამდე "ნემსებზე იჯდეს". ცხრილს თუ გადახედავთ, დაინახავთ, რომ გადარჩენისთვის მებრძოლი გუნდები ბირმინგემელებს ერთი ხელის განვდენაზე მიუახლოვდნენ. მეორე მხრივ არც "სანდერლენდს" გამოსდის მაჟორულ ნოტზე ჩემპიონატის დამთავრება. "შავ კატებს" ბოლო 6 შეხვედრაში სულ 1 მოგება აქვთ. ბოლო 3 შეხვედრაში კი გოლიც კი არ გაუტანიათ.

გავარდნის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატი "ბლექბერნი" "ნორვიჩს" მასპინძლობს, გუნდს რომელსაც უკვე აღარაფერი აღელვებს, გარდა წინა ტურში "მანჩესტერ სიტისთან" შელახული თავმოყვარეობისა. "კეროუ როუდზე" მასპინძლებმა 1:6 წააგეს და თუკი ძალიან მოინდომეს რენომეს აღდგენა, შეუძლიათ მასპინძლებს პრაქტიკულად დღესვე გაუნაღდონ ქვედა ლიგაში დაქვეითება. ამ გუნდის გულშემატკივრები კი სეზონის განმავლობაში ნაჩვენები შედეგებით ნამდვილად კმაყოფილები იქნებიან, რადგან **პოლ ლამბერტისგან** ისინი მხოლოდ ელიტაში ადგილის შენარჩუნებას ითხოვდნენ.

ზედა აბზაცში განხილული წყვილისა არ იყოს, აქაც ისეთი გუნდები ეჯახებიან ერთმანეთს, რომელთაგან ერთი დასარჩენად იბრძვის, მეორეს კი ყველაფერი განაღდებული აქვს და დარჩენილ ტურებში მხოლოდ სატურნირო მდგომარეობის ოდნავი გაუმჯობესებისთვის თუ იბრძოლებს. **ოუენ კოილის** გუნდის მდგომარეობა ძალიან რთულია, მაგრამ სატირლად საქმე ჯერ არ აქვს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, "ბოლტონს" კონკურენტებზე 2 მატჩით ნაკლები აქვს ჩასატარებელი. "ასტონ ვილასთან" შეხვედრა **ფაბრის მუამბას** ავადმყოფობის გამო გადაიდო, "ტოტენჰემთან" კი ახლახან ასოციაციის თასის 1/2-ფინალების გამოა გადატანილი. რაც შეეხება **ბრენდან როჯერსის** "სუონსის", ამ გუნდმა წინა ტურში მშვენივრად ითამაშა და არც "რიბოკ სტედიუმზე" დათმობს რამეს იოლად.

## განსაკუთრებული უიგანი

ბოლო ტურებიდან გამომდინარე, "უიგანის" თამაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. გუნდს ბოლო 5-დან 4 მოგება აქვს, მათ შორის - "ლივერპულთან" (2:1), "მანჩესტერ იუნაიტედთან" (1:0) და "არსენალთან" (2:1). ისეთი სიაა, მსოფლიო ფეხბურთის ნებისმიერი გრანდის მთავარი მწვრთნელი რომ მოაწერდა ხელს. ისე, მათ შორის "ჩელსიც" უნდა მიგვეწერა, მაგრამ... "ლურჯებთან" შეხვედრაში **მაიკლ ჯონსის** სკანდალურ მსაჯობაზე უკვე იმდენჯერ დავწერეთ, რომ ახლა ამაზე ხმას აღარ ამოვიღებთ. "ფულჰემი" კიდევ ერთ-ერთი ის გუნდია, ვისთვისაც ჩემპიონატის დარჩენილი ტურები წმინდა ფორმალობადაა ქცეული. მატჩის ფავორიტად სტუმრებს დავასახელებდით, მაგრამ მეტოქესთან შედარებით "ფულჰემი" დასვენებულია და ამას ვუწევთ ანგარიშს.

**ალან პარდიუს** "ნიუკასლმა" ისარგებლა კონკურენტთა წაფორხილებით და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ხელახლა ჩაერთო. "სტოკთან" შეხვედრაშიც, ბუნებრივია, ის უპირობო ფავორიტი იქნება. **ტონი პულისის** გუნდი სხვების მსგავსად უმოტივაციოდ არის დარჩენილი და თუკი "კაჭკაჭებმა" შეძლეს 3 ქულის აღება, ისინი მოუთმენლად დაელოდებიან მოგვიანებით გასამართ შეხვედრას "ქუინზ პარკსა" და "ტოტენჰემს" შორის... რატომ დაელოდებიან, ამის ნახვა ცხრილში შეგიძლიათ.

"ლოფტუს როუდზე" ლონდონური დერბი შედგება. "დეზები" გარეუბანს სტუმრობენ. მათ ესმით, რომ ერთი ფეხის დაცდენა და სეზონი პირწმინდად ჩავარდნილად ჩაითვლება. თავის მხრივ მასპინძლებს ის აფიქრებთ, რომ თუკი 3 ქულას ვერ აიღებენ, საქმეს გაირთულებენ და შესაძლოა ელიტას გამოეთხოვონ. მოკლედ, ორივე მხარეს თავისი გასაჭირი აქვს და სწორედ ამ ინტერესთა ჭიდილში უნდა დაიბადოს ჭეშმარიტება.

## დასვენებული და დაღლილი

"ოლდ ტრეფორდს" "ევერტონი" სტუმრობს. "იუნაიტედი" კარგად დასვენებული და გამოძინებულია. სტუმარი კიდევ თასის დაძაბული 1/2-ფინალური მატჩით დაღლილი. ესეც რომ არა, **ალექს ფერგიუსონის** ბიჭები მაინც აშკარა ფავორიტები იქნებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ "წითელ ეშმაკებს" მომდევნო ტურის წინ გენერალური რეპეტიცია აქვთ და სპარინგპარტნიორიც იდეალურად ჰყავთ შერჩეული. თუკი "მანიუ" ხვალ მოიგებს, მაშინ უკვე "ეტიჰადზევე" შეეძლება მე-20 საჩემპიონო ტიტულის განაღდება. ბუნებრივია, ეს გუნდსაც ესმის და გულშემატკივრებიც ამის მოლოდინში იქნებიან. აი, "ევერტონს" კი მე-7 ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება...

გაუჭირდება, რადგან "ლივერპული" შინ "ვესტ ბრომვიჩს" შინ მიიღებს და ჰოი, საოცრებავ, და კარგ ფორმაში მყოფი მასპინძელი საშინელი საშინაო სერიის ცოტა გამოსწორებას შეეცდება. "ენფილდზე" აქამდე ჩატარებულ 14 შეხვედრაში მას სულ 5 მოგება აქვს, რაც ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ყველაზე ცუდი შედეგია. მატჩს ინტრიგას ის მატებს, რომ სტუმართა გუნდს "ლივერპულის" ყოფილი თავკაცი **როი ჰოჯსონი** წვრთნის. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ის საბრძოლოდ შეგირდების განწყობას იმ გუნდის წინააღმდეგ, ვისაც არცთუ მშვიდობიანად დასცილდა. მასპინძლები, ჩვენი აზრით, ულაპარაკო ფავორიტები არიან.

დაბოლოს, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, ვინ არის ფავორიტი "ვულვზისა" და "მანჩესტერ სიტის" დაპირისპირებაში. პრემიერლიგიდან პრაქტიკულად გავარდნილი "მგლები" მასპინძლობენ გუნდს, რომელმაც წინა ტურში მასზე უფრო ძლიერი "ნორვიჩისგან" ბუნდლა აღარ დატოვა. ვვარაუდობთ, რომ "ქალაქელებს" არც "მოლინიუზე" გაუჭირდებათ მიზნის მიღწევა.

ამბები

## ვილამ გაბის ფასი დაადო



გაბრიელ აგბონლაჰორი

"დეილი მირორის" ცნობით, "ასტონ ვილამ" **გაბრიელ აგბონლაჰორის** სატრანსფერო ფასი დაადგინა. 25 წლის თავდამსხმელში მსურველებს 12 მილიონი ფუნტის (14,65 მლნ ევრო) გადახდა მოუწევთ. ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ ვწერდით, რომ მისი შეძენა "სანდერლენდის" მთავარ მწვრთნელ **მარტინ ო'ნილს** სურდა. "შავ კატებს" **ასამოა გიანისა** (ცოცხალი თავით არ სურს არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან სათამაშოდ ევროპაში დაბრუნება) და **სტილიან პეტროვის** (ბულგარელი, მოგეხსენებათ, ავადაა) გარდა **ნიკლას ბენდტნერის** დაკარგვის საფრთხეც ემუქრებათ, ვინც კონტრაქტით "არსენალს" ეკუთვნის და რამდენად მოხერხდება "მეთოფეებთან" მის ტრანსფერზე მორიგება, ეშმაკმა უწყის. ო'ნილი და აგბონლაჰორი "ასტონ ვილაში" 4 წლის განმავლობაში (2006/10 წლები) მუშაობდნენ ერთად და ბუნებრივია, მწვრთნელმა ფეხბურთელის ავკარგი სხვებზე უკეთ იცის.

## რედნაპს მხარდამჭერი გამოუჩნდა

პრემიერლიგის 38-ე ტურის ათივე შეხვედრა 13 მაისს, კვირას, ჩვენი დროით 19:00-ზე იწყება. ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია პირობას იძლევა, რომ საკლუბო სეზონის დასრულებიდან რამდენიმე დღეში ინგლისის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის ვინაობას დაასახელებს. სიმართლე გითხრათ, ინგლისური პრესა დარწმუნებულია, რომ ეს **ჰარი რედნაპი** იქნება, მაგრამ მთლად ასე დარწმუნებით ამის მტკიცება ჯერჯერობით შეუძლებელია. გარკვეული ნიშნები კი ამისთვის უკვე არსებობს. მაგალითად, ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა, "ბოლტონის" პრეზიდენტმა **ფილ გარტსაიდმა** BBC World-თან ინტერვიუში ოფიციალურად დაადასტურა, რომ ჰარის მისი ხმა გარანტირებული აქვს, რადგან მისი აზრით: *"რედნაპს შეუძლია ნაკრებისთვის უდიდესი დამრიგებელი გახდეს. ის კარგი მოტივატორია და გამარჯვებულის მენტალიტეტიც აქვს"*. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ასოციაციის წარმომადგენელი პრესასთან ნაკრების მწვრთნელობის კონკრეტულ კანდიდატურაზე მსჯელობს. გარტსაიდის მხარდაჭერა ერთია, მაგრამ რედნაპს ჯერჯერობით ოფიციალური წინადადება არ მიუღია. ასე რომ, საკითხი ჯერ კიდევ ღიაა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

იტალია. სერია A. XXXIV ტურის წინ

### დღეს

**კიევო–უდინეზე 20.00**

**დისკვალიფიკაცია:** პელისიერი, სარდო – პინცი.

**ტრავმა:** ფაკინელი, სარდო, გულანი, მოსკარდელი – ბენეტია, ბასტა, ბადუ, ისლა.

**პარმა–კალიარი 20.00**

**ტრავმა:** მარიგა – დესენა, რუი სამპაიო, ერიკსონი.

**კატანია–ატალანტა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** კარიცო – დენისი.

**ტრავმა:** ბელუში, ალმირონი, პოტენცა – ბრიგი, მარილუნგო, კაპელი.

**ნაპოლი–ნოვარა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** პანდევი – გარსია.

**ტრავმა:** ლავეცი, როზატი, დონადელი – ჯედა, რიგონი, და სილვა, ლუდი, მარიანინი, უიკანი.

### ხვალ

**ფიორენტინა–ინტერი 14.30**

**დისკვალიფიკაცია:** ამაური – სამუელი.

**ტრავმა:** კროლდრუპი, იოვეტიჩი, ვარგასი – მაიკონი, სნეიდერი, კასტაინოსი, სამუელი.

**მილანი–ბოლონია 17.00**

**ტრავმა:** ტიაგო სილვა, ინძაგი, რომა, ბოატენგი, პატო, ამბროზინი – კრესპო, ჟილე, კაზარინი, კრხინი.

**ჩეზენა–პალერმო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ილიჩიჩი (პალერმო).

**ტრავმა:** მარტინესი, პუდილი, მარტინიო, კალდერონი – აგუირეგარაი, მილიაჩო, ბარეტო, პიზანო, ბალცარეტი.

**ჯენოა–სიენა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** მორეტი – პეგოლო, კონტინი.

**ტრავმა:** ანტონელი, კონსტანტი, ბელუსკი – კალაიო.

**ლაციო–ლეჩე 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** მაური, კოზაკი – ბლაზი.

**ტრავმა:** მაკინვა, კონკო, ლულიჩი, კლოზე, სტანკევიჩუსი, ბროკი – ჟულიო სერჟიო.

**იუვენტუსი–რომა 22.45**

**ტრავმა:** ბურდისო, ჟუანი, კასეტი, ლობონტი (რომა).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 32 | 18 | 14 | 0 | 53-18 | 68 |
| 2. მილანი | 32 | 20 | 7 | 5 | 62-26 | 67 |
| 3. ლაციო | 32 | 16 | 6 | 10 | 48-40 | 54 |
| 4. უდინეზე | 32 | 14 | 9 | 9 | 44-32 | 51 |
| 5. რომა | 32 | 15 | 5 | 12 | 52-42 | 50 |
| 6. ნაპოლი | 32 | 12 | 12 | 8 | 56-41 | 48 |
| 7. ინტერი | 32 | 14 | 6 | 12 | 47-45 | 48 |
| 8. კატანია | 32 | 10 | 13 | 9 | 42-43 | 43 |
| 9. კიევო | 32 | 11 | 9 | 12 | 30-40 | 42 |
| 10. ატალანტა | 32 | 11 | 13 | 8 | 37-34 | 40 |
| 11. პალერმო | 32 | 11 | 7 | 14 | 44-49 | 40 |
| 12. ბოლონია | 32 | 10 | 10 | 12 | 33-38 | 40 |
| 13. სიენა | 32 | 10 | 9 | 13 | 37-34 | 39 |
| 14. პარმა | 32 | 9 | 11 | 12 | 41-50 | 38 |
| 15. კალიარი | 32 | 9 | 11 | 12 | 33-39 | 38 |
| 16. ფიორენტინა | 32 | 9 | 10 | 13 | 32-38 | 37 |
| 17. ჯენოა | 32 | 9 | 9 | 14 | 43-58 | 36 |
| 18. ლეჩე | 32 | 8 | 10 | 14 | 37-48 | 34 |
| 19. ნოვარა | 32 | 5 | 10 | 17 | 27-54 | 25 |
| 20. ჩეზენა | 32 | 4 | 9 | 19 | 19-48 | 21 |

*შენიშვნა:* ატალანტა - 6 ქულა

**ბომბარდირები:** 23 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 20 – დი ნატალე (უდინეზე), მილიტო (ინტერი); 19 - კავანი (ნაპოლი); 17 - პალასიო (ჯენოა).

## მოსაწყენი შაბათი

სერია A-ს მიმდინარე სეზონის დაწყებიდან 32 ტურია გასული, თუმცა ისე გამოვიდა, რომ უქმეებზე XXXIV ტურის თამაშები უნდა ვიხილოთ... ეს ამბავი **პიერმარიო მოროზინის** გარდაცვალებამ გამოიწვია, რის გამოც გასულ კვირას დაგეგმილი ყველა შეხვედრა გადაიდო... მოკლედ, დღეს და ხვალ XXXIV ტურის ბატალიებს ვიხილავთ, გადადებული ტური კი შუა კვირაში, 24 და 35 აპრილს გაიმართება.

დღეს ოთხი შეხვედრა შედგება, რომელთაგან არც ერთი არ იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს. ერთი ეგაა, "ნაპოლის" ვაკვირდებით, თუ **ვალტერ მაცარის** გუნდმა კიდევ ერთხელ წაიფორხილა, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსს საბოლოოდ გამოეთხოვება. თუმცა, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან სამხრეთელებს ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან, "ნოვარასთან" უწევთ დაპირისპირება და თანაც, საკუთარ მოედანზე. აქაც თუ ვერ ივარგა "ნაპოლიმ", მაშინ მაცარიმ მართლა უნდა დაიხუროს ქუდი და წავიდეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუის ენრიკე და ანტონიო კონტე

# ამოუცნობი რომა

## ლუის ენრიკე: კვირას კარგად ვიხალისებთ

### ანშლაგი გარანტირებულია

კვირას, რამდენიმე მეტად საინტერესო შეხვედრა გაიმართება, რომელთაგან "იუვენტუსი"-"რომას" დაპირისპირება ყველასგან გამორჩეულია. თავად განსაჯეთ, მატჩზე დასასწრები ბილეთები 45 წუთში სრულად გაიყიდა, რაც ბოლო წლების სარეკორდო მაჩვენებელია. ასეთი რამ ტურინში მაშინ არ ხდება, როდესაც "იუვეს" მეტოქე რომელიმე მილანური გრანდია. მოკლედ, ტურინში დიდი სამზადისია, **ანტონიო კონტე** კი ჩვეულ სტიქიაშია და ემოციურ კომენტარებს აკეთებს:

*"თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი ჩემს სამწვრთნელო კარიერაში. "რომა" არასტაბილურად თამაშობს, მაგრამ ეს დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს – პირიქით, რთულია დედაქალაქელთა თამაშის განჭვრეტა და ეს დისკომფორტს მიქმნის. ალბათ, "ჯალოროსი" ერთადერთი გუნდია მიმდინარე სეზონში, რომელიც სრულყოფილად ვერ შევისწავლე, რადგან ამის გაკეთება ფაქტობრივად შეუძლებელია. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი თამაში უნდა ვაჩვენოთ და ყველაფერი კარგად იქნება. ეს არის უმნიშვნელოვანესი მატჩი და თითოეულმა ფეხბურთელმა შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოავლინოს".*

"იუვენტუსს" არც დისკვალიფიცირებული ჰყავს ვინმე და არც ტრავმირებული, რაც ნამდვილად აღარ გვიკვირს, რადგან თითქმის მთელი სეზონია ტურინული გრანდის ლაზარეთი მუდმივად ცარიელია. თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, კონტე **ალესანდრო მატრის** თადარიგში დატოვებს, შეტევის წინა ხაზზე კი შემდეგ ტრიოს დაეყრდნობა: **მირკო ვუჩინიჩი, სიმონე პეპე, ფაბიო კვალიარელა**. რეზერვში დარჩება **ალესანდრო დელ პიერო** და ალბათ, მეორე ნახევარში ჩაერთვება თამაშში.

"იუვენტუსისგან" განსხვავებით, "რომას" რამდენიმე ფეხბურთელი აკლია, მაგრამ მთლიანობაში, დედაქალაქელებსაც საბრძოლო შემადგენლობა ჰყავთ. რაც მთავარია, სრულ მზადყოფნაშია **ფრანჩესკო ტოტი**, რომელსაც შეტევის წინა ხაზზე **პაბლო დანიელ ოსვალდო** და **ფაბიო ბორინი** დაეხმარებიან. მოკლედ, "რომას" შეტევა მთლიანად იტალიურია, **ერიკ ლამელა** და **ბოიან კრკიჩი** კი თადარიგში მოიაზრებიან. დედაქალაქელთა მთავარ მწვრთნელს, ხუმრობის ხასიათზე მყოფ **ლუის ენრიკეს** მოვუსმინოთ და შემდეგ, სავარაუდო შემადგენლობასაც გადავხედოთ:

*"თითოეული შეხვედრა ფინალის ტოლფასია და ტურინში სამი ქულის მოსაპოვებლად მივდივართ. კარგად მესმის, რომ ეს არანორმალურად რთული ამოცანაა, მაგრამ სხვა გამოსავალი უბრალოდ არ გვაქვს. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა და საამისოდ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. "იუვენტუსს" ერთ რამეში ძალიან ვგავართ, მომენტების განიავება გვიყვარს და თუ ამ ლოგიკას მივყვებით, კვირას ალბათ ბევრს ვიხალისებთ. ვნახოთ, წინ საინტერესო მატჩი გველის".*

**იუვენტუსი–რომა**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი (4-3-3):** ბუფონი – ლიხტშტაინერი, ბარცალი, ბონუჩი, კიელინი – ვიდალი, პირლო, მარკიზიო – პეპე, ვუჩინიჩი, კვალიარელა.

**რომა (4-3-1-2):** სტეკელენბურგი – ტადეი, კიაერი, დე როსი, ანხელი – პიანიჩი, გაგო, მარკინიო – ტოტი – ბორინი, ოსვალდო.

სკუდეტოს კიდევ ერთი მაძიებელი საკუთარ მოედანზე "ბოლონიას" მიიღებს და ალბათ, პირველივე წუთებიდან ეკვეთება მეტოქის კარს. საოცრებაა, მაგრამ ფაქტია, რომ "მილანის" ლაზარეთში მხოლოდ ექვსი ფეხბურთელია, რაც მიმდინარე სეზონში სარეკორდოდ დაბალი მაჩვენებელია. **მასიმილიანო ალეგრიმაც** ამოისუნთქა და არჩევანის საშუალებაც კი გაუჩნდა - "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, "როსონერი" **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **რობინიოს** ტანდემით შეუტევს, **ანტონიო კასანო** და **მაქსი ლოპესი** კი თადარიგში დარჩებიან. ძირითადში მოიაზრება **კლარენს ზეედორფი**, რაც ავტომატურად ნიშნავს **ურბი ემანუელსონის** რეზერვში გადასროლას. საყრდენ ხაზს **სალი მუნტარი, ანტონიო ნოჩერინო** და **მარკ ვან ბომელი** გაამაგრებენ... "ბოლონია" ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდით შეუტევს და ეს ეული ფორვარდი **მარკო დი ვაიო** იქნება. ალეგრის გუნდს წაფორხილების უფლება არ აქვს, ეს კი ამ თამაშის და ალბათ, "მილანის" ყველა დარჩენილი პაექრობის მთავარი ინტრიგაა.

საინტერესო მატჩი გაიმართება რომში, სადაც "ლაციო" "ლეჩეს" უმასპინძლებს. **ედუარდო რეიას** გუნდი აშკარა ფავორიტია, წესით უნდა მოიგოს კიდეც, მაგრამ მეორე მხრივ, "ლეჩე" გადარჩენისთვის იბრძვის და მინიმუმ ქულის ასაღებად ყველაფერს გააკეთებს. მეტიც, **სერსე კოსმი** იქადნება, სამი ქულა გვჭირდება და დედაქალაქში მოსაგებად მივდივართო. ვნახოთ, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება.

ორიოდე სიტყვა ფლორენციაში დაგეგმილ საინტერესო მატჩზეც უნდა გვეთქვა, მაგრამ არის კი ეს მატჩი საინტერესო? – მგონი სახელები გვატყუებს და სათქმელიც ბევრი არაფერია...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

სტადიონი

## გადაწყდა: ჰიბრიდული ბალახი სან სიროზე

წლებია, რაც "მილანის" და "ინტერის" მესვეურებს ერთი საერთო პრობლემა აქვთ, რომლის გადაჭრაც აქამდე ვერაფრით მოახერხეს. ლაპარაკია "სან სიროს" მინდვრის საფარზე, რომელიც სეზონის დიდი ნაწილის განმავლობაში საშინელ მდგომარეობაშია. გახსოვთ ალბათ, იგივე "მილანისა" და "ბარსელონას" დაპირისპირება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე, როდესაც ფეხბურთელებს ფეხი უცურდათ და ამან თამაშის სანახაობრივ მხარეს დიდი დაღი დაასვა. გვახსოვს **არსენ ვენგერის** განცხადებაც "მილანთან" ლიგის მერვედფინალური მატჩის შემდეგ: მართალია 4:0 წავაგეთ, მაგრამ წინ მეორე მატჩია, ნამდვილ საფეხბურთო გაზონზე ვითამაშებთ და კაცმა არ იცის, რა მოხდებაო. მოკლედ, "სან სიროს" მინდორი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და აქ, მთავარ სათქმელსაც მივადექით...

როგორც იქნა, "მილანის" და "ინტერის" მესვეურებმა კონსენსუსს მიაღწიეს და გადაწყვიტეს, რომ მომდევნო სეზონიდან, "სან სიროზე" ჰიბრიდული გაზონი დაიგება, რომელიც ხელოვნური და ბუნებრივი ბალახის სინთეზს გულისხმობს. როგორც კლუბების მესვეურებმა და აგრონომებმა განმარტეს, გაზონს ხელოვნური ფესვები და ბუნებრივი ზედაპირი ექნება. რთულია ამ ყველაფრის ზუსტად გააზრება, მაგრამ როგორც შეშფოთებულ მილანელ გულშემატკივრებს დაჰპირდნენ, მინდორი არა ხელოვნური, არამედ ჰიბრიდული იქნება, ეს კი ფაქტობრივად ბუნებრივი მინდვრის გაუმჯობესებული ვარიანტი ყოფილა. მინდორი ზაფხულში დაიგება, პირველი შეხვედრა კი "ბერლუსკონის თასზე" გაიმართება და ტრადიციულად, ერთმანეთის პირისპირ "მილანი" და "იუვენტუსი" წარდგებიან.



ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონი, იგივე სან სირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXXIV ტურის წინ

## დღეს

**სპორტინგი–ვალეკანო 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** კანელია, გალვესი - ტამუდო, ტიტო

**ტრავმა:** ორფილა (?), მენდი (?), ეგურენი, კარმელო, ერნანდესი, გრეგორი (?) - ხიმენესი, ფუეგო, არიბასი, მიჩელი, პერეირა, არმენტეროსი (?), დიამანკა, პულიდო (?)

**მალიორკა–სარაგოსა 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ალვარესი, მიკაელი (სარ)

**ტრავმა:** ალვარო, მარტი (?), ნუნიეში, ჩიკო (?), ბიგასი, ტისონე (?), კევინი - არანდა (?), ობრადოვიჩი (?), პარედესი (?), მინეირო (?)

**ბარსელონა–რეალი 22:00**

**ტრავმა:** სანჩესი (?), ფონტასი, ვილია, აბიდალი - რიკარდო კარვალიო

**სევილია–ლევანტე 00:30**

**დისკვალიფიკაცია:** ხუანფრანი (ლევ)

**ტრავმა:** გუარენტე, რეიესი (?), სპაჰიჩი (?), კანუტე, პალოპი (?), პეროტი - დელ ორნო

## ხვალ

**გრანადა–ხეტაფე 14:00**

**ტრავმა:** ხეიხო (?), კორტესი, დიახატე, რომერო, რობერტო, იებდა, ფ. რიკო - ლოპო, ვალერა (?), ლოპესი, პედრო ლეონი (?), უსტარი

**სოსიედადი–ვილიარეალი 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** გონსალესი (სოს)

**ტრავმა:** კადამურო, იფრანი, ბერგარა, მარტინესი, არანბურუ (?) - როსი, ბ. ვალერო (?), გასპარი, რუბენი (?)

**რასინგი–ბილბაო 18:00**

**ტრავმა:** პიკონი, გონსალესი (?), დიოპი (?), კენედი, არანა (?) - ოსიო, პერესი, მარტინესი, კასტილიო

**ატლეტიკო–ესპანიოლი 20:00**

**ტრავმა:** ლოპესი, სილვიო - ალბინი, მატიონი

**ვალენსია–ბეტისი 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** ერნანდესი, კოშტა, მატიო, ადურისი (ვალ)

**ტრავმა:** ბანეგა - ხუანმა, მარიო, ისიდორო, ბენატი (?), უსტარიცი

## ზეგ

**ოსასუნა–მალაგა 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** გარსია - მატეისენი

**ტრავმა:** სოლა, ეჩაიდე, მასუდი, სერხიო (?) - ბაპტიშტა (?), ტულალანი, კაბალიერო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 33 | 27 | 4 | 2 | 107-29 | 85 |
| 2. ბარსელონა | 33 | 25 | 6 | 2 | 96-24 | 81 |
| 3. ვალენსია | 33 | 14 | 10 | 9 | 50-42 | 52 |
| 4. მალაგა | 33 | 15 | 6 | 12 | 49-46 | 51 |
| 5. ლევანტე | 33 | 14 | 6 | 13 | 47-46 | 48 |
| 6. ოსასუნა | 33 | 11 | 13 | 9 | 37-53 | 46 |
| 7. ბილბაო | 33 | 11 | 12 | 10 | 48-44 | 45 |
| 8. ატლეტიკო | 33 | 12 | 9 | 12 | 44-41 | 45 |
| 9. სევილია | 33 | 12 | 9 | 12 | 40-38 | 45 |
| 10. ესპანიოლი | 33 | 12 | 9 | 12 | 43-43 | 45 |
| 11. ხეტაფე | 33 | 12 | 9 | 12 | 38-44 | 45 |
| 12. ბეტისი | 33 | 12 | 6 | 15 | 40-45 | 42 |
| 13. მალიორკა | 33 | 10 | 10 | 13 | 35-41 | 40 |
| 14. ვალეკანო | 33 | 12 | 4 | 17 | 49-58 | 40 |
| 15. სოსიედადი | 33 | 10 | 9 | 14 | 40-49 | 39 |
| 16. ვილიარეალი | 33 | 8 | 12 | 13 | 34-47 | 36 |
| 17. გრანადა | 33 | 10 | 6 | 17 | 30-49 | 36 |
| 18. სარაგოსა | 33 | 8 | 7 | 18 | 29-59 | 31 |
| 19. სპორტინგი | 33 | 7 | 7 | 19 | 33-63 | 28 |
| 20. რასინგი | 33 | 4 | 14 | 15 | 24-52 | 26 |

**ბომბარდირები:** 41 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 21 - გონსალო იგუაინი (რეალი); 18 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 16 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), რობერტო სოლდადო (ვალენსია); 15 - მიჩუ (რაიო ვალეკანო).




დღევანდელი შოუს მთავარ გმირობასაც ლეო მესის უწინასწარმეტყველებენ









გარანტირებულია: 1. ხშირი ორთაბრძოლები, 2. გოლები, 3. დიდი დუელი

# სეზონის უმთავრესი მატჩი

## კლასიკო, რომელიც ან დააძაბავს, ან ჩემპიონს გვეტყვის

ან დღეს ან აღარ - ასეთი უნდა იყოს „ბარსელონას" დევიზი - დიახ, დღეს „კამპ ნოუზე" ჩემპიონს უკანასკნელი რეალური შანსი ეძლევა ტიტული დაიცვას. **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდმა 164-ე, ლალიგური „ელ კლასიკო" აუცილებლად უნდა მოიგოს, თუ სურს **ჟოზე მოურინიოს** „რეალისგან" ჩემპიონის სახელი დაიცვას. მასპინძელთა გამარჯვების გარდა ყველა სხვა შედეგი „რეალისაა", ეს კი მოურინიოს ტიპის თავკაცისთვის (რომელსაც შედეგზე თამაში ზედმიწევნით ეხერხება) მისწრებაა...

ლა ლიგაში ეს 164-ე დაპირისპირება კი არის, მაგრამ სულ „ბარსა" და „რეალი" ერთმანეთს 218-ჯერ შეხვდნენ.

კლასიკოს გამოტოვების საფრთხის წინაშეა „ბარსას" ჩილელი ფორვარდი **ალექსის სანჩესი,** რომელმაც „ჩელსისთან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩში ფეხი დაიზიანა. ხოსეპ გვარდიოლას სხვა ახალი ტრავმირებული არა ჰყავს - ბუნებრივია, **ფონტასის, აბიდალის** და **ვილიას** თამაშზე საუბარი არ არის. **იბრაჰიმ აფელაი** ჯანზეა და თუ პეპი გადაწყვეტს, ითამაშებს კიდევაც.

ჟოზე მოურინიო ალბათ დააბრუნებს სასტარტო შემადგენლობაში ბრაზილიელ **მარსელოს.** დისკვალიფიკაციის გასვლის შემდეგ გუნდს უბრუნდება **ჩაბი ალონსო. რიკარდო კარვალიო** და **ლასანა დიარა** ვერ ითამაშებენ.

### ფაქტები

#### ბარსელონა

* „ბარსელონას" ლა ლიგაში ზედიზედ ბოლო 11 თამაში აქვს მოგებული. ბურთების შეფარდება 33:8.

* ამ სეზონში კატალონიელებმა ჯამში 167 გოლი გაიტანეს, 15-ით მეტი, ვიდრე გასულ სეზონში.

* „ბარსელონას" „კამპ ნოუზე" 54 მატჩია არ წაუგია. დიდებული შედეგია, თუმცა კლუბის რეკორდი მაინც არ არის - 1973 წლიდან 1976 წლამდე „ბარსამ" 73 მატჩი არ წააგო.

* ბოლო 16 შეხვედრაში ლიონელ მესიმ 29 გოლი გაიტანა.

#### რეალი

* 18 მატჩია, „რეალს" ლა ლიგაში არ წაუგია. ბოლო წაგება „სამეფო კლუბს" „ბარსელონასთან" ჰქონდა - 10 დეკემბერს „სანტიაგო ბერნაბეუზე" - 1:3.

* „ლოს ბლანკოსს" ჯერ არ მოუგია „ბარსასთვის" ჩემპიონატში, რაც კატალონიური გუნდის თავკაცი გვარდიოლაა.

* პირველივე გოლი „რეალისთვის" რეკორდული 108-ე იქნება სეზონში ლა ლიგის კლუბისთვის.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, პუიოლი - ჩავი, ბასკეტსი, ინიესტა - ფაბრეგასი, მესი, პედრო.*

**რეალი:** *კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - იოზილი, კაკა, რონალდო - ბენზემა.*

### ორი გრანდის სტატისტიკა

#### ყველაზე გამტანები

„რეალმა" 107 გოლი გაიტანა და ერთი გოლი აშორებს ლა ლიგის ყველა დროის რეკორდს, ხოლო „ბარსელონა" არც ისე შორსაა 100-გოლიან ნიშნულთან (96).

#### საუკეთესო დაცვა

ორივე გუნდს ლა ლიგაში საუკეთესო დაცვის ხაზი აქვს. 33-33 მატჩში „ბარსამ" სულ რაღაც 24 გოლი გაუშვა, „რეალმა" - 29.

#### ყველაზე მეტი დარტყმა

მადრიდელებმა ამ სეზონში მეტოქეთა კარისკენ 270-ჯერ გაისროლეს, ხოლო კატალონიელებმა - 256-ჯერ.

#### უშანსო მეტოქეები

ეს ორი გუნდი ლა ლიგის ოპონენტებს ყველაზე ცოტა საგოლე შანსს უტოვებდნენ. „ბარსას" კარში სულ 88-ჯერ დაარტყეს, „რეალის" - 114-ჯერ.

#### ასისტენტები

ლიგის ლიდერების ანგარიშზე 76 საგოლე პასია ჯამში. 20-ით მეტი, ვიდრე ჩემპიონს დაუგროვდა.

#### თამაშგარე მდგომარეობაში

თითქმის ერთნაირი შედეგი აქვთ: „ბარსა" 111-ჯერ გამოიჭირეს თამაშგარეში, „რეალი" - 114-ჯერ.

#### პასები, პასები

„ბარსელონას" ანგარიშზე 21 984 პასია (საშუალოდ 666 მატჩში), „რეალის" - 16 514 (500)

#### დრიბლინგის მეფეები

აქაც „ბარსაა" წინ - 404 წარმატებული დრიბლინგი სეზონში, „რეალის" 294-ის წინააღმდეგ.

#### უფრო უხეში მადრიდი

მადრიდელები 448-ჯერ დაჯარიმდნენ სეზონში, კატალონიელები 343-ჯერ

#### პენალტისტი მადრიდელები

„რეალის" სასარგებლოდ 11 პენალტი დაინიშნა და 11-ვე კრიშტიანო რონალდომ გაიტანა. „ბარსას" სასარგებლოდ 7 პენალტი დაინიშნა და 4 ვერ გამოიყენეს.

#### ლეო და რონი

41-41 გოლით კრიშტიანო რონალდო და ლეო მესი ლიდერობენ ბომბარდირთა დავაში. არგენტინელმა 174-ჯერ დაარტყა კარისკენ, პორტუგალიელმა - 220-ჯერ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავისუფალი ჭიდაობა. სალიცენზიო შეჯიბრება

# კიდევ ორი ლიცენზია

## თავისუფლებმა ოლიმპიური გუნდი გაზარდეს

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა სოფიაში გუშინ დაწყებულ ევროპის სალიცენზიო ტურნირში კიდევ ორი საგზური მოიპოვა, რაც **ვლადიმერ ხინჩეგაშვილისა** (55) და **გიორგი გოგშელიძის** (96) ანგარიშზეა. ამდენად, ამ ნაკრებმა უკვე ექვსი ლიცენზია მოაგროვა, მოსაპოვებელი კი მხოლოდ ერთი დარჩა 66 კილოგრამში.

ფინალამდე ხინჩეგაშვილმა ორი შეხვედრა ჩაატარა, რადგან პირველ წრეში თავისუფალი იყო და ორივე ორთაბრძოლაში დამაჯერებლად გამოვიდა – ძირითად დროში მოიგო. თუმცა უფრო ძლიერად მაინც მეორეში იასპარეზა, სადაც გერმანელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **მარსელ ევალდი** 7:0; 3:0 გაანადგურა. მანამდე ესპანელ ევროპის ბრინჯაოს მედალოსან **ფრანსისკო ხავიერ სანჩეს პარას** ორ პერიოდში 5:1 აჯობა. ტიტულების მიუხედავად, ეს მეტოქეები მაინც არ არიან ჩვენებურის დონის ფალავნები და ხინჩეგაშვილმაც იოლად მოუგო ორივეს. არც ფინალში გასჭირვებია, სადაც მის



მარცხნივ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

პირისპირ თურქი ევროპის წლევანდელი პრიზიორი **აჰმედ პეკერი** დადგა. მათი მეტოქეობა სათავეს 2008 წლიდან იღებს, როცა ჯერ კიდევ ჭაბუკთა ნაკრების წევრმა ხინჩეგაშვილმა 16-წლიანებში ევროპის პირველობა მოიგო, მერე იმავე წარმატებას ახალგაზრდებში მიაღწია, ბოლოს კი ასევე 20-წლამდელებში მსოფლიოს პირველობაზეც წაიყვანეს და აი, სწორედ იქ, სტამბოლში მსაჯთა დახმარებით აჯობა პეკერმა, რითაც სეზონის 100%-იანი შედეგით დამთავრება არ დააცალა. ამჯერად ჩვენებურმა ყველა ჯავრი ერთად იყარა და თურქს ორი პერიოდის ჯამში 3:0 მოუგო.

წინასწარ შეხვედრებში გოგშელიძეს სამჯერ მოუწია საჭიდაოდ გასვლამ და სამჯერვე ძირითად დროში, ანუ ორ პერიოდში იმარჯვა. მან პირველ წრეში მოლდოველ ევროპის მედალოსან **ნიკოლაი ჩებანს** 1:0; 1:0 აჯობა, მერე უნგრელი **გერგელ კისი** 4:0 დაამარცხა, ნახევარფინალში კი გერმანელ **რობინ მიხაელ ფერდინანდის** 6:0; 2:0 სძლია. სამწუხაროდ, ამასობაში ტრავმაც მიიღო და ფინალში რუსთა ევროპის ჩემპიონ **აბდუსალამ გადისოვთან** არ უჭიდავია.

ტურნირი კარგად დაიწყო ჩვენი გუნდის მესამე წევრმა **ზურაბ იაკობაშვილმაც** (66) – პირველივე შეხვედრაში უკრაინელი ოლიმპიადის ვიცე და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **ანდრეი სტადნიკი** დაამარცხა, თუმცა დამატებითი დრო დასჭირდა (5:3). ამის შემდეგ მან კიდევ ერთი წარმატება მიითვალა ბერძენ **ანდრეას ტრიანტაფილიდისთან** უკვე ძირითად დროში (2:0; 2:0), მაგრამ მესამე წრეში გერმანელ **მარტინ სებასტიან დაუმთან** 1:3 წააგო ასევე ორ პერიოდში, რითაც ლიცენზიის მოპოვების შანსიც დაკარგა. ვერც სანუგეშოში გადავიდა, თუმცა ესეც არაფერს ცვლიდა, რადგან საგზურებს მხოლოდ ფინალისტები იღებდნენ. მომავალ უქმეებზე ჩინურ ტაიუანში გასამართ მსოფლიოს სალიცენზიო შეჯიბრებაში ამ წონაში, სავარაუდოდ, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ევროპისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **ოთარ თუშიშვილი** იჭიდავებს. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელთა თავდაპირველი გადაწყვეტილება ასეთი იყო.

### ჟამი... დათვლად საგზურებისა

ამდენად, საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ყულაბაში უკვე ოფიციალურად დადასტურებული 14 საგზურია, რასაც ძიუდოისტებისგან მინიმუმ, ექვსიც უნდა დავუმატოთ – სწორედ ამდენმა გაინაღდა ლონდონში გამოსვლა, ოღონდ იქ ჯერ სალიცენზიო შეჯიბრებების ციკლი უნდა დასრულდეს, თორემ მანამ შედეგებს არ გამოაცხადებენ. ისე, კარგი მაჩვენებელი არც 20 საგზურია. მით უფრო, რომ ბევრ სახეობაში უკვე დამთავრდა ლიცენზიების გაცემა, ჩვენებს კი ხელი მოეცარათ. ამ ფონზე უფრო დასაფასებელია თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მიღწევა, რაც არა მხოლოდ ნაკრების სრულად დაკომპლექტებაში გამოიხატება, არამედ – ხარისხშიც, რადგან ჩვენი ოლიმპიური გუნდის უმთავრესი ფავორიტები აქ არიან. ოფიციალური წრეებისგან უკვე საჯაროდაც გახმაურდა, რომ წინა ოლიმპიადებისგან განსხვავებით, ლონდონში გამოკვეთილი საჩემპიონო ფავორიტები არ გვეყოლებიან, თუმცა თუ ვინმესგან ველოდებით წარმატებას (მათ შორის – ოქროს მედლებსაც), უპირველესად - „თავისუფალთაგან“. აქ ხომ ძალიან პერსპექტიული ახალი თაობა წამოვიდა, რომელთაგანაც რამდენიმე მსოფლიოს მასშტაბით უკვე გახდა თავისი წონის ლიდერი.

### ბერძენ-რომაელთა სალიცენზიო დღეები

დღეს „თავისუფალთაგან“ დარჩენილი წონის 120-ის ფალავნები იჭიდავებენ, პარალელურად კი შეჯიბრებაში ბერძენ-რომაელებიც ჩაებმებიან. შეგახსენებთ ჩვენი ნაკრების შემადგენლობას: **გოდერძი დავითაძე** (55), **ფირუზ წულუკიძე** (60), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **რევაზ ნადარეიშვილი** (84), **სანდრო დიხამინჯია** (96) და **სერგო გოგისვანიძე** (120). დღეს პირველი ხუთი წონის ფალავნები იასპარეზებენ (ოღონდ ჩვენგან ოთხი გავა საჭიდაოდ, რადგან 66-ში უკვე გვაქვს ლიცენზია). სამწუხაროდ, ჩვენებს წილისყრაში დიდად არ გაუმართლათ. დავითაძე პირველივე წრეში ფინელ ევროპის ჩემპიონ **იანი იუკკა ჰააპამაკის** ხვდება, ამათში გამარჯვებულის მომავალი მეტოქე კი თურქთა ევროპის წლევანდელ მესამე პრიზიორ **ფატიჰ უცუნცუსა** და უკრაინელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ვუგარ რახიმოვის** შეხვედრაში ირკვევა. ბადის ამავე ნახევარში არიან გამოცდილი რუმინელი, ევროპის პრიზიორი **ვირჯილ მუნტეანუ**, მასპინძელთა ევროპის წლევანდელი მედალოსანი **ალექსანდრ კოსტადინოვი** (ესენი პირველ წრეში ერთმანეთში ჭიდაობენ) და წონის სომეხი ლიდერი, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის პრიზიორი **რომან ამოიანი**.

წილისყრაში წულუკიძეს გაუმართლა, თუმცა ვნახოთ, ამგვარ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში გამოუცდელი ქართველი რამდენად გამოიყენებს ამ შანსს. ის თავიდან ისვენებს, პირველ შეხვედრას კი შვეიცარიელ **პატრიკ სტადელმანთან** გამართავს. ამათში მოგებული ფინელ **მატტი ტაპიო კეტუნენსა** და მოლდოველ **დონიორ ისლამოვს** შორის გამარჯვებულთან იჭიდავებს. ამ ტრიოდან არც ერთი არაა ისეთი, მათი გავლა არ შეიძლებოდეს, და ვინმე გამორჩეულად ძლიერი არც ნახევარფინალის პოტენციურ მეტოქეებში ჰყავს.

დათუნაშვილი პირველ წრეში კი ისვენებს, მაგრამ, სამაგიეროდ, აზერბაიჯანელი და უნგრელი ევროპის ჩემპიონების, **რაფიკ ჰუსეინოვსა** და **პეტერ ბასცის** შორის მოგებულს ელოდება.

ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი ნადარეიშვილი პირველივე შეხვედრას ფრანგ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **მელონინ ნოუმონვისთან** ჩაატარებს. მას თუ მოუგებს, სავარაუდოდ, შვედთა სომეხ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ **არა აბრაჰამიანს** შეერკინება. ნახევარფინალში სავარაუდო მეტოქეთა შორისაც ბევრია ტიტულოვანი – იტალიელი ოლიმპიური ჩემპიონი **ანდრეა მინგუზი**, ბულგარელთა ევროპის წლევანდელი და მსოფლიოს ჩემპიონი **ხრისტო მარინოვი**, ხორვატი მსოფლიოს მედალოსანი **ნენად ზუგაი**, უკრაინელი ევროპის ჩემპიონი **ვასილ რაშიბა**, ლიტველი ევროპის პრიზიორი **ლაიმუტის ადომაიტისი**...

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

FedCup by BNP PARIBAS

# საგზური ხელის განწვდენაზეა

ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში დღეს გამოვლინდება ჩოგბურთელ ქალთა „ფედერაციის თასის“ გათამაშების ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფიდან იმ ორი გუნდის ვინაობა, რომლებიც გაისად ზედა ეშელონში ითამაშებენ.

საქართველოს ნაკრები კაიროში ფავორიტის რანგში ჩავიდა და ვარაუდსაც ამართლებს. როგორც გაუწყეთ, პირველ ორ ტურში **ანა ტატიშვილმა, სოფიო შაფათავამ** და **სოფიო ქვაცაბაიამ** (კაპიტანი **ლალი ზერეკიძე**) ნორვეგიას (3:0) და ლატვიას (2:1) სძლიეს და, თურქების მსგავსად, ნახევარფინალის საგზური გაინაღდეს. სამხრეთელ მეზობლებთან გუშინდელ დაპირისპირებას უნდა გაერკვია, მეორე ზონის B ჯგუფში პირველი ვინ იქნებოდა, რადგან გამარჯვებული ნახევარფინალში A ჯგუფის მეორეადგილოსანს დაუპირისპირდებოდა. გულშემატკივრებმა, ალბათ, იციან, რომ თურქები განსაკუთრებით წყვილებში ყოჩაღობენ, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში მათ ქართველთა წინააღმდეგ აქაც არაფერი გამოუვიდათ.

კორტზე პირველები ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგში 267-ე ადგილზე მყოფი სოფიო შაფათავა და მასზე 32 საფეხურით დაბლა მდგომი პეგრა ოზგენი გავიდნენ. ქართველმა ჩოგბურთელმა მეტოქეს წარმატების იოტისოდენი შანსიც არ დაუტოვა — იოლად დაამარცხა იგი 6:2, 6:2. ქალთა საუკეთესო ასეულის წევრ ანა ტატიშვილს (85-ე) კაგლა ბუიუკაკჩაიმ (233-ე) მხოლოდ პირველ სეტში გაუწია ერთგვარი წინააღმდეგობა. თუმცა ჩვენებურს მისი მოგება (6:4) არ გასჭირვებია. მეორე ხელში ანას უპირატესობა უფრო აშკარა იყო — 6:2. ამ მოგებით საქართველოს ნაკრებმა . ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა, თუმცა ახალი წესებით, წყვილთა თამაშიც აუცილებელია, ამიტომ კორტზე ჩვენგან ტატიშვილისა და ქვაცაბაიას (377-ე) დუეტი გავიდა, რომელიც მელის სეზერისა (389-ე) და იპეკ სოილუს (1187-ე) დაუპირისპირდა. ამ პაექრობაშიც უპირატესობა ქართველთა მხარეს იყო - 6:3, 7:5.

A ჯგუფის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში სამხრეთაფრიკელებმა ასევე მშრალი ანგარიშით — 3:0 დაამარცხეს კონკურენტი ჩერნოგორია: ლიზე ჰატინგი — ვლადიცა ბაბიჩი 6:2, 6:4, ნატალი გრანდინი — დანკა კოვინიჩი 6:4, 7:6, წყვილები: ლინ კირო, მადრი ლე როუქსი — ვლადიცა ბაბიჩი, მილიცა სლიუკიჩი 6:1, 6:2. ამ წარმატებით სამხრეთაფრიკელებმა პირველობა გაინაღდეს ჯგუფში და დღეს პირველი ზონის საგზურისთვის თურქებს დაუპირისპირდებიან, საქართველოს ნაკრებს კი ჩერნოგორიის გუნდი გაუწევს მეტოქეობას. ძალთა თანაფარდობას თუ გავითვალისწინებთ, ქართველებს პირველ ზონაში მეცხრედ ალზევება არ უნდა გაუჭირდეთ. ექსიუგოსლავიელებს ორი რეიტინგიანი ჩოგბურთელი ჰყავთ: ერთეულებში 358-ე ადგილზე მყოფი 18 წლის დანკა კოვინიჩი და წყვილებში 752-ეადგილოსანი, 25 წლის მოთამაშე კაპიტანი დანიცა კრსტაიჩი, ხოლო 17 წლის ვლადიცა ბაბიჩი და 16 წლის მილიცა სლიუკიჩი ურეიტინგოები არიან.

დღეს მესამე-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდებიც დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ფინეთი — ნორვეგიისა და დანია — ლატვიის წყვილთა პაექრობაში გაირკვევა, თუ ვინ ჩამოქვეითდება მესამე ზონაში. აქ კი მე-2 ზონაში გამოთავისუფლებული ორი ადგილისთვის მაროკო-ლიტვა და ირლანდია-ტუნისი იბრძოლებენ.

**ვაჟა დანელია**

ცურვა

# კვარცხლბეკისკენ უცნაური ფორმულით...

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალამდე, რომელსაც 2015 წელს თბილისი უმასპინძლებს, კარგა დროა დარჩენილი, მაგრამ ასპარეზობის პროგრამაში შემავალი სპორტის სახეობათა მესვეურები აქედანვე ზრუნავენ ახალგაზრდა ათლეტთა მომზადებასა და კონკურენტუნარიანი გუნდების ჩამოყალიბებაზე. ამ მხრივ მოცურავეებიც გამოირჩევიან. ტალანტების წარმოსაჩენად უკვე რამდენიმე შეჯიბრება ჩატარდა, შეირჩა პერსპექტიული გოგო-ბიჭების ჯგუფი, რომლის რვა წევრმაც (12 წლის 6 ბიჭი და 10 წლის 2 გოგონა) ოდესაში 1999-2002 წლებში დაბადებულთა საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ისინი უკრაინელ და მოლდოველ თანატოლებს მეტოქეობდნენ. სულ ტურნირზე ოთხ ასაკში 430-მა ნორჩმა მოცურავემ მოსინჯა ძალები. მათ ნებისმიერ დისციპლინასა და დისტანციაზე შეეძლოთ გამოსვლა, ოღონდ ჩათვლაში ორი საუკეთესო შედეგის ქულათა ჯამი (გამარჯვებულთა გამოვლენის უცნაური წესი) შედიოდა. ამდენად, სულ მედლების რვა კომპლექტი გათამაშდა. ასეთი კონკურენციის პირობებში შესანიშნავად იასპარეზა „ლაგუნა ვერეს“ წარმომადგენელმა **ილია პაპიძემ** (მწვრთნელი **მანანა თურქია**), რომელმაც ამას წინათ რუსთავში სასელექციო შეჯიბრებაში ბრასით 100 და 200 მეტრზე პირველი ადგილები დაიკავა. ოდესაში მან 50, 100 და 200 მეტრი გაცურა ბრასით და 130 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.



ილია პაპიძე

რაც შეეხებათ დანარჩენ ქართველ მოცურავეებს, სხვადასხვა დისციპლინაში მათ რვა საპრიზო ადგილი დაიკავეს: **ირაკლი კვარაცხელია** ("ტონუსი") 200 მ კომპლექსურ ცურვაში მე-3 იყო. ასევე, მესამე ადგილები ერგოთ გორელ **გივი დუდაშვილს** (100 მ ბატერფლაი) და **გიორგი ხვედელიძეს** ("ტონუსი", 200 მ გულაღმა ცურვა). გოგონებში რუსთაველ **რუსუდან გოგინაშვილს** 200 მ ბრასით მე-2, ხოლო 50 მ ბატერფლაით მე-3 ადგილები ხვდა, **მერი მუმლაძე** ("ტონუსი") კი ერთ მეორე (100 მ თ/ყ) და ორ მესამე ადგილს (50 და 200 მ თ/ყ) დასჯერდა. ამგვარი შედეგების მიუხედავად, პაპიძის გარდა, ყველა ჩვენებური უმედლოდ დარჩა.

როგორც საქართველოს ჭაბუკ მოცურავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი აბზიანიძემ** გვითხრა, 1999-2001 წლებში დაბადებული ჩვენი 16 მოცურავე (4 გოგონა, 12 ბიჭი) 17-19 მაისს ნახჭევანში აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის – ჰეიდარ ალიევის ხსოვნის ტურნირში იასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**

# ქართული სპორტი

## არა არს რა დაფარული...

ალექსანდრე ჯინორიძის რუბრიკა

# სალონური გარჩევა

ეს ამბავი, გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მოხდა 10 000 მეტრის სიმაღლეზე, ტუპოლევის კონსტრუქციის თვითმფრინავის სალონში. თვითმფრინავს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ ჯგუფში მოასპარეზე გუნდებიდან ერთ-ერთი ხელმოცარული, კიევის ასკ-ს ფეხბურთელები შინ მიჰყავდა.

შეშინებული სტიუარდესები და მგზავრები აკანკალებული ხმით უყვებოდნენ დამხვდურებს, თუ როგორ ურტყამდა ფეხბურთელთა მთელი კოლექტივი საკუთარ გოლკიპერს - გურბიჩს (რომელიც, სხვათა შორის მაღალი კლასის მეკარე გახლდათ).

მოგეხსენებათ, გარიგებები გუნდებსა და ცალკეულ სპორტსმენებს შორის, მაშინ უფრო პრიმიტიულ დონეზე ხდებოდა, ვიდრე დღეს. ყველაფერი ძალიან მარტივად გამოაშკარავდა, საოცრად ცუდად ჩატარებული გადამწყვეტი მატჩის შემდეგ (გურბიჩმა აშკარად წააგებინა თანაკლუბელებს), ერთ-ერთმა თანაგუნდელმა თვითმფრინავის სალონის თაროზე მეკარის შემოდებული ჩანთა ''გაჩითა''. ჩანთა ქაღალდის კუპიურებით იყო გატენილი .(რუბლებით, რასაკვირველია).

ზეცაში მოწყობილი გარჩევის შემდეგ, ბეჩავი მექრთამე საკმაოდ დიდი ხნით საავადმყოფოში მოხვდა. მერე გუნდიდან გააგდეს და თავი მოქმედ ჯარში უკრეს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი ცოტათი ადრე რომ მომხდარიყო (გენერალი სიმუსის მმართველობის დროს), გურბიჩს, საუკეთესო შემთხვევაში, სპეცრეისით ციმბირში გაამწესებდნენ და იგი ფეხბურთის შესახებ რადიორეპორტაჟით თუ შეიტყობდა რამეს, ისიც თუ ზონაში კარგად მოიქცეოდა.

## იუბილარი

# ომარ (გივი) გურულიშვილი – 75



ქართველები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, აისორები, რუსები, სომხები ერთ გუნდში გამოდიან გარდაბნის ადგილობრივ შეჯიბრებებს თუ საქართველოს პირველობებში. ბევრმა დაიმკვიდრა ადგილი საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის ნაკრებ გუნდებში. ამ მიღწევებში დიდია ცნობილი სპეციალისტის, ომარ (გივი) გურულიშვილის წვლილი, რომელიც 1975 წლიდან ხელმძღვანელობს რაიონის განათლების სპორტსკოლას. 1990 წელს სპორტსკოლა გაიხსნა თელეთშიც, რომელიც შემდეგ „შავნაბადა-თელეთის" ბავშვთა საფეხბურთო სკოლად გადაკეთდა და გივის ვაჟის, საქართველოს და საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრების ფეხბურთელის, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული გოჩა (გურულო) გურულიშვილის სახელი მიეკუთვნა.

გივი გურულიშვილმა მთელი ცხოვრება სპორტს მიუძღვნა. იყო ნიჟნი-ტაგილის მხარის შეიარაღებული ძალების ჩემპიონი. მისი კაპიტნობით ჩვენი ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლის გუნდმა ორჯერ მოიპოვა თბილისის ჩემპიონობა. გარდაბნის „შრომითი რეზერვების" გუნდში კი საქართველოს ჩემპიონი გახდა. „ავიატორში" დარგობრივი საკავშირო პირველობაც მოიგო.

მისი ხელმძღვანელობისას სპორტსკოლაში აღიზარდნენ საქართველოს თუ სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულები და პრიზიორები: ამირან, მერაბ, ტრისტან ტოტიკაშვილები, კობა გულიაშვილი, ზაურ ივანაშვილი, ზურაბ ტალიკიშვილი, ტარიელ მელელაშვილი, ვახტანგ შპეტიშვილი, გიორგი სახლთუხუციშვილი, ზვიად ეპიტაშვილი, თემურ ფეიქრიშვილი,შალვა, მიხეილ, გიორგი თათუხაშვილები, გოჩა და მერაბ ტაბლიაშვილები, ვეფხია ქობულაძე, ალექსანდრე მდივანი, გიორგი სინჯიკაშვილი, გოჩა ოქრაძე და სხვები. დღეს საქართველოს 17 წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებში თამაშობს დავით მაკარაძე. გივი გურულიშვილის შეგირდი იყო ცნობილი ფეხბურთელი, გარდაბნელი ასკარ აბდულაევი, შემდეგში ბაქოს „ნეფთჩის" კაპიტანი და აზერბაიჯანის ნაკრების მწვრთნელი.

გადატანილი ტრაგედიების მიუხედავად — შვილის შემდეგ სიძეც დაეღუპა, ოჯახში კვლავაც გრძელდება სპორტული ტრადიციები. ქალიშვილის შვილები სულამიტა და მარიამ ადამაშვილები ფრენბურთში მოსწავლეთა შორის თბილისის ჩემპიონები არიან, ილია კი პაპასთან ოსტატდება ფეხბურთში. გოჩას ვაჟი — თორნიკე „შავნაბადა-თელეთი"— „ნორჩი დინამოს" აღზრდილი, იტალიის ერთ-ერთ საფეხბურთო კლუბში ისინჯება, მისი ძმა გიორგი კი ძიუდოისტია. ორივე თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტია.

გ. გურულიშვილის აღზრდილები საზოგადოებრივ სარბიელზეც გამოირჩევიან პროფესიონალიზმით, მაღალი ზნეობით, ჰუმანურობით, რასაც ოსტატი მათ თავის დროზე უნერგავდა. ბევრი მათგანი ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობს რაიონში. ყოფილი შეგირდებიდან ექვსი ლიცენზირებული მწვრთნელია. იუბილარის სახელს უკავშირდება სპორტის ეროვნულ სახეობებში ასპარეზობების ტრადიციების აღდგენა. ღვაწლი დაფასებულია ღირსების ორდენით, არის სპორტის დამსახურებული მუშაკი.

დღეგრძელობას და ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, ბატონო გივი!

**გარდაბნის რაიონის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი**

®

FM 107.9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## ოლიმპიური ფილატელია







## პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** სპორსტსმენი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ზამთრის და ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში **ედი იგანი.** 1920 წელს მან კრივში მოიგო ოლიმპიური ოქროს მედალი, 1932 წელს — ბობსლეიში.

■ ■ ■

**პირველმა** კრივში ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული სამჯერ (თანაც ზედიზედ — 1948, 1952, 1956) ლეგენდარულმა უნგრელმა მოკრივემ **ლასლო პაპმა** მოიპოვა.

■ ■ ■

**პირველად** ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ერთ დისციპლინაში ძმები დადგნენ საპატიო კვარცხლბეკზე. 1984 წელს **ფილ** და **სტივ მარეებმა** სლალომში პირველი და მეორე ადგილები გაინაწილეს.

## ვიქტორინა

**1. რომელ წელს დართეს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება პროფესიონალ ფეხბურთელებს, ჰოკეისტებს და ჩოგბურთელებს?**

ა — 1978 წელს

ბ — 1985 წელს

გ — 1991 წელს

**2. რომელი აფრიკული ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა პელემ 1978 წელს?**

ა — სამხრეთ აფრიკის

ბ — ზიმბაბვეს

გ — ნიგერიის

**3. სად ჩატარდა და რომელ წელს ზაფხულის XVI ოლიმპიური თამაშები?**

ა — მელბურნში, 1956 წელს

ბ — რომში, 1960 წელს

გ — მეხიკოში, 1968 წელს

**4. პირველად ვინ უწოდა გულშემატკივრებს მეთორმეტე ფეხბურთელი?**

ა — ვისენტე ფეოლამ

ბ — ანდრო ჟორდანიამ

გ — ელენიო ერერამ

**5. რას ნიშნავს ტერმინი „სირდარი"?**

ა — უდაბნოს გზამკვლევს

ბ — ჰიმალაის მთებში ექსპედიციის მეზარგულთა უფროსს

გ — ზღვაოსნობისას ამინდზე დამკვირვებელს

პასუხები: 1 — ბ, 2 — ბ, 3 — ა, 4 — ბ, 5 — ბ.

## ნაკლებად ცნობილი თამაშები

# სპიდბოლი

**სპიდბოლი** (ინგ. speed -სისწრაფე, ball-ბურთი) თანამედროვე გუნდური თამაშია ბურთით. შეიცავს ფეხბურთის, კალათბურთისა და ამერიკული ბურთაობის ტექნიკურ ელემენტებს. სპიდბოლისთვის გამოსადეგია როგორც ფეხბურთის, ისე ჰოკეისა და ამერიკული ბურთაობის მოედნები, ოღონდ ამ უკანასკნელის თავსა და ბოლოში კარები უნდა იდგეს.

სპიდბოლი 1921 წელს შექმნა მიჩიგანის უნივერსიტეტის დარბაზის სახეობათა დირექტორმა ი. დი მიტჩელმა, რომელსაც სურდა ამერიკულ ბურთაობაზე უსაფრთხო, თუმცა არანაკლებ საინტერესო სახეობა დაემკვიდრებინა. თავიდან მისმა პროექტმა გაამართლა და ახალი თამაში ძირითადად მიდვესტში კოლეჯებსა და უნივერსიტეტებს მოედო. 30-იან წლებში ქალაქების დასვენებისა და გართობის დეპარტამენტებმა ახალი სახეობა პროგრამებშიც კი შეიტანეს, მაგრამ 50-იან წლებში კაცთა სპიდბოლი სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან ისევ ამერიკულმა ბურთაობამ და ფეხბურთმა გააძევეს. მას შემდეგ სახეობა ქალთა შორის გავრცელდა.

პიდბოლს თამაშობენ 7-11-კაციანი გუნდები. მისი ძირითადი ელემენტები, ბურთის დარტყმა და ხელით პასი ერთნაბიჯიანი ნებადართული დრიბლინგის შემდეგ ფეხბურთიდან და კალათბურთიდან არის გადაღებული. ბურთით სირბილი აკრძალულია. არ შეიძლება აგრეთვე მოედანზე გაგორებული ბურთის ხელის ხლება. ასეთ დროს ბურთი ფეხბურთის მსგავსად უნდა აგორონ. როდესაც მოთამაშე გაგორებულ ბურთს ფეხს ამოჰკრავს და ჰაერში ააგდებს, სანამ ისევ მიწაზე დავარდებოდეს, მისი ხელით დაჭერა შეიძლება. ნებადართულია ასე დაჭერილი ბურთის წინ გადაგდება, გამოდევნება და შემდეგ ძირს დარტყმამდე მისი ისევ დაჭერა.




მატჩი შედგება ოთხი 10-10-წუთიანი ან 8-8-წუთიანი (უმაღლეს სკოლებში) ტაიმისაგან. გოლი ჩაითვლება, უფრო სწორად ქულები იწერება ბურთის კარში შეგდებისთვის, კარის ძელებს შორის გაძვრენისთვის, ბოლო ზონაში მისი დაჭერისა და ბოლო ზონიდან გამოგდების შემდეგ. მოთამაშეებს ორთაბრძოლა ეკრძალებათ.

კარში დარტყმის ნებადართული ხერხებია: ბურთის ჰაერიდან დარტყმა, ერთი დაგდებით დარტყმა და ძირს დადებული ბურთის დარტყმა.

## თარიღი 21-27 აპრილი

**21. 1924 წ.** ათენში (საბერძნეთი) დაარსდა საფეხბურთო კლუბი „აეკი".

**21. 1955 წ.** დაიბადა **ანტონიო კარლოს სერეზო** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**22. 1906 წ.** ოლიმპიური თამაშების აღორძინების 10 წლისთავზე ათენში საიუბილეო ოლიმპიადა გაიხსნა.

**22. 1982 წ.** დაიბადა **კაკა** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**23. 1943 წ.** დაიბადა **ტონი ესპოზიტო** — ჰოკეი (მეკარე, კანადა).

**23. 1943 წ.** დაარსდა საფეხბურთო კლუბი „ნანტი" (საფრანგეთი).

**24. 1894 წ.** დაიბადა **სტენლი როუზი** — ფიფას პრეზიდენტი 1961-1974 წლებში. გარდაიცვალა 1986 წ.

**24. 1932 წ.** დაიბადა **ვლადიმერ ენგიბარიანი** — კრივი (სსრკ, სომხეთი).

**25. 1899 წ.** დაარსდა საფეხბურთო კლუბი —„მიუნხენი" (გერმანია).

**25. 1947 წ.** დაიბადა **იოჰან კრუიფი** — ფეხბურთი (ჰოლანდია).

**25. 1952 წ.** დაიბადა **ვლადისლავ ტრეტიაკი** — ჰოკეი (სსრკ, რუსეთი).

**26. 1962 წ.** დაიბადა **ექტორ ენრიკე** — ფეხბურთი (არგენტინა).

**26. 1978 წ.** უეფას კონგრესმა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად **არტემის ფრანკი** აირჩია.

**27. 1908 წ.** ლონდონში გაიხსნა ზაფხულის IV ოლიმპიური თამაშები.

**27. 1929 წ.** დაიბადა **ჯალმა სანტოსი** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**შენიშვნა:** *ქართული სპორტის ღირსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში".*

## შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** როგორც ცნობილი გახდა, უნგრეთის პრეზიდენტი **პალ შმიტი** თანამდებობიდან გადადგა იმის გამო, რომ ადრე სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სხვისი ნაშრომის ნაწილის მითვისება დაუმტკიცდა. ვიცი, რომ ამ სახელისა და გვარის პიროვნება, თანაც უნგრელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია. უნგრეთის უკვე ყოფილი პრეზიდენტი და ეს ოლიმპიური ჩემპიონი ერთი და იგივეა თუ უბრალოდ, გვარ-სახელის დამთხვევაა?

**ავთანდილ ბაქრაძე**

თბილისი




**პასუხი:** ვფიქრობთ, პასუხი ამ შეკითხვაზე სხვასაც დააინტერესებს. დიახ, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ფარიკაობაში უნგრელი პალ შმიტი და უნგრეთის ექსპრეზიდენტი ერთი და იგივე პიროვნებაა.

შმიტმა 1968 (მეხიკო) და 1972 (მიუნხენი) წლების ოლიმპიურ თამაშებში დაიმსახურა ოქროს მედალი, რაც უდიდესი მიღწევა იყო. ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის მეორედ დაუფლებიდან ზუსტად 20 წლისთავზე, 1992 წელს პალ შმიტმა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა მისთვის ესოდენ ახლობელ სფეროში — სპორტში. თემა ასეთი იყო: „თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პროგრამის ანალიზი". გავიდა დისერტაციის დაცვიდან კიდევ 20 წელიწადი და გაირკვა, რომ დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად შმიტს იოლი გზით უვლია — დისერტაციის დიდი ნაწილი მიუთვისებია ცნობილი ბულგარელი მკვლევარის **ნიკოლაი გეორგიევის** ნაშრომიდან. ეს „საიდუმლო" ჟურნალისტური გამოძიების შედეგად გახმაურდა.

**პასუხი მოამზადა, თორნიკე გაჩეჩილაძემ**

# ქართული სპორტი

## ჭადრაკი



კონსტანტინე შანავა

### სამეულის შანსს ინარჩუნებენ

ფრანგულ მეცში დღეს დამთავრდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. გუშინ მე-8 ტურში **კონსტანტინე შანავამ** თეთრი ფიგურებით ანდრეი სუმეტსი დაამარცხა და 5,5 ქულას მოუყარა თავი. ბოლო ტურის წინ იგი ნახევარი ქულით ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერ სებასტიან ფელერს, რომელიც შავებით მაქსიმ ტუროვს დაუზავდა და გათამაშების ცხრილში პირველობა შეინარჩუნა. მეწინავეებს წამოეწია **თორნიკე სანიკიძე.** საქართველოს ექსჩემპიონმა ბარტ მიხელსი დაჯაბნა. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ევგენი ვოროპიოვი-მიხაილ გურევიჩი 1:0, ოლეგ კორნეევი-მატიუ კორნეტი 0:1, ალექსანდრ ზუბარევი-ბოგდან ლალიჩი 0.5:0.5, მარიუს მანოლაჩე-ვადიმ მალახატკო 0.5:0.5, ნიკიტა მაიოროვი-ვიტალი კოზიაკი 1:0, ფაბიენ ლიბიშევსკი-ნგუენ ჩი-მინი 1:0.

რვა ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ფელერი-6, შანავა, კორნეტი, ტუროვი, ვოროპიოვი-5.5-5.5, ზუბარევი, სუმეტსი, ლალიჩი, მალახატკო, სანიკიძე, მანოლაჩე, მაიოროვი, ლიბიშევსკი-5-5 ქულა. დღეს გადამწყვეტ ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ფელერი-შანავა, კორნეტი-ტუროვი, ზუბარევი-ვოროპიოვი, სუმეტსი-სანიკიძე, ლალიჩი-მანოლაჩე, მალახატკო-მაიოროვი, გურევიჩი-ლიბიშევსკი.

**ვაჟა დანელია**

### მედლებისა და საგზურებისთვის

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო 10 და 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომლის მონაწილენიც მედლებთან ერთად თანატოლთა შორის მსოფლიოს (7-19 ნოემბერი, მარიბორი, სლოვენია) და ევროპის (16-26 აგვისტო, პრაღა, ჩეხეთი) პირველობების საგზურებისთვის იბრძოლებენ.

გუშინ პირველი ტურის პარტიები გათამაშდა. 16-წლიანებში წარმატებას მიაღწიეს მარიამ ვალიშვილმა, ანა შამათავამ, ნატო იმნაძემ, თეა ჭოლაძემ, ნატა ჯიბუტმა, ნინო ხომერიკმა, დეა გოგიშვილმა, თათია კოხრეიძემ, თეკლა მაჭარაშვილმა, მაია მუმლაძემ; თემურ ოთხოზორიამ, ირაკლი ბერაძემ, ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა, გუგა ბურდულმა, უჩა მღვდელაძემ, გიორგი სიბაშვილმა, ალექსანდრე ებრალიძემ, ლუკა ლიჩელმა, სარო ნაჩარიანმა, გიგლა ბენიძემ, ნოე თუთისანმა, ნიკა ლვამბერიამ, გაბრიელ ბეჭვაიამ და საბა ბიბიჩაძემ, რომლებმაც გათამაშების ცხრილში პირველი ქულები ჩაიწერეს.

დღეს მეორე ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

## კრივი

### რინგზე არ გავიდა

უკვე გაუწყეთ, რომ ტრაბზონში მოკრივეთა სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირზე 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში **მერაბ თურქაძემ** ორი მეტოქე დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, რითაც ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა, რადგან ამ წონაში ოლიმპიადის ოთხი საგზური თამაშდებოდა. გუშინ ნახევარფინალში თურქაძე აზერბაიჯანელ მაგომედ აბდულგამიდოვს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ჩვენებური რინგზე არ გავიდა და, ცხადია, წაგება ჩაეთვალა. მეორე ნახევარფინალურ წყვილში უკრაინელმა პავლო იშჩენკომ 13:7 აჯობა დანიელ დენისვილი გეილანს და დღეს ფინალში აბდულგამიდოვს დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

## სუპერლიგა. XXII ტურის წინათქმა

# ფინალის პრელუდია თუ...

**გიორგი ცინცაძის** დამატებამ „ოლიმპი" ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად აქცია. ეს ფრაზა შესაძლოა „არმიას" კალათბურთელებს ყურში ცუდად მოხვდეთ, მაგრამ ფაქტია: დღევანდელი მატჩის შედეგის წინასწარ განსაზღვრა ძალიან რთულია. დღეს ხომ ერთმანეთს „არმია" და „ოლიმპი" ეთამაშებიან. არ დაგვავიწყდეს მათი პირველი შეხვედრაც, რომელიც ბოლო წამზე **ჯერემი რიჩარდსონის** რეალიზებული სამქულიანით „არმიამ" 63:62 მოიგო.

არც ისაა დასამალი, რომ ეს გუნდები ფინალის საგზურის მოპოვების მთავარი პრეტენდენტები არიან, თუმცა ნახევარფინალებში იოლი გასეირნებები არ ელით. სწორედ ზედმეტი მგზავრობის თავიდან ასაცილებლად „ოლიმპს" „არმიასთან" გამარჯვება სჭირდება. ასეთ შემთხვევაში ოლიმპელები ქულებით გაასწრებენ „ქუთაისს" და ნახევარფინალში შეხვედრის შემთხვევაში მოედნის უპირატესობა თბილისელთა მხარეს იქნება. სიტყვა „მოედნის უპირატესობა" ამ შემთხვევაში ბევრს ნიშნავს: 1/2-ფინალში საწყისი ორი თამაში იმ გუნდის მოედანზე გაიმართება, რომელიც რეგულარულში ცხრილში უფრო ზემოთ აღმოჩნდა. მომდევნო ორ თამაშს მეორე გუნდი უმასპინძლებს. თუ სერიაში ოთხი შეხვედრის შემდეგ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა (2:2), მაშინ მეხუთე, გადამწყვეტი დაპირისპირება იმ გუნდის მოედანზე გაიმართება, რომელსაც რეგულარულში უკეთესი შედეგი ჰქონდა.

ასე რომ, „ოლიმპისთვის" მისაღები ნამდვილად არ უნდა იყოს ცხრილში „ქუთაისის" ქვემოთ დაშვება. თუ სატურნირო მდგომარეობას გადახედეთ, შესაძლოა გაგიჩნდათ კითხვა: „ოლიმპმა" „არმიას" რომ ვერ მოუგოს, მოგება-წაგებებით „ქუთაისს" გაუთანაბრდება, ასეთ შემთხვევაში ვინ დაიკავებს მეორე ადგილს? - ქუთათურები, რომლებმაც „ოლიმპთან" ორივე მატჩი მოიგეს.

### ვინ?

როგორც ხედავთ, **გია კაზანჯიანის** შეგირდებს დღევანდელი მატჩისთვის მოტივაცია საკმარისზე მეტი აქვთ. მათ შემადგენლობაც გააძლიერეს, წინა ხაზში შემცვლელ-სასტარტოებიანად ყველაზე ძლიერები არიან. უკანა ხაზში საქართველოს ნაკრების წევრები გიორგი ცინცაძე და **ლაშა გამყრელიძე** თამაშობენ. ამით ყველაფერია ნათქვამი. ასე რომ, „არმიელთა" ძლევა სენსაცია ნამდვილად არ იქნება, თუმცა **კოტე ტულუშის** გაწვრთნილ გუნდსაც აქვს უპირატესობები, რომელთაგან უმთავრესი ორია - მაღალი კლასის ლეგიონერები და შეთამაშება: „არმია" სექტემბერში შეიკრიბა და მას მერე თითქმის ერთი შემადგენლობით თამაშობს, ლეგიონერები უკვე გაუშინაურდნენ საქართველოს ჩემპიონატს. ზედა წინადადებაში სიტყვა „თითქმის" იმიტომ გამოვიყენეთ, რომ არის ერთი კალათბურთელი, რომელიც არმიელებმა ცოტა გვიან დაიმატეს, თუმცა დეკემბრის შემდეგ **ბენ ვუდსაიდიც** სათანადოდ შეეწყო გუნდს.

### არმია და შსს

XXII ტურის ხუთი მატჩიდან ერთი უკვე გაიმართა - „ქუთაისმა" „ბათუმს" აჯობა. რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 4 მატჩია დარჩენილი და სატურნირო ცხრილში უპრეცედენტო სიტუაციაა: აქამდე არასოდეს ყოფილა შემთხვევა, ბოლო ტურის წინ ერთი საპლეიოფო წყვილი მაინც არ ყოფილიყო გარკვეული. ახლა მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ პირველ ადგილს „არმიას" ვერავინ წაართმევს, ხოლო „შსს აკადემიას" - მეოთხეს. მეოთხედფინალს მიღმა დარჩენილებსაც ყველაფერი აქვთ გარკვეული: მეცხრე პოზიცია სტუ-ს, მეათე - „რუსთავს", მეთერთმეტე - „ბათუმს".

### დინამო და სოხუმი

მესამე ადგილის შესახებ არაფერი გვითქვამს, მაგრამ იოლი მისახვედრია - ან „ოლიმპი" ან „ქუთაისი".

მეხუთე პოზიციისთვის „დინამო" და „სოხუმი" იბრძვიან. მათ თანაბარი ქულები აქვთ, და ბოლო ტურში ორივე სტუდენტებს ეთამაშება. თუ დინამოელებმა და სოხუმელებმა ბოლო ტურში ერთნაირი შედეგი უჩვენებს, მაშინ მათ შორის ურთიერთშეხვედრებში ჩაგდებულ-მიღებული ბურთები დაითვლება. ამ მხრივ უპირატესობა „დინამოს" აქვს (83:69 და 73:84) და მეხუთე ადგილს ის დაიკავებს.

### სამედიცინო და თსუ

21-ე ტურში „შსს აკადემიას" ძლევით თსუ-მ მეშვიდე ადგილისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. მას ამისთვის დინამოელთა ძლევაღა სჭირდება. „დინამოელთა ძლევაღა" დასაწერადაა იოლი, თორემ **ირაკლი ხოშტარიას** გუნდი თსუ-სთან ფავორიტადაც ითვლება.

თუმცა, **ნუგზარ ჭეიშვილის** მოტივირებულ შეგირდებთან მოგება იოლი რომ არ არის, აქამდე არაერთხელ დავრწმუნდით. მერვეადგილოსანი თსუ ამჟამად მოგებების მიხედვით „სამედიცინოსთან" თანაბრადაა, მაგრამ „მედიკოსებს" რეგულარულის ყველა თამაში მოსტუმრებული აქვთ. თსუ-ს „დინამოსთან" წაგების შემთხვევაში მეშვიდე ადგილზე „სამედიცინო" დარჩება, რადგან ურთიერთშეხვედრაში თსუ-სთან უპირატესობა აქვს (83:74 და 91:93).

მერვე ადგილისთვის თავის დაღწევა კი მეოთხედფინალში „არმიასთან" თამაშისთვის თავის არიდებას ნიშნავს. რაც დიდი სტიმულია.

პლეი ოფში პირველ ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: პირველი-მერვე, მეორე-მეშვიდე, მესამე-მეექვსე, მეოთხე-მეხუთე.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 19 | 19 | 0 | 1737/1230 | 38 |
| 2. ქუთაისი | 20 | 16 | 4 | 1707/1511 | 36 |
| 3. ოლიმპი | 19 | 16 | 3 | 1625/1377 | 35 |
| 4. შსს აკადემია | 19 | 11 | 8 | 1660/1469 | 30 |
| 5. დინამო | 19 | 10 | 9 | 1563/1615 | 29 |
| 6. სოხუმი | 19 | 10 | 9 | 1502/1466 | 29 |
| 7. სამედიცინო | 20 | 7 | 13 | 1591/1724 | 27 |
| 8. თსუ | 19 | 7 | 12 | 1534/1642 | 26 |
| 9. სტუ | 19 | 5 | 14 | 1424/1658 | 24 |
| 10. რუსთავი | 19 | 3 | 16 | 1336/1640 | 22 |
| 11. ბათუმი-რსუ | 20 | 2 | 18 | 1443/1790 | 22 |



## სუპერლიგა. სატრანსფერო სიახლე



# გრუევი დინამოში

2010 წელს საქართველოს ნაკრებს ბულგარეთთან ორჯერ მოუწია დაპირისპირებამ. მეტოქის შემადგენლობაში შესარჩევის დაწყებამდე ვარჯიშობდა **ალექსანდრ გრუევი**, რომელიც მწვრთნელმა **როსენ ბარჩოვსკიმ** 12-კაციან განაცხადში აღარ შეიყვანა. თუმცა გრუევს მაინც მოუწია საქართველოში ჩამოსვლამ, ოღონდ ცოტა დაგვიანებით - სუპერლიგის წევრმა „დინამომ" ბულგარელ გამთამაშებელს სეზონის ბოლომდე გაუფორმა კონტრაქტი.

მის შესახებ დინამოელთა თავკაც **ირაკლი ხოშტარიას** დავეკითხეთ.

- ალექსანდრ გრუევი ორი დღის წინ ჩამოვიდა და გუნდთან ერთად ორი ვარჯიში ჩაატარა. ...ლოს თამაშობდა ირანსა და სლოვენიურ „ზლატოროგში", საიდანაც ამა წლის იანვარში წამოვიდა. მას მერე ინდივიდუალურად ვარჯიშობდა და ცუდ კონდიციებში არ არის. სხვა საქმეა, როგორ მოასწრებს გუნდთან შეთამაშებას. გრუევი თსუ-სთან ხვალაც (დღეს) ითამაშებს, თუმცა იმედი გვაქვს, რომ პლეიოფებამდე გუნდს სათანადოდ შეეწყობა.

ალექსანდრ გრუევი 1983 წელსაა დაბადებული და 187 სმ სიმაღლისაა. სხვადასხვა დროს გამოდიოდა „რილსკიში", „ლევსკიში" (ორივე ბულგარეთი), „აჰვაზსა" (ირანი) და „ზლატოროგში" (სლოვენია).

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ლეგიონერი

# გორგანიც გაანგორა

დასავლეთ აზიის საკლუბო ჩემპიონატის შემდეგ, **ნიკა ცქიტიშვილის** „მაჰრამი" მთლიანად ირანის პირველობაზე გადაერთო. მეოთხედფინალში მისი მეტოქე „გორგანი" იყო, რომელიც ანგარიშით 2:0 დაამარცხა და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა.

პირველი მატჩი მაჰრამელებმა 94:73 მოიგეს. ცქიტიშვილმა 10 წუთი ითამაშა, 11 ქულა, 2 დაფარება და 5 მოხსნა მოაგროვა. მის ანგარიშზე 4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმოა. მწვრთნელმა იგი ზედმეტად იმიტომ არ დატვირთა, რომ მეორე დღეს დასავლეთ აზიის თასზე გადამწყვეტი მატჩი ელოდა (ლიბანის „ალ რიადთან").

„გორგანთან" განმეორებით მატჩში „მაჰრამმა" კვლავ დიდი სხვაობით მოიგო - **109:53.** მწვრთნელმა ნიკა განაცხადში კი შეიყვანა, მაგრამ იმდენად იოლად მოიგო, რომ თამაშში ქართველის ჩართვა არ დასჭირვებია.

ნახევარფინალში „მაჰრამი" თეირანის „აზადს" დაუპირისპირდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მონპელიე გორგოძის, კლერმონი მოტივაციის გარეშე

უკანა პლანზე ანტონ ფეიქრიშვილი



საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშება დასასრულს უახლოვდება. სამი ტურიც და ცნობილი გახდება იმ ექვსი გუნდის ვინაობა, რომლებიც პლეი ოფში ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობენ. სავარაუდოდ 24-ე ტურში გაირკვევა მინიმუმ ერთი ხელმოცარულის ვინაობა, რომელსაც I დივიზიონის დატოვება მოუწევს.

გათამაშების ლიდერობა რეგულარული ტურნირის დასრულებამდე სამი ტურით ადრე დავით ზირაქაშვილის „კლერმონმა" იგდო ხელთ. „ვულკანები" მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად ასპარეზობენ და აგერ უკვე ორი წელიწადია საკუთარ მოედანზე ერთხელაც არ წაუგიათ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშების მიმდინარეობისას, წამყვანი ფრანგული გუნდების ლიდერები თავიანთი ქვეყნების ნაკრებში ასპარეზობდნენ. სწორედ იმ პერიოდში, „კლერმონი" სხვებისგან განსხვავებით წარმატებულად თამაშობდა, არადა ამ გუნდსაც ძალიან ბევრი წამყვანი მორაგბე აკლდა.

კლერმონელები 24-ე ტურში შინ ეთამაშებიან მეოთხეადგილოსან მამუკა გორგოძის, გიორგი ჭილაძის, მიხეილ ნარიაშვილისა და გოდერძი შველიძის „მონპელიეს". მასპინძლებმა პლეი ოფის ნახევარფინალში თამაშის უფლება უკვე გაინაღდეს და ამ შეხვედრას, ერთი კვირის მერე, „ჰაინეკენის თასის" გათამაშების ნახევარფინალში ირლანდიურ „ლენსტერთან" თამაშისთვის მოსამზადებლად გამოიყენებენ.

„ყურადღებით ვნახე „მონპელიეს" მატჩების ვიდეოჩანაწერები და დავრწმუნდი, რომ მათი თამაშის სტილი ძალიან ჰგავს „ლესტერისას". ამიტომ კარგი შანსი გვეძლევა „ჰაინეკენის თასის" ნახევარფინალისთვის მოსამზადებლად გამოვიყენოთ" - თქვა „კლერმონის" ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა ვერნ კოტერმა.

„მონპელიეს", კლერმონელთაგან განსხვავებით, პლეი ოფის საგზური ჯერ მოპოვებული არ აქვს. ფაბიენ გალტიეს სამწყსომ ბოლო ათი მატჩიდან რვა მოიგო, რაც უდავოდ შესანიშნავი შედეგია. გამორიცხული არ არის, მონპელიელებმა შარშანდელივით ფინალშიც ითამაშონ.

„კლერმონთან" მატჩში სტუმრებს დააკლდებათ ტრავმირებული ლიდერები, მესამეხაზელი მამუკა გორგოძე და მგეზავი ფრანსუა ტრინ-დუკი. გიორგი ჭილაძე და დავით ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იქნებიან, კლერმონში გუნდთან ერთად გაემგზავრა მიხეილ ნარიაშვილიც, თუმცა ის განაცხადში ვერ მოხვდა, ისევე არ ითამაშებს გოდერძი შველიძე.

პირველ წრეში „მონპელიემ" 29:23 მოიგო. პლანეტრუგბი-ს პროგნოზით, ამჯერად „კლერმონი" მინიმუმ რვა ქულით მოიგებს.

სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი, ჯაბა ბრეგვაძისა და აქვსენტი გიორგაძის „ტულუზი", რომელიც შინ ეთამაშება დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა და ირაკლი ნატრიაშვილის „ბრივს".

ტულუზელებმა ბოლო ოთხი შეხვედრიდან სამი წააგეს და ლიდერობაც ამიტომ დაკარგეს. აშკარად ეტყობა, რომ გუნდს კრიზისმა დარია ხელი. თუმცა „ბრივთან" მატჩში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაემატება, რომლებმაც ახლახან მოირჩინეს ტრავმები. ესენია: ლუი პიკამოლი, ვენსან კლერი და ლუკ მაკალისტერი. ტრავმირებულნი არიან და ვერ ითამაშებენ ჯაბა ბრეგვაძე და აქვსენტი გიორგაძე.

„ბრივი" სახიფათო ზონაშია. მას საკმაოდ რთული კალენდარი აქვს და წარუმატებლობის შემთხვევაში დივიზიონის დატოვება მოუწევს. ჩვენებურთა ამ გუნდმა წლევანდელ სეზონში მხოლოდ ორი მატჩი მოიგო და მიუხედავად იმისა, რომ „ტულუზს" ნახევარფინალში თამაში განაღდებული აქვს, ძნელი სავარაუდოა, მასპინძლების დამარცხება შეძლოს.

პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა ფრედ 9:9 დასრულდა. planetrugby-ს მიაჩნია, რომ „ტულუზი" მინიმუმ 12 ქულით მოიგებს.

დავით ქუბრიაშვილის „ტულონი", რომელიც 63 ქულით მესამე ადგილზეა, შინ მიიღებს მეხუთეადგილოსან ანტონ ფეიქრიშვილის „კასტრს". ამ გუნდებს ერთმანეთთან მხოლოდ ოთხი ქულა აშორებთ. ამიტომ მათ შორის დაპირისპირების მნიშვნელობაზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. გამარჯვებული, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პლეი ოფშია.

„ტულონი", რომელიც ისედაც ვარსკვლავებითაა მოჭედილი, მეტოქეს ჯონი ვილკინსონით, მატიო ბასტაროთი და ფაბიენ სიბარით გაძლიერებული დახვდება. მათ ტრავმები მოიშუშეს და მზად არიან ჩემპიონობისთვის იბრძოლონ.

პირველ წრეში ამ გუნდებს შორის დაპირისპირება ფრედ 22:22 დამთავრდა. ამჯერად, planetrugby-ს პროგნოზით, „ტულონი" მინიმუმ შვიდი ქულით მოიგებს.

პლეი ოფში მოხვედრის თეორიულ შანსს ინარჩუნებს ბექა შეყლაშვილის „აჟენი", რომელიც 24-ე ტურში სტუმრად ეთამაშება დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლ „ბორდოს". მიუხედავად ამისა, თუ აჟენელები მოწინავე ექვსეულში მოხვდნენ, ეს მხოლოდ სასწაულს შეიძლება მივაწეროთ.

შეყლაშვილი სათადარიგოთა შორის იქნება. პირველ წრეში „აჟენმა" შინ 24:15 მოიგო. planetrugby-ს მიაჩნია, რომ ახლა მასპინძლები მინიმუმ ექვსი ქულით მოიგებენ.

დივიზიონიდან გავარდნის პირასაა გურამ კავთიძისა და ტარიელ რატიანიძის „ლიონი", რომელიც 30 ქულით ბოლო ადგილზეა. ჩვენებურთა გუნდი ბასკურ „ბაიონს" უმასპინძლებს, რომელსაც რვა ქულით ჩამორჩება და ბოლოსწინა ადგილზეა.

პირველ წრეში „ბაიონმა" 15:9 მოიგო, planetrugby-ს პროგნოზით, მინიმუმ ხუთი ქულით, ამჯერადაც ბასკები მოიგებენ.

**I დივიზიონი**

**XXIV ტური**

**კლერმონი-მონპელიე, ბორდო-აჟენი, ლიონი-ბაიონი, ტულუზი-ბრივი, სტად ფრანსე-პერპინიანი, ბიარიცი-მეტრო რასინგი, ტულონი-კასტრი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 78 ქულა, 2. ტულუზი - 78, 3. ტულონი - 63, 4. მონპელიე - 62, 5. კასტრი - 59, 6. მეტრო რასინგი - 59, 7. სტად ფრანსე - 53, 8. აჟენი - 48, 9. პერპინიანი - 44, 10. ბიარცი - 43, 11. ბრივი - 42, 12. ბორდო - 41, 13. ბაიონი - 38, 14. ლიონი - 30.



მარცხნიდან მეორე დავით ქუბრიაშვილი

ზე რაგბი



ბურთით დენ კარტერი

# კარტერი ისევ შუამარბია, მაქოა?

ზე რაგბის გათამაშების მე-9 ტური B ჯგუფის ბინადრების - დანიდნის „ჰაილენდერზისა" და ოქლენდის „ბლუზის" დაპირისპირებით დაიწყო. ჩვენთვის კარგად ცნობილ „ოტაგო სთედიუმზე" დანიდინელებმა, რომლებიც წლეულს შესანიშნავად ასპარეზობენ, მეექვსე გამარჯვება მოიპოვეს - 30:27.

მიუხედავად იმისა, რომ „ბლუზი" აუტსაიდერია, მეტოქეს საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. პირველი ტაიმი მათ მხოლოდ ორი ქულით 14:16 დათმეს. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კი 27:25 იგებდნენ. „ჰაილენდერზმა" მოედნის ცენტრში საკმაოდ სწრაფი კომბინაცია გაათამაშა, მგეზავმა მაიკ დელანიმ ბურთი მეტოქის ლელოსკენ გადაკიდა. იქ ორი ოქლენდელი ერთმანეთს შეეჯახა, ამით კი შეცვლაზე შესულმა შუამარბმა კურტ ბეიკერმა შესანიშნავად ისარგებლა და გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა.

დანიდინელთა შორის ყველაზე შედეგიანი სწორედ დელანი იყო, რომელმაც ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა მიითვალა (20 ქულა). სტუმართაგან კი საუკეთესო მგეზავი გარეთ ანსკომბი გახლდათ, მის ანგარიშზე 17 ქულაა (ხუთი საჯარიმო და ერთი გარდასახვა.

ამავე ჯგუფში არანაკლებ საინტერესო დაპირისპირებაა მოსალოდნელი ველინგთონში, სადაც ადგილობრივი „ჰარიკენზი" ზე რაგბის ყველაზე ტიტულიან გუნდს, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს" უმასპინძლებს. „ჯვაროსნებმა" წლეულს ასპარეზობა ცუდად დაიწყეს და „სიჩქარეს ახლაღა უმატებენ". გასულ ტურში მათ დაუმარცხებელი კეიპთაუნის „სტორმერზის" ძლევა შეძლეს. აი, „ჰარიკენზთან" გასვლით მატჩში მათ კვლავ ვერ დაეხმარება გუნდის ლიდერი და კაპიტანი რიჩი მაქოა. მგეზავი დენ კარტერი კი ისევ შუამარბის პოზიციაზე ითამაშებს.

**B ჯგუფი**

**ჰაილენდერზი-ბლუზი 30:27.**

**ჰარიკენზი-კრუსეიდერზი**

1. ჩიფსი - 31 ქულა, 2. ჰაილენდრზი - 30, 3. ჰარიკენზი - 25, 4. კრუსეიდერზი - 23, 5. ბლუზი - 12.

ერთი შეხვედრა გაიმართა A ჯგუფშიც, სადაც ზე რაგბის შარშანდელი ტრიუმფატორი ბრისბენის „რედსი" შინ დამარცხდა წლევანდელი შეჯიბრების უმთავრეს ფავორიტთან, კეიპთაუნის „სტორმერზთან" - 13:23. კეიპთაუნელებმა მასპინძლები თამაშის ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და 53-ე წუთისთვის დამაჯერებლად, 20:3 უგებდნენ.

აღსანიშნავია, რომ გუნდის მიერ მოპოვებული ოცდასამი ქულიდან თვრამეტი მგეზავ პიტერ გრანტის ანგარიშზეა (ერთი ლელო, სამი საჯარიმო და ორი გარდასახვა).

ამავე ჯგუფის მეორეადგილოსანი სიდნეის „ვორათაზი" შინ მიიღებს „მელბურნ რებლზს", რომელიც შარშანდელთან შედარებით უკეთ ასპარეზობს. ცხადია, ეს ახალწვეულების დამსახურებაა, განსაკუთრებით კი მელბურნელთა ქომაგები ჯეიმზ ოკონორს ემადლიერებიან. რაც შეეხება ინგლისელ მგეზავ დენი სიპრიანის, ის ავსტრალიურ კლუბში ბოლო სეზონს ატარებს და მომავალი წლიდან ინგლისში ბრუნდება.

**A ჯგუფი**

**რედსი-სტორმერზი 13:23.**

**ვორათაზი-მელბურნ რებლზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბრამბიზი - 24 ქულა, 2. ვორათაზი - 21, 3. რედსი - 21, 4. მელბურნ რებლზი - 14, 5. ფორსი - 13.

მე-9 ტურში ყველაზე საინტერესო C ჯგუფის ლიდერის, პრეტორიის „ბლუ ბულზისა" და A ჯგუფის პირველადგილოსანის კანბერას „ბრამბიზის" დაპირისპირება იქნება. „ლურჯმა ხარებმა" აქამდე შვიდი შეხვედრიდან ხუთი მოიგეს და ხუთივეში პრემიალური ქულები აიღეს. პრეტორიელების გუნდი ზე რაგბიში ყველაზე თანაბრად, კარგად დაკომპლექტებულია. ამიტომაც, გამორჩეულად შედეგიანია.

არანაკლებ საინტერესოა დურბანის „ნატალ შარქსის" საშინაო მატჩი B ჯგუფის ლიდერთან, ჰემილთონის „ჩიფსთან". დურბანელები წლეულს, შარშანდელთან შედარებით ბევრად უარესად გამოიყურებიან და გამორიცხული არ არის პლეი ოფში ვერ გაღწიონ, მით უფრო, რომ C ჯგუფს სათავეში „ბლუ ბულზი" და „სტორმერზი" უდგანან.

**C ჯგუფი**

**ნატალ შარქსი-ჩიფსი, ბლუ ბულზი-ბრამბიზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბლუ ბულზი - 29 ქულა, 2. სტორმერზი - 29, 3. ნატალ შარქსი - 22, 4. ჩიტაზი - 17, 5. ლაიონზი - 10.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი


რეი ალენი

# რეი და ბოსტონი იყრებიან

ამერიკული საკალათბურთო პრესა იტყობინება, რომ „ბოსტონ სელტიქსსა“ და 36 წლის მცველ **რეი ალენს** შორის კონტრაქტის გახანგრძლივების ალბათობა თითქმის ნულის ტოლია. ვეტერანი, რომელიც ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება, ბოლო პერიოდში ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას მის მიმართ კლუბის დამოკიდებულების გამო, ამიტომაც უარს არ იტყოდა გუნდის შეცვლაზე.

როგორც რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს, რეი ფაქტობრივად „მემფისში“ იყო გაცვლილი. გარდა ამისა, ტრავმის გამო მცველმა დაკარგა სასტარტო ხუთეულში ადგილი, რომელიც **ეივერი ბრედლიმ** დაიკავა.

წელს, რეგულარული ჩემპიონატის 46 მატჩში ალენმა საშუალოდ 14.2 ქულა, 3.1 მოხსნა და 2.4 შედეგიანი პასი დააგროვა.

„ბოსტონის“ შემადგენლობაში სხვა ცვლილებებიც არის მოსალოდნელი. ასე მაგალითად, კლუბის ხელმძღვანელობა უახლოეს ხანში დაითხოვს ტრავმირებულ და გამოუსადეგარ ცენტრ **ჯერმეინ ო'ნილს** და კონტრაქტს გააფორმებს მძიმე ფორვარდ **შონ უილიამსთან.**

მიმდინარე სეზონში უილიამსმა რვა შეხვედრა ჩაატარა „დალასის“ შემადგენლობაში და საშუალოდ 3.6 ქულა და 1.6 მოხსნა მიითვალა. ო'ნილის სტატისტიკა 5.0 ქულასა და 5.4 მოხსნას უდრის.

# ნაკლული ტრიოს ტრიუმფი

„ჩიკაგოსთან“ ბოლო ორი შეხვედრა „მაიამისთვის“ მარცხით დასრულდა, მაგრამ ამჯერად ფლორიდელებს სერიოზულად ჰქონდათ განზრახული ამ წარუმატებელი სერიის შეწყვეტა, ოღონდ ეს ტრავმირებული **კრის ბოშის** გარეშე უნდა გაეკეთებინა. „ჩიკაგოს“ უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა აკლდა - მკურნალობას აგრძელებს **დერიკ როუზი.**

წაგების შემთხვევაში, „მაიამი“ კარგავდა აღმოსავლეთში პირველობის შანსს. **ერიკ სპოელსტრას** შეგირდებს ეს შესანიშნავად ესმოდათ, ამიტომაც დიდი ბრძოლა გაუმართეს მეტოქეს. იყო ბევრი ტექნიკური ჯარიმა, „ჰიტის“ მცველი **ჯეიმს ჯონსი** კი **ჟოაკიმ ნოას** წინააღმდეგ უხეშობისთვის მოედნიდან გააძევეს.

სტუმრებს ვერ უშველა გამოჯანმრთელებული **ლუოლ დენგის** დაბრუნებამ, „ჩიკაგოს“ მთავარ მწვრთნელს **ტომ ტიბოდოს** კი, ალბათ, დიდი თავსატეხი გაუჩინა იმან, რომ „მაიამიმ“ “ხარების” მთავარი იარაღის - დაცვის წყალობით შეძლო გამარჯვება. დარჩენილი თამაშების კალენდარი ვერ იძლევა დარწმუნებით იმის თქმის საშუალებას, ამ ორიდან რომელი გუნდი გაინაღდებს აღმოსავლეთში ჩემპიონის ტიტულს, ასე რომ, ფლორიდელებმა მართლაც უმნიშვნელოვანეს მატჩში გაიმარჯვეს.

„მაიამიმ“ მოიგო ფარი, კარგად დაკეტა „ბულზის“ მცველების წყვილი (**უოტსონი-ჰემილტონი**) და მეტოქეს საშინელი პროცენტით ასროლინა (თამაშიდან - 35.7%, სამქულიანები - 12.5).

■ ■ ■

„კლიპერსი“ ფავორიტის რანგში ჩავიდა ფინიქსში: კალიფორნიელებმა ბოლო 15 მატჩში მხოლოდ ორჯერ წააგეს, ბოლო ხუთი კი თავის სასარგებლოდ დაასრულეს. **ვინი დელ ნეგროს** შეგირდები ბოლო დროს მართლაც კარგად გამოიყურებიან, **კრის პოლმა** კი ფანტასტიკური ფორმა აკრიფა. თავის მხრივ, „სანზმა“ იცის როგორ მოუგოს „კლიპერსს“ - თავის მოედანზე ზედიზედ ცხრაჯერ ჰყავდა დამარცხებული ლოს ანჯელესის მეორე გუნდი, თანაც „ფინიქსს“ მოგება ძალიან სჭირდებოდა, რადგან ჯერ დაკარგული არ არის პლეი ოფში გასვლის შანსი. საბოლოოდ, მატჩი ძალიან დაძაბული გამოვიდა და 48 წუთის განმავლობაში ლიდერი 24-ჯერ შეიცვალა.

ბრწყინვალე ვეტერანმა **სტივ ნეშმა** ბოლო ხუთ წუთში ორჯერ გაათანაბრა ანგარიში, სირენამდე 25 წამით ადრე კი ორი საჯარიმო გამოიყენა და 91:90 დააწინაურა თავისი გუნდი. სტუმრებს ერთი შეტევისთვის რჩებოდათ დრო და მათ ორჯერ მოასწრეს სროლა: თავიდან პოლის ტყორცნა დაბლოკა **ტელფეირმა,** შემდეგ კი **მო უილიამსის** ნაჩქარევი სამქულიანი ასცდა მიზანს. ამას მოჰყვა **ჩენინგ ფრაის** ორი ზუსტი სამქულიანი და კალიფორნიელებს ორი წამი დარჩათ თამაშის გადასარჩენად. **ბლეიკ გრიფინის** შორეული ცდა ყველაზე არასასურველი ვარიანტი იყო გადამწყვეტი ტყორცნისთვის.

■ ■ ■

სამი სრული სეზონი დასჭირდა „მინესოტას“ იმისთვის, რომ აპრილში მოეგო რეგულარული ჩემპიონატის მატჩი. ზედიზედ 27 წაგება გაზაფხულის მეორე თვეში - ეს უნიკალური სერია ისტორიას ჩაბარდა. ტრავმებით გაწამებულმა „მგლებმა“ დიდი ხანია დაკარგეს პლეი ოფში მოხვედრის შანსი, დეტროიტში კი 11-მატჩიანი წაგებათა სერიით ჩავიდნენ.

თუმცა „მინესოტას“ კალათბურთელებს „პისტონზთან“ მატჩში თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ: **ხოსე ბარეას** ოთხი მოხსნა დააკლდა სამმაგ დუბლამდე, **ნიკო პეკოვიჩმა** 17-დან 10 ტყორცნა მოათავსა კალათში და 9 მოხსნაც დააგროვა, **ენტონი რენდოლფმა** კი ამ კვირაში მეორე ორმაგი დუბლი შეასრულა. სირენამდე 7.45 წუთით ადრე მასპინძლები 23 ქულას აგებდნენ და განწირულები იყვნენ. „დეტროიტის“ 19:3 გაქცევა უკვე დაგვიანებული იყო.

■ ■ ■

„ინდიანამ“ პრაქტიკულად დაიბევა პლეი ოფის პირველ რაუნდში საკუთარი მოედნის უპირატესობა და თან ფაქტობრივად ნაადრევ შვებულებაში გაუშვა „მილუოკი“. „პეისერსის“ სასტარტო ხუთეულის წევრებმა ფანტასტიკური თამაში აჩვენეს - თითოეულმა მათგანმა 10-ქულიანი ზღვარი გადალახა, ერთად კი სარგებლიანობის შესანიშნავი კოეფიციენტი დააფიქსირეს: „+91“. შედარებისთვის, „ბაქსის“ ძირითადი შემადგენლობის ანალოგიური მაჩვენებელი იყო - „-89“.

„მილუოკის“ მცველთა ვარსკვლავურმა წყვილმა – **ჯენინგსმა** და **ელისმა** სრული კრახი განიცადა: 37-დან 13 ზუსტი ტყორცნა, შვიდი შეცდომა და მხოლოდ ცხრა შედეგიანი პასი. მაგრამ ეს არ იყო მთლად უარესი ვარიანტი. მაგალითად, **სასტარტოს** კიდევ ერთ წევრს **კარლოს დელფინოს** გენიალური კოლექცია ჰქონდა: 0 ქულა, 0 მოხსნა, 0 პასი, 0 ჩაჭრა და 1 შეცდომა.

**ინდიანა-მილუოკი 118:109**

**34:29, 22:21, 33:28, 29:31**

**ი:** გრეინჯერი (29+5 მოხსნა), ჰილი (22+5 მოხსნა+8 პასი), უესტი (21+14 მოხსნა+7 პასი), ჯორჯი (14+5 პასი+3 ჩაჭრა), ჰიბერტი (12+5 მოხსნა), ბარბოზა (10).

**მ:** ჯენინგსი (27+5 მოხსნა), დანლივი (23+8 მოხსნა), მბა ა მუტე (16+11 მოხსნა), გუდენი (15+7 მოხსნა), ელისი (12+7 პასი).

**ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი 105:99 (ო)**

22:29, 21:22, 26:13, 18:23, 18:12

**ნ-ო:** გორდონი (27+5 პასი+3 ჩაჭრა), ლენდრი (20+10 მოხსნა), ამინუ (17+8 მოხსნა), ბელინელი (13), ეიონი (9+10 მოხსნა).

**ჰ:** დრაგიჩი (23+5 მოხსნა+8 პასი), ბადინგერი (22+6 მოხსნა), ლი (15), კემბი (14+7 მოხსნა), სკოლა (11+8 მოხსნა).

**ფინიქსი-კლიპერსი 93:90**

**27:29, 19:16, 23:26, 24:19**

**ფ:** დადლი (18), ფრაი (16+5 მოხსნა), გორტატი (14+14 მოხსნა), ნეში (13+6 პასი), ტელფეირი (13).

**კ:** პოლი (19+10 პასი), ბატლერი (17+5 მოხსნა), გრიფინი (16+11 მოხსნა), ფოიე (11).

**დეტროიტი-მინესოტა 80:91**

**16:24, 15:25, 17:19, 32:23**

**დ:** პრინსი (18+5 მოხსნა), ბინუმი (17), გორდონი (14), ვილანუევა (6+12 მოხსნა).

**მ:** პეკოვიჩი (23+9 მოხსნა), რენდოლფი (15+10 მოხსნა+3 დაფარება), ბარეა (13+6 მოხსნა+12 პასი), ბიზლი (13+7 მოხსნა), უილიამსი (11).

**მაიამი-ჩიკაგო 84:73**

**27:23, 15:17, 24:21, 18:12**

**მ:** ჯეიმსი (27+11 მოხსნა+6 პასი), უეიდი (18+5 პასი+3 ჩაჭრა), ჩელმერსი (16), ჰასლემი (6+10 მოხსნა).

**ჩ:** ლუკასი (16+6 მოხსნა), ნოა (15+10 მოხსნა), დენგი (11), ბუზერი (10+5 მოხსნა).

## ამბები

### ინდიანა დანაკლისით დაიწყებს

„ინდიანა პეისერსის“ მცველი **დარენ კოლისონი,** შესაძლოა, გამოაკლდეს თავის გუნდს პლეი ოფის პირველ მატჩებში. ამის მიზეზი საზარდულის ტრავმა გახდა. სავარაუდოდ, მას სასტარტო შემადგენლობაში **ჯორჯ ჰილი** შეცვლის.

წლევანდელ სეზონში ჩატარებულ 57 მატჩში დარენის სტატისტიკა 10.6 ქულას, 4.9 შედეგიან გადაცემასა და 3.2 მოხსნას უდრიდა.

### კომისარი კმაყოფილია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარს **დევიდ სტერნს** მიაჩნია, რომ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას უკვე მოაქვს დადებითი შედეგები. თუ ადრე კლუბების მფლობელები ყოველწლიურად რამდენიმე ასეულობით მილიონ დოლარს კარგავდნენ, ახლა, სტერნის აზრით, დანაკარგი მნიშვნელოვნად შემცირდება.

ვარაუდობენ, რომ 2012-13 წლების სეზონის შემდეგ, კლუბების უმრავლესობა თავიანთ მფლობელებს მოგებას მოუტანს.

### ფიშერი პროფკავშირს არ დატოვებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეთა პროფკავშირის პრეზიდენტი **დერეკ ფიშერი** არ აპირებს თავისი პოსტის დატოვებას. როგორც იტყობინებიან, ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ბილი ჰანტერმა** განაცხადა, რომ “ოკლაჰომას” მცველი უნდა გადადგეს თანამდებობიდან. ფიშერმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა და თან დაამატა, რომ ლოკაუტის დროს NBA-ის წამყვანი მოთამაშეები ჰანტერის გადადგომას ითხოვდნენ.

შეგახსენებთ, რომ პროფკავშირის ორ ბოსს შორის ურთიერთობა ნოემბრის ბოლოს დაიძაბა, რადგან განსხვავებული აზრი ჰქონდათ NBA-ის ახალი კოლექტიური ხელშეკრულების რამდენიმე პუნქტის გარშემო.

### ათი საუკეთესო

ევროლიგის ოფიციალურ ვებგვერზე გამოქვეყნდა ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების გამოკითხვის შედეგები. მათ გამოავლინეს ტურნირის ათი საუკეთესო კალათბურთელი, რომელთაგანაც მოგვიანებით შეადგენენ პირველ და მეორე სიმბოლურ ნაკრებებს. მათ შემადგენლობას 12 მაისს, სტამბოლში “ოთხთა ფინალის” დროს გამოაცხადებენ.

ათ საუკეთესოს შორის ყველაზე დიდი წარმომადგენლობა მოსკოვის ცსკა-ს ჰყავს – სამი კალათბურთელი.

ათეულში მოხვდნენ: **მაიკ ბატისტი, დიმიტრის დიამანტიდისი** (ორივე - “პანათინაიკოსი”), **ანდრეი კირიოლენკო, ნენად კრსტიჩი, მილოშ ტეოდოშიჩი** (ყველა – ცსკა), **ერაზემ ლორბეკი, ხუან კარლო ნავარო** (ორივე – “ბარსელონა”), **ვასილის სპანულისი** (“ოლიმპიაკოსი”), **ბო მაკალები** (“მონტეპასკი”), **ჰენრი დომერკანტი** (“უნიქს”).

# არც პლეი ოფი, არც ოლიმპიადა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო ცენტრმა, „ორლანდო მეჯიქის“ ლიდერმა **დუაიტ ჰოვარდმა** სეზონის დარჩენილი ნაწილისა და ოლიმპიური თამაშების გამოტოვება გადაწყვიტა. „სუპერმენმა“ უახლოესი პერიოდისთვის გადმოიტანა ზურგზე ოპერაცია, რასაც ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსი მოჰყვება.

*„ვცდილობდი ტკივილგამაყუჩებლებით მეთამაშა, მაგრამ ამით კიდევ უფრო გავართულე ზურგის ტრავმა. ოპერაციის დასრულების შემდეგ დავიწყებ აღდგენით კურსს და უკვე ოთხი თვის თავზე სრულფასოვან ვარჯიშებს შევუდგები“*, - ამბობს ჰოვარდი სააგენტო AP-სთან კომენტარში.

მიმდინარე სეზონში დუაიტმა 54 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 20.6 ქულა, 14.5 მოხსნა და 1.9 შედეგიანი პასი დააგროვა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „სუპერმენს“ ზურგზე ოპერაციაც რომ არ დასჭირვებოდა, შესაძლოა, მაინც გამოეტოვებინა რეგულარულის დარჩენილი ნაწილი და პლეი ოფის ეტაპი. ამერიკული პრესის ცნობით, ჰოვარდი დაუკავშირდა „ორლანდოს“ მფლობელ **რიკ დევოსს** და განუცხადა მას, რომ არ აპირებს მოედანზე გასვლას იქამდე, სანამ „მეჯიქს“ სათავეში **სტენ ვან განდი** უდგას.

თუმცა დუაიტის ერთ-ერთი წარმომადგენელი მოგვიანებით გამოვიდა პრესის წინაშე და განაცხადა, რომ ეს ისტორია 100 პროცენტით ჟურნალისტების მიერ არის მოგონილი. კიდევ რამდენიმე წყარომ დაწერა იმის შესახებ, რომ ჰოვარდს არ წამოუჭრია რიკ დევოსთან ვან განდის თემა.


დუაიტ ჰოვარდი

ჰოვარდის ტრავმის შემდეგ აქტუალური გახდა ოლიმპიურ ნაკრებში მისი შემცვლელის საკითხი. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ “სუპერმენის” ნაცვლად ლონდონში “მაიამის” ფორვარდი **კრის ბოში** გაემგზავრება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL სტენლის თასი

სან ხოსე-სტ. ლუისი




# ბროდო აბსოლუტური რეკორდსმენია

გუშინ, სტენლის თასზე ოთხ წყვილში გაიმართა სერიის მეოთხე მატჩები.

"ნიუ ჯერსიმ" შეძლო "ფლორიდასთან" სერიაში ანგარიშის გათანაბრება, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი მასპინძლების ლეგენდარულ მეკარეს **მარტინ ბროდოს** მიუძღვის. 39 წლის გოლკიპერმა 26 სეივი შეასრულა და პლეი ოფში 24-ე შატაუტი შეასრულა. ამ მაჩვენებლით მან **პატრიკ რუას** გაასწრო და აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა.

ბროდო მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა და მეორე გოლის დროს ამ სერიაში მეორე შედეგიანი პასი შეასრულა. ეს მის კარიერაში მეათე შედეგიანი გადაცემაა და ოთხით ჩამორჩება ყველა დროის ლიდერ **გრანტ ფიურს**.

სერიაში კი ანგარიში გათანაბრდა და შემდეგი შეხვედრა "ფლორიდას" მოედანზე გაიმართება.

■ ■ ■

როგორც ჩანს, ორი ძირითადი მეკარის - **ტომაშ ვოკოუნისა** და **მიხალ ნოივირტის** ტრავმები მხოლოდ დადებითად მოქმედებს „ვაშინგტონზე". პლეი ოფის დებიუტანტმა **ბრეიდენ ჰოლტბიმ** 45 დარტყმიდან 44 მოიგერია, „ბოსტონის" კარის დარაჯს **ტიმ ტომასს** კი 21-ჯერ დაურტყეს და თავის 16 წლით უმცროს კოლეგაზე ერთით მეტი შაიბა გაუშვა.

ახლა სერია ბოსტონში გადაინაცვლებს – ანგარიში 2:2-ია და სტენლის თასის მფლობელს ჯერჯერობით აქვს საკუთარი მოედნის უპირატესობა.

■ ■ ■

ზედიზედ მეოთხე მატჩი დასრულდა ფრედ ძირითად დროში. მხედველობაში გვაქვს „ჩიკაგოსა" და „ფინიქსის" დაპირისპირება, სადაც კვლავ არ აღმოჩნდა საკმარისი 60 წუთი გამარჯვებულის გამოსავლენად.

მიუხედავად იმისა, რომ "ფინიქსმა" 13-ით ნაკლები დარტყმა შეასრულა, სტუმრებმა 2:0 დაწინაურება მოახერხეს – 44-წამიანი ინტერვალით **კროუფორდის** კარში ორი შაიბა გავიდა, მაგრამ ისევ გათანაბრდა ანგარიში და დამატებითი დრო დაინიშნა.

ოვერტაიმი ორ წუთზე ოდნავ მეტხანს გაგრძელდა და „ფინიქსის" დანიელმა ფორვარდმა **მიკელ ბოდკერმა** ზედიზედ მეორე მატჩში გამარჯვების შაიბა გაიტანა. „კოიოტებმა" ზედიზედ მეორე გასვლითი შეხვედრა მოიგეს და 3:1-ით ბრუნდებიან შინ.

■ ■ ■

სამიდან ორი მატჩის წაგების შემდეგ, „სან ხოსეს" სამწვრთნელო შტაბმა წამყვანი შეტევითი სამეულების შეცვლა გადაწყვიტა. გუშინ, **ტორნტონი კუტურთან** და **პაველსკისთან** თამაშობდა, **მარლომ** კი **ქლოუსთან** და **ჰავლატთან** გადაინაცვლა. მაგრამ ამან „ზვიგენებს" დიდად ვერ უშველა, რადგან „სენტ ლუისი" პირველ პერიოდში უფრო შინაარსიანად მოქმედებდა და სწრაფად აილო **ნიემის** კარი. **პერონმა** და **ბერგლუნდმა** კარგ პოზიციაზე გაიყვანეს **კრომბინი** და 26 წლის ფორვარდმა მომენტი არ გააფუჭა.

თუმცა ერთხელ სტუმრები სერიოზულად გაერთნენ შეტევით და გამოეპარათ კუტურის ერთი ერთზე გასვლა, მაგრამ **ბრაიან ელიოტმა** უპრობლემოდ შეაჩერა მეტოქე. „ბლუზმენების" მეკარემ რიცხობრივი უმცირესობის დროსაც შესანიშნავად ითამაშა. პერიოდის ბოლო ნაწილი სტუმრებს დარჩათ, მაგრამ მათ ოდნავ არ გაუმართლათ.

მეორე პერიოდმა, ძირითადად, არათანაბარ შემადგენლობებში ჩაიარა. „ზვიგენები" უფრო სახიფათოდ უტევდნენ, მაგრამ ბრწყინვალედ თამაშობდა ელიოტი - მან ერთხელ კუტურის ორი მეტრიდან დარტყმული მოიგერია. ერთი მომენტი „სენტ ლუისსაც" ჰქონდა, როცა **არნოტმა** ძელს გაარტყა შაიბა.

მესამე პერიოდის სტარტზე „ზვიგენების" შტურმის მიუხედავად, „ბლუზმა" ძალიან იოლად მოიგერია საფრთხე - ელიოტსაც კი არ დასჭირვებია თამაშში სერიოზულად ჩართვა. „ბლუზმენები" საკუთარ შანსს ელოდნენ და მიიღეს ის რიცხობრივ უპირატესობაში, რომელიც ბერგლუნდისა და პერონის კომბინაციის შემდეგ **ენდი მაკდონალდმა** გამოიყენა. პლეი ოფში **ჰიჩკოკის** გუნდი მეორე ადგილს იკავებს „ფილადელფიას" შემდეგ ზედმეტი ჰოკეისტის რეალიზაციის მიხედვით.

ასეთი სერიოზული უპირატესობის მოპოვების შემდეგ, სტუმრებმა მისი ლოგიკურად შენარჩუნება მოახერხეს. სერიაში „შარქსის" საუკეთესო მოთამაშემ ჯო ტორნტონმა ერთი შაიბა მაინც გაქვითა, მაგრამ, ისევე როგორც წინა შეხვედრაში, მასპინძლებს ამჯერადაც დრო არ ეყოთ თამაშის გადასარჩენად.

**ნიუ ჯერსი-ფლორიდა 4:0**

**0:0, 1:0, 3:0**

**გოლები:** 1:0 პარიზე-2 (ზაიაცი-2, ჟიდლიცკი-2), 2:0 ბერნიე-1 (ჯონტა-1, ბროდო-2), 3:0 ზაიაცი-2 (კლარკსონი-3, სალვადორი-2), 4:0 კოვალჩუკი-2 (ჰაროლდი-1, სალვადორი-3).

**სერია:** 2-2

**ვაშინგტონი-ბოსტონი 2:1**

**1:1, 1:0, 0:0**

**გოლები:** 1:0 მ. იოჰანსონი-1 (ლეიჩი-3), 1:1 პევერლი-2 (გ. კემპბელი-2), 2:1 სიომინი-2 (კ. ოკუანი-1, ოვეჩკინი-3).

**სერია:** 2-2

**ჩიკაგო-ფინიქსი 2:3 (ო)**

**0:0, 0:0, 2:2, 0:1**

**გოლები:** 0:1 დოუნი-1 (რეი უიტნი-1), 0:2 პიატი-2 (ვერმეტი-1, ვრბატა-1), 1:2 ბ. მორისონი-1 (ტეუვზი-2, ჰიალმარსონი-1), 2:2 ფროლიკი-2 (ბოლანდი-3, ოდუია-3), 2:3 ბოდკერი-2 (გორდონი-2, იენდლი-4).

**სერია:** 1-3

**სან ხოსე-სტ. ლუისი 1:2**

**0:1, 0:0, 1:1**

**გოლები:** 0:1 კრომბინი-1 (ბერგლუნდი-2, პერონი-1), 0:2 ენდი მაკდონალდი-3 (ბერგლუნდი-3, პერონი-2), 1:2 ჯ. ტორნტონი-1 (კუტური-3, ბერნსი-1).

**სერია:** 1-3

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| საუთენდი-ბარნეტი | 3:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| მენსფილდი-რექსჰემი | 2:0 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| პადოვა-პესკარა | 0:6 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვილიარეალი B-ვალიადოლიდი | 0:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| მაინცი-ვოლფსბურგი | 0:0 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-დუისბურგი | 0:0 |
| კოტბუსი-ბოხუმი | 1:1 |
| ფრანქფურტი-ფიურტი | 1:1 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ოსნაბრიუკი-შტუტგარტი A | 0:1 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| მეპენი-ჰერტა II | 1:0 |
| ვილჰელმშაფენი-ლუბეკი | 1:3 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| კასელი-ნიურნბერგი II | 0:0 |
| ინგოლშტადტი II-მემინგენი | 0:0 |
| პფიულენდორფი-შტ. კიკერსი | 0:2 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| კიოლნი II-მაინცი II | 1:0 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ამიენი-ისტრი | 1:2 |
| ანჟერსი-ლე მანი | 1:1 |
| არლი-სედანი | 0:0 |
| ბულონი-კლერმონი | 1:1 |
| გინგამი-ტური | 0:0 |
| ლავალი-ნანტი | 2:0 |
| ლანსი-მეცი | 0:2 |
| მონაკო-ჰავრი | 1:0 |
| რეიმსი-ტრუა | 1:0 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| შერბური-კევილი | 1:2 |
| ფრეჟუსი-კრეტეი | 0:4 |
| ნიმი-გფკო აიაჩო | 0:0 |
| ვანი-ლე პუარი | 1:0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ბრედა-როდა | 0:3 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დენ ბოში-ალმერი | 2:0 |
| დორდრეხტი-ოსი | 3:2 |
| ეინდჰოვენი-ფორტუნა | 4:3 |
| იგლზი-ემენი | 1:0 |
| მაასტრიხტი-კამბური | 2:0 |
| სპარტა-აპელდოორნი | 4:1 |
| ტელსტარი-ვოლენდამი | 2:2 |
| ვეენდამი-ჰელმონდი | 1:1 |
| ვილემი-ცვოლე | 3:1 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-აალსტი | 1:2 |
| ვიზე-სტანდარდი (ვ) | 1:1 |
| ეუპენი-ლომელი | 3:2 |
| დენდერი-შარლერუა | 0:1 |
| ოსტენდე-ჰაისტი | 4:0 |
| რუზელარე-ვოლუვე | 1:1 |
| ტინენი-ბრიუსელი | 1:0 |
| ტუბეკე-ბორინაჟი | 4:0 |
| ვაასლანდი-სტ. ნიკლაასი | 1:1 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ფერეირა-ბრაგა | 1:1 |

**დანია**

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ვეილე-ვიბორგი | 2:2 |
| აკადემისკი-ვესტსილანდი | 1:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სიოგნდალი | 0:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მიალბიუ-იურგორდენი | 4:3 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლიუნგსკილე-ჰალმსტადი | 0:0 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბლაუ ვაისი-სტ. ანდრა | 2:0 |
| ლუსტენაუ-სტ. პოლტენი | 2:2 |
| გრიოდიგი-ჰარტბერგი | 3:1 |
| ვენა-ავსტრია (ლ) | 3:1 |
| ალტახი-ლინცერი | 0:1 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კალითეა-ირაკლისი | 2:1 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-მონეგანი | 1:2 |
| ბრეი-შემროკი | 2:2 |
| კორკი-სლიგო | 0:1 |
| დერი-დანდალკი | 1:2 |
| დროგედა-შელბურნი | 3:1 |
| სტ. პატსი-უნივერსიტი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გალვეი-ეთლონი | 0:1 |
| უოტერფორდი-უექსფორდი | 4:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| დუკლა-ბანიკი | 4:1 |
| ლიბერეცი-ვიქტორია | 4:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| იულავა-ელინი | 3:3 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-ტრნავა | 1:0 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლ. ენერგია-გაზოვიკი | 0:0 |
| ენისეი-ჩერნომორეცი | 2:1 |
| გაზპრომი-ბალტიკა | 0:1 |
| ფაკელი-სკა ენერგია | 2:1 |
| ხიმკი-ტორპედო | 0:2 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ილიჩივეცი-ოლექსანდრია | 2:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| კრაკოვია-ვიძევი | 0:0 |
| პოლონია-რუხი | 0:1 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ინტერი | 2:1 |
| ლოკომოტივა-კარლოვაცი | 2:1 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ოლიმპია-ნაფტა | 1:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| ჰონვედი-შიოფოკი | 3:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ასტრა-ოცელული | 3:1 |
| სტიაუა-ვასლუი | 0:1 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| ნაფტანი-მინსკი | 1:3 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ი)-მაკაბი (ა-ნ) | 0:1 |
| ჰაპოელი (რ)-მაკაბი (ჰ) | 0:3 |
| ჰაპოელი (რ-გ)-ბნეი ლოდი | 1:1 |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| კერიკი-ლისბურნი | 2:1 |

### კალათბურთი

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| კავალა-კოლოსოსი | 67:73 |
| პანიონიოსი-რეთიმნო | 74:67 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| პარიზი-შოლე | 70:85 |

### ჰოკეი

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-მანჰაიმი | 1:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. მონაკო**

| | |
|---|---|
| მიურეი-ბერდიხი | 7:6, 2:6, 3:6 |
| ჯოკოვიჩი-ჰაასე | 6:4, 6:2 |
| ნადალი-ვავრინკა | 7:5, 6:4 |
| ცონგა-სიმონი | 5:7, 4:6 |

## TV პროგრამა

### 21 აპრილი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXII ტური. მაინცი-ვოლფსბურგი.
12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIII ტურის წინ.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტურის წინ.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXIV ტურის წინ.
14:30 იტალიის ჩემპიონატი. XXXIV ტურის წინ.
15:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტურის წინ.
15:45 ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტური. არსენალი-ჩელსი (LIVE).
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტური. ნიუკასლი-სტოკი (LIVE).
20:00 იტალიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. კიევო-უდინეზე (LIVE).
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ბარსელონა-რეალი (LIVE).
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXIV ტური. სევილია-ლევანტე (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:45 NBA Action.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-მაიამი.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი.
15:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. სარასენი-ბიარიცი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXXII ტური. ვერდერი-ბაიერნი (LIVE).
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
20:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXXII ტური. დორტმუნდი-ბორუსია (მ) (LIVE).
22:30 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
23:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-მაიამი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მონტე კარლო.
12:50 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ოკლაჰომა.
14:50 საჩოგბურთო მიმოხილვა.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მონტე კარლო (LIVE).
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIII ტური. მონპელიე-ვალანსი (LIVE).
23:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIII ტური. ბორდო-მარსელი (LIVE).

**I არხი**

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. არმია-ოლიმპი (LIVE).

### 22 აპრილი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ბარსელონა-რეალი.
12:00 სუპერკოლაჟი.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
14:30 იტალიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ფიორენტინა-ინტერი (LIVE).
16:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
17:00 იტალიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. მილანი-ბოლონია (LIVE).
19:00 სუპერკოლაჟი.
20:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ატლეტიკო-ესპანიოლი (LIVE).
22:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. იუვენტუსი-რომა (LIVE).
00:45 ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტური. არსენალი-ჩელსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIII ტური. ბორდო-მარსელი.
11:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-დალასი.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი.
15:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტური. მანჩესტერ იუნ-ევერტონი (LIVE).
17:30 NBA Action.
18:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
19:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIII ტური. პსჟ-სოშო (LIVE).
21:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-დალასი.
23:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ოკლაჰომა (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მონტე კარლო.
14:10 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ბოსტონი.
16:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. მონტე კარლო (LIVE).
19:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ორლანდო.
21:15 NBA Action.
21:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:15 სუპერკოლაჟი.
22:40 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:15 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIII ტური. ლიონი-ლორიანი (LIVE).

**I არხი**

17:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დილა-დინამო (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 9 | 23 | (მზე) |
| ქუთაისი | 12 | 26 | (მზე) |
| ბათუმი | 11 | 23 | (მზე) |
| ფოთი | 11 | 22 | (მზე) |
| ზუგდიდი | 12 | 24 | (მზე) |
| გორი | 7 | 20 | (მზე) |
| თელავი | 9 | 23 | (მზე) |
| ბაკურიანი | 0 | 20 | (მზე) |
| გუდაური | 3 | 10 | (მზე) |
| მესტია | 1 | 21 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1421 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6332 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6185 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5340 |

ჩოგბურთი



ჩეხეთის ნაკრები

# ცოცხალი მანეკენები

ფედერაციის თასის მოქმედი მფლობელის ჩეხეთის ნაკრების ჩოგბურთელები - **პეტრა კვიტოვა, ლუსი საფაროვა, ლუსი ჰრადეცკა** და **ანდრეა ჰლავაცკოვა** ქალაქ ოსტრავაში მოდურ ბუტიკს ესტუმრნენ, სადაც უცნაური როლი მოირგეს – გარკვეული დრო მალაზიის ვიტრინაში მანეკენებად გაატარეს.

ჩეხეთის ნაკრებს ამ უქმეებზე ფედერაციის თასის ნახევარფინალი ელის იტალიასთან. მატჩი სწორედ ოსტრავაში ჩატარდება. გუშინ გაიმართა წილისყრა და გაირკვა ჩოგბურთელების კორტზე გასვლის განრიგი. მეორე ნახევარფინალში რუსეთი სერბეთს მასპინძლობს.

**ჩეხეთი–იტალია**

**შაბათი. 21 აპრილი**

ლუსი საფაროვა-ფრანჩესკა სკიავონე
პეტრა კვიტოვა-სარა ერანი

**კვირა. 22 აპრილი**

პეტრა კვიტოვა-ფრანჩესკა სკიავონე
ლუსი საფაროვა-სარა ერანი
ჰლავაცკოვა/ჰრადეცკა-ერანი/ვინჩი

**რუსეთი–სერბეთი**

**შაბათი. 21 აპრილი**

ანასტასია პავლიუჩენკოვა-ელენა იანკოვიჩი
სვეტლანა კუზნეცოვა-ანა ივანოვიჩი

**კვირა. 22 აპრილი**

ანასტასია პავლიუჩენკოვა-ანა ივანოვიჩი
სვეტლანა კუზნეცოვა-ელენა იანკოვიჩი
კირილენკო/ვესნინა-იოვანოვსკი/კრუნიჩი

# ნოლემ ბაბუა დაკარგა



ბაბუა და შვილიშვილი

მონაკოში მიმდინარე მასტერსზე გუშინ ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ, წინა დღეს კი მერვედფინალური ეტაპის წინ, ცუდი ამბავი შეიტყო მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. მან ბაბუა – **ვლადიმირ ჯოკოვიჩი** დაკარგა. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო გაუჭირდა მას მერვედფინალში **ალექსანდრ დოლგოპოლოვის** დამარცხება. პირველი სეტი უკრაინელმა მოიგო და მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა გონს სერბი ჩოგბურთელი.

ამ სამწუხარო ამბავის მიუხედავად, ნოვაკმა ტურნირის მიტოვება გადაიფიქრა და გუშინ, მეოთხედფინალში გაცილებით მხნედ გამოიყურებოდა ჰოლანდიელი **რობინ ჰაასეს** წინააღმდეგ – 6:4, 6:2.

გუშინდელი დღის ერთ-ერთი მოულოდნელობა იყო ბრიტანელი **ენდი მიურეის** მარცხი ჩეხ **ტომაშ ბერდიხთან** – 7:6, 2:6, 3:6. ამ მატჩში გამარჯვებული სწორედ ჯოკოვიჩს შეხვდება ნახევარფინალში.

მეორე ნახევარფინალური წყვილი **რაფაელ ნადალმა** და **ჟილ სიმონმა** დააკომპლექტეს. ესპანელმა ორ სეტში მოუგო **სტანისლას ვავრინკას**, სიმონმა კი დღის მეორე მოულოდნელობა დააფიქსირა, როცა ორ სეტში დაამარცხა თანამემამულე **ჟო-ვილფრიდ ცონგა**.

დღის ფოტო



## კანიბალი და ყურმოჭრილი

ჰოლიფილდი და ტაისონი. ერთ დროს, ერთმა მეორეს ყური მოაჭამა, მაგრამ სიბერეში შერიგდნენ

ფორმულა 1. ბაჰრეინის გრანპრის წინ

# ზოგი პესიმისტი, ზოგიც ოპტიმისტი

ბაჰრეინის გრანპრი გუშინ ორი თავისუფალი პრაქტიკით დაიწყო, მანამდე კი პელოტონის წამყვანმა პილოტებმა განვლილ და მომავალ რბოლებზე გამოთქვეს საკუთარი აზრი.

მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, „რედ ბულის" პილოტმა **სებასტიან ფეტელმა** მოყვა იმ პრობლემების შესახებ, რომელსაც მისი გუნდი ახალი სეზონის სტარტზე წააწყდა, აგრეთვე ბაჰრეინის გრანპრიზე თავისი საჯინიბოს შანსებზე ილაპარაკა.

*„ცალსახაა, რომ მხოლოდ კვალიფიკაციაში შედეგების გაუმჯობესება საკმარისი არ არის. ისინი რბოლის დროსაც გვისწრებენ, ამიტომაც არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ მომენტისთვის ჩვენ საუკეთესო ბოლიდი გვყავს და ეტაპებს მხოლოდ იმის გამო ვერ ვიგებთ, რომ კვალიფიკაციაში გამოვდივართ სუსტად. ამ მომენტისთვის ჩამოვრჩებით კონკურენტებს.*

*უფრო ლოგიკური გახდება და მაყურებელი გაიცნობს აშკარა ლიდერებს გუნდებსა და პილოტებს შორის, რომლებიც ტიტულისთვის იბრძოლებენ. ნანდო არ გამორიცხავს დაწინაურებულთა რიგებში „სკუდერიას" ხილვას.*

*„ჯერჯერობით სეზონის პირველ სამ რბოლაში სამი სხვადასხვა სცენარი ვიხილეთ. მაგრამ ველოდები, რომ ჩემპიონატი დალაგდება და ტიტულისთვის იბრძოლებს არა ოთხი ან ხუთი, არამედ ორი გუნდი და ამდენივე პილოტი. მინდა ჩვენც ვიყოთ ამ ჯგუფში",* - განაცხადა ალონსომ.

ამასთან, ფერნანდო მიიჩნევს, რომ პელოტონში უჩვეულო სიმჭიდროვე მკაცრ რეგლამენტსა და სეზონის ადრეულ ეტაპს უკავშირდება.

*„ერთ-ერთი ფაქტორი ის არის, რომ სეზონი ახალი დაწყებულია, მაგრამ, საბოლოო ჯამში, გუნდები განვითარების უფრო მაღალი პერსპექტივით, სხვებზე*

*ბელია, რომ თავადაც გაკვირვებული დარჩნენ საკუთარი ტემპით. ისინი ძალიან სწრაფები იყვნენ და მართლაც კონკურენტუნარიანი და ეფექტური ბოლიდი ჰყავთ.*

*ვფიქრობ, ნიკო როსბერგის მიერ ჩინეთში მოპოვებული გამარჯვება მასზე დადებითად იმოქმედებს, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და საკუთარ თავში დარწმუნების მხრივ. პირველი გამარჯვება ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა, და ამ ყველაფერთან ერთად ამ მოგებამ ნიკოს შეაგნებინა ის, რომ მას ნებისმიერ გრანპრიზე შეუძლია პრეტენზია განაცხადოს მოგებაზე. მით უმეტეს, რომ „მერსედესი" იძლევა ამის საშუალებას.*

*ერთ-ერთი მთავარი ასპექტია საბურავებთან მუშაობა. სირთულე იმაშია, რომ თქვენ იცით როგორ უნდა ამუშაოთ სწორად საბურავები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რბოლის მსვლელობისას*



ნიკო როსბერგი

*მაგრამ როგორც უკვე არაერთხელ ვთქვი, დარწმუნებული ვართ იმაში, რომ მანქანას საკმარისი პოტენციალი აქვს, ის სწრაფია და ჩვენ ყველა ასპექტში ვაუმჯობესებთ სიტუაციას. ვფიქრობ, სულ მალე შევძლებთ პროგრესის მიღწევას როგორც კვალიფიკაციაში, ასევე რბოლებში.*

*ბაჰრეინში წინა ეტაპებისგან განსხვავებული უქმეები გველოდება. სულ სხვა ტრასა გველის, სხვა მეტეოროლოგიური პირობები. იქ ძალიან ცხელა და ვნახოთ, რა გამოვა. რა თქმა უნდა, სასწაულს არ ველით - წინა ეტაპიდან მხოლოდ ერთი კვირა გავიდა. იმედი გვაქვს, რომ კვალიფიკაციაში გამოსვლის მხრივ წინ წავიწევთ, მაგრამ სარბოლო ტემპის გაუმჯობესებას ნუ ელოდებით",* - ამბობს ფეტელი Autosport-თან კომენტარში.

### ალონსო: ფერარი მხოლოდ მეექვსეა

„ფერარის" ლიდერი **ფერნანდო ალონსო** ინარჩუნებს პესიმისტურ განწყობას და ეთანხმება საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ „სკუდერიას" მანქანა ამ ეტაპზე სისწრაფის მიხედვით მეექვსე ან მეშვიდე ბოლიდია პელოტონში.

*„ეს არ არის სიმართლეს მოკლებული. ახლა უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ უკეთესები გავხდეთ",* - ამბობს ალონსო.

ესპანელი პილოტი იმასაც აცხადებს, რომ მალე ჩემპიონობისთვის ბრძოლა

*მცირე უპირატესობას მიიღებენ. გარდა ამისა, ყოველ წელს წესები სულ უფრო მკაცრი ხდება, აეროდინამიკის სფეროში ახალი შეზღუდვები დააწესეს - ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ბოლიდი თითქმის ერთნაირია და მათ მხოლოდ ფერით თუ გაარჩევთ. ინჟინერული თვალსაზრისით, ფორმულა 1 უფრო რთული გახდა და ხარჯების შემცირებასთან ერთად ბრძოლა უფრო საინტერესო ხდება, რაც, საერთო ჯამში, კარგი ტენდენციაა",* - მიიჩნევს ესპანელი პილოტი.

### მაკლარენი მერსედესს აქებს

„მაკლარენის" პილოტმა და ჩემპიონობის ერთ-ერთმა მთავარმა პრეტენდენტმა **ჯენსონ ბატონმა** საკუთარი აზრი გაგვიზიარა სეზონის პირველი სამი ეტაპის შესახებ. ბრიტანელი ამბობს, რომ ბევრისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა ჩინეთის გრანპრიზე „მერსედესის" კარგი გამოსვლა, აგრეთვე ივარაუდა, რომ ბაჰრეინის გრანპრის დროს მაღალი ტემპერატურა უნდა დაეხმაროს „მაკლარენს" „პირელის" საბურავებთან ეფექტურ მუშაობაში.

*„დღეს მართლაც რთულია იმის გარკვევა, რომელი გუნდია ყველაზე სწრაფი პელოტონში - დარწმუნებით ვერ გეტყვით, ვის რა შეუძლია ამ კონკრეტულ მომენტში. ვფიქრობ, ჩვენთვის სიურპრიზი გახდა „მერსედესის" გამოსვლა შანხაიში. სავსებით შესაძლე-*

*შეძლებთ ამის მიღწევას. ჩინეთში პრობლემები შემექმნა საბურავებთან მუშაობაში შაბათს, როცა ძალიან ციოდა, კვირას კი, როცა შესამჩნევად დათბა, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა. იმედი გვაქვს, რომ ცხელი ამინდი ამ ამოცანის უკეთ გადაჭრაში დაგვეხმარება. მაგრამ ეს მხოლოდ იმედია, რა გამოვა სინამდვილეში, ამას რბოლა გვიჩვენებს",* - აცხადებს ბატონი.

გარკვეულწილად ეთანხმება თანაგუნდელს „მაკლარენის" მეორე პილოტი **ლუის ჰემილტონი** - მისი აზრით, ამ მომენტისთვის პელოტონში უსწრაფესი მანქანები ჰყავთ „მერსედესს", „მაკლარენსა" და „რედ ბულს".

*„ვფიქრობ, დღეს „მერსედესი" ყველაზე ჩქარია, განსაკუთრებით ერთ წრეზე. დარწმუნებული არ ვარ, ისინი უსწრაფესები არიან რბოლებში. სავარაუდოდ, საუკეთესო სარბოლო ტემპი „რედ ბულს" აქვს. ჩვენ კი კარგი ტემპი ვაჩვენეთ როგორც კვალიფიკაციაში, ასევე რბოლებში.*

*ჩვენ ლიდერთა შორის ვართ და ჩვენი შესაძლებლობები არაფრით ჩამოუვარდება სხვა გუნდების შესაძლებლობებს",* - აცხადებს BBC-ისთან კომენტარში ჰემილტონი.

რაც შეეხება გუშინდელ თავისუფალ პრაქტიკებს, პირველი ჰემილტონმა მოიგო, მეორე – **როსბერგმა**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ნიკოლოზ ნეფარიძე***

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), აწზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია